პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№147 (12 217)

25 ივნისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი




# ფერო ტობოლმა გაგუდა

სახიფათო მომენტი ზესტაფონელთა კართან — ნიკოლაი სოლოვიოვის ფოტო

# პირველივე იმედგაცრუება

**დავით კოხრეიძე**
კოსტანაიდან

საქართველოში ფეხბურთი წინსვლას განიცდის? მეკითხება თამაშის შემდეგ ადგილობრივი ჟურნალისტი. მისი ცინიზმი გასაგებია, რა პასუხი უნდა გავცე, როცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი იქაურ „ტობოლთან" უშანსოდ მარცხდება და რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, უეფას მიერ გაევროპელებულ შუააზიელებს, ჩვენები თამაშის ხარისხითა და კლასითაც ძალიან ჩამორჩებიან. იმედგაცრუებას არ ვიმჩნევ და ყაზახ კოლეგას ვუხსნი, რომ „ზესტაფონი" მატჩს სასურველ ფორმაში ვერ შეხვდა, ფრენისას შექმნილი პრობლემების გამო გუნდი გადაღლილი იყო და ვურჩევ, რომ ქართული კლუბის ძალა, განმეორებითი შეხვედრის შემდეგ შეაფასოს.

ჩვენი ფეხბურთის წინსვლაზე რა გითხრათ, მაგრამ შაბათის მატჩითა და საერთოდ კოსტანაიში ნანახით თუ ვიმსჯელებთ, ყაზახური ფეხბურთი მართლაც განვითარების გზას ადგას. როგორც მითხრეს „ტობოლის" ბიუჯეტი წელიწადში 12-14 მილიონს შორის მერყეობს. საქართველოში კი ასეთი დაფინანსება ერთ გუნდს კი არა, შეიძლება ერთად აღებულ თოთხმეტივეს არ ჰქონდეს. ამ ფაქტით ზესტაფონელთა მარცხის გამართლებას არ ვაპირებ. ფეროელებს ჩვენი საფეხბურთო რეალობის გათვალისწინებით, სხვებზე უკეთესი პირობები აქვთ და შედეგიც მეტი მოეთხოვებათ. სხვა საქმეა, თამაშამდე განვითარებული მოვლენები. სამარცხვინოდ და დასანანად დავმარხდით, თუმცა გამარჯვებულის ვინაობა ორი მატჩის ჯამში წყდება. ძალიან მცირე, მაგრამ ზესტაფონელებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი, ყაზახური ბარიერი გადალახონ. განა ევროპულ ფეხბურთში გაცილებით მეტი ფორის გაბათილება არ გვახსოვს? მით უმეტეს, ინტერტოტოს თასი ისეთი გათამაშებაა, სადაც ყველაფერი "მოსულა"... თუნდაც, მისი ლოგოდან გამომდინარე...

2

# რამიშვილი ოთხი წლით

## ლიგის პრეზიდენტი უმაღლესს შეამცირებს

შაბათს "ლოკომოტივზე" მოსახდენი მოხდა - უალტერნატივო **დიმიტრი რამიშვილი** პროფესიული ლიგის პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს.

რამიშვილმა უპირველესად მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, რომლებიც ლიგის დაარსებისას მხარში ამოუდგნენ და ამ წლების განმავლობაში მასთად ერთად ცდილობდნენ ეროვნული ჩემპიონატის განვითარებას. შემდეგ კი გასულ ოთხ წელიწადში გაკეთებული საქმეები გაიხსენა.

*"ჩვენ საქართველოს ჩემპიონატის კომერციალიზაცია გადავწყვიტეთ და ამან შედეგი გამოიღო. მაგალითად თასის ფინალი გამოდგება, რომელიც წლიდან წლამდე უფრო მიმზიდველი ხდება. აღვადგინეთ სუპერთასის გათამაშება და მას სპონსორი მოვუძებნეთ. სადისციპლინო კოდექსში ასამდე რეფორმა გატარდა. ავამოქმედეთ ლიგის ვებგვერდი, სადაც საქართველოს ჩემპიონატის პირდაპირი რეპორტაჟები მიმდინარეობს, რამაც უცხოურ ინტერნეტგვერდებზე ჩვენი პირველობის ონლაინ-რეპორტაჟებს დაუდო სათავე. აღსანიშნავია, წამახალისებელი ლატარიის და ინტერნეტთამაშის პროექტებიც. ყოველწლიურ საქმიანობაზე კი გულშემატკივრებს და საფეხბურთო სამყაროს ანგარიშს ლიგის ჟურნალში ვაბარებთ".*

რამიშვილმა სპონსორების შესახებაც ისაუბრა და აქამდე უცნობი ფაქტი გაამხილა - თურმე, ბოლო სამი წლის განმავლობაში, მათი თანადგომით ლიგის ბიუჯეტი მილიონი ლარით გამდიდრდა. ახსენა კლუბების დავალიანებაც - თბილისის "სპარტაკი", ლანჩხუთის "გურია" და ოზურგეთის "მერცხალი" ურჩი გადამხდელები ყოფილან.



დიმიტრი რამიშვილი

ცოტა რამ უალტერნატივო არჩევნებზე 3

# ორი ქართული გოლი რუსეთში



**გუშინ რუსეთში გოლებით ქართველმა ფეხბურთელებმა გამოიჩინეს თავი. ჯერ დავით მუჯირმა გაიტანა სეზონში მეოთხედ, საღამოს კი ნალჩიკელთა მცველმა ალეკო ამისულაშვილმაც იყოჩაღა. ამ უქმეებზე ინტერტოტოს თასის მატჩებიც გაიმართა, სადაც ერთმა ჩვენებურმა ითამაშა და ერთი ქართველი მწვრთნელის დებიუტი შედგა.**

ჩვენს ჩრდილო სამეზობლოში პრემიერლიგის მე-14 ტურის მატჩები გაიმართა. ქართველმა ლეგიონერმა ერთბაშად ორი რეკორდი დაამხეს - შვიდი ჩვენებურიდან ხუთმა ითამაშა და მათ ტურში ორი გოლი გაიტანეს. ტური პარასკევს გაიხსნა "სპარტაკი"-"სატურნის" (2:0) თამაშით. **გოგიტა გოგუამ** დამარცხებულთა რიგებში ბოლო 8 წუთი ითამაშა, მან ლიტველი **ჩესნაუსკისი** შეცვალა. რაც "სატურნს" მწვრთნელი შეეცვალა, მოსკოვისპირა კლუბში გოგუა მხოლოდ ბოლო წუთებზე შედის სათამაშოდ. ქართველთა გარეშე იმარჯვა ყაზანის "რუბინმა" კრასნოდარში "კუბანთან" - 1:0. **ლაშა სალუქვაძე** და **ნუკრი რევიშვილი** ტრავმებს იშუშებენ.

3

# შაშიაშვილის საგოლე პასი



გრაცის "შტურმში" ტესტირებას განაგრძობს ეროვნული ნაკრების მცველი **გიორგი შაშიაშვილი**. გუშინწინ "შტურმმა" მორიგი" ამხანაგური მატჩი გამართა. **ფრანკო ფოდას** გუნდმა სლოვაკეთის ჩემპიონ "ჟილინასთან" 1:4 წააგო.

მატჩის შესახებ ავსტრიულმა ვებგვერდებმა თითქმის არაფერი დაწერეს. როგორც გავარკვიეთ, გიორგი შაშიაშვილმა მხოლოდ პირველ ტაიმი ითამაშა. შესვენებამდე ანგარიში 1:1 გახლდათ. შაშიაშვილი მარჯვენა მცველად იყო გამწესებული და 23-ე წუთზე **მარიო ჰაასმა** სწორედ მისი პასით გაიტანა გრაცელთაგან ერთადერთი გოლი.

გასული პარასკევის ინფორმაციით გიორგი სამშობლოში გუშინ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ "შტურმის" ხელმძღვანელობის თხოვნით, ბილეთის ჩაბარება მოუწია.

შაშიაშვილი, ხვალ კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას - "შტურმი" "ლეობენს" ეთამაშება. გრაცელთა გუნდის მწვრთნელს მოსწონს ქართველი მცველი და ხელმძღვანელობამაც შაშიაშვილის მფლობელ კლუბთან, ოდესის "ჩერნომორეცთან" მოლაპარაკებები დაიწყო. ამ საქმის დაგვირგვინებისთვის მთავარია ოდესელებმა ქართველის სანაცვლოდ არარეალური თანხა არ მოითხოვონ.

**დავით ცაბაძე**

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

# სად გადანაწილდებიან უკრაინელი ქართველები?

კიევის "დინამოს" მიერ ტრანსფერზე დაყენებული ქართველები კლუბებს ეძებენ. როგორც გავარკვიეთ, არც ისე პესიმისტურად არის საქმე, როგორც უკრაინული კლუბის პრეზიდენტმა განაცხადა - ქართველთა სამეულს ჯერ არავინ იწვევსო.

**კახა ალადაშვილი** რუსეთში მიდის, მაგრამ დაინტერესებული გუნდის სახელს ცოცხალი თავით არ ასახელებს - წინასწარ რაც ვთქვი, ყველაფერი ჩამეშალა და სჯობს, ყველაფერი საბოლოოდ გავარკვიო და ნაღდი ამბავი გითხრათო.

3



კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

**ტობოლი-ზესტაფონი**

**3:0**

**23.06. კოსტანაი. ცენტრალური**
**6 500 მაყურებელი**

1:0 ჟუმასკალიევი (62. ბაკაევის პასით), 2:0 ბალტიევი (64. ნურდაულეტოვის პასით), 3:0 ბაკაევი (73. ჟუმასკალიევის პასით)

ტობოლი: პრიატკინი, მუკანოვი (88. ოსტაპენკო), ნურდულეტოვი, დიმიტროვი, ირისმეტოვი, სკორინი, იურინი (53. ნურგალიევი), ხარაბარა (82. მეშკოვი), ბალტიევი, ჟუმასკალიევი, ბაკაევი

სათადარიგოები: პეტუხოვი, ურაზოვი, ბუკალიევი, ლოტოვი.

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, სანტოსი (35. კ. ჩხეტიანი), თოდუა, ონიანი, კესანი, ჟონატასი (61. კვასხვაძე), ვიეირა (70. სანაია), ჭელიძე, გ.ჩხეტიანი, ფიფია

სათადარიგოები: ჯალალონია, ხიდეშელი, გოცირიძე, დაუშვილი

გაფრთხილება: საჯაია (16), ონიანი (38)

არბიტრი: მატეი ჟუგი (სლოვენია)



ნიკოლაი სოლოვიოვის ფოტო

# პირველივე იმედგაცრუება

*პირველი გვერდიდან*

## მატჩამდე

თამაშის დღეა. როგორც იქნა დილის ათ საათზე ჩვენმა თვითმფრინავმა ყაზახეთისკენ აიღო გეზი. თუმცა პრობლემების გარეშე როგორ იქნება. ზესტაფონელებმა ჯანმრთელობის გაუარესების გამო **შალვა ლონლაძე** და **როინ კვასხვაძე** მოისაკლისეს...

კოსტანაიში ოთხის ნახევარზე ჩავფრინდით. იქ გალიდან ლტოლვილი, კოსტანაის მკვიდრი და "ტობოლის" ვიცე-პრეზიდენტი **გივი ხელაია** გვხვდება. მოსასვენებლად სასტუმროში მივდივართ. ოთხ საათში შეხვედრა იწყება. **თემურ მახარაძე** შეწუხებულია: *„რა იქნება არ ვიცით, ბიჭები ძალიან გადაღლილები არიან. ყველაფრის მიუხედავად უნდა ვიბრძოლოთ და ჩვენი ძალა დავამტკიცოთ..."*

თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათია დარჩენილი. სასტუმროდან ცენტრალურ სტადიონამდე ტაქსით მივემგზავრები. გზად ადგილობრივ გულშემატკივართა ჯგუფებს ვხედავ. კლუბის დროშებით, შარფებით და სხვა ატრიბუტიკით არიან „შეიარაღებულნი". სტადიონზე მისულს ზურგზე გადაკიდებული ხუთჯვრიანი დროშით ხვდებიან რომ ქართველი ვარ.

ფრე იქნება - „მაიმედებს" ერთ-ერთი ფანი.

- ეს ჯვრები კლუბის სიმბოლოაო?- მეკითხებიან გულშემატკივრები. ვუხსნი, რომ ეს საქართველოს სახელმწიფო დროშაა.

- ეტა ფლაგ გრუზიი? - გაკვირვებული რჩებიან, - - ონ ოჩენ კრასივიი

სტადიონი თანდათან ივსება. „ტობიილ, ტობიილ" საყვირებისა და ბარაბნების ხმის ფონზე ხმაურობენ იქაური ფანები. „ზესტაფონიც" არ არის გულშემატკივრის გარეშე. აქედან ჩასული დელეგაციის გარდა, ფეროელებს კოსტანაიში მცხოვრები და იქ სამუშაოდ ჩასული 15-მდე ქართველიც უჭერს მხარს. ორგანიზებას **ნიკა ქავთარაძე** უწევს.

ფეხბურთელები სარბენ ბილიკებზე გამოჩნდნენ. გამაყრუებელი ხმაურია, კოსტანაის სტადიონზე მსვენიერი საფეხბურთო ატმოსფეროა შექმნილი, ამას გრილი ამინდიც ემატება. ყველანაირი წინაპირობაა, რომ კარგი შეხვედრა ვიხილოთ.

## მატჩი

გუნდები მოედანზე განსხვავებული სათამაშო სქემებით განლაგდნენ. მახარაძემ კლასიკურ 4-4-2 განლაგებას მიმართა. მისმა ვიზავი **დმიტრი ოგაიმ** კი გუნდი 3-5-2 სქემით განალაგა. დასაწყისი არ არის ურიგო. ყაზახები მოედნის ცენტრში კარგავენ ბურთს, რომელსაც **ფიფია** ეუფლება, მეტოქის საჯარიმოსკენ მიიწევს, დარტყმასაც ცდილობს, მაგრამ ბურთი მცველს ხვდება და კვლავ ფიფიას უბრუნდება, ამჯერად **გაგა ჩხეტიანის** მისამართით აკეთებს გადაცემას, მაგრამ „ტობოლის" გოლიათი ბულგარელი **სტანიმირ დიმიტროვი** ქართველ თავდამსხმელს გასაქანს არ აძლევს. საპასუხოდ ყაზახთა შემტევი დუეტი **ჟუმასკალიევი** და **ბაკაევი** სახიფათოდ გვიტევენ, თუმცა ჩვენი მცველები მდგომარეობის განმუხტვას ახერხებენ. მეტოქე ცენტრის დაუფლებას ახერხებს. **ჟონატასი** ფინტების კასკადით მასპინძელთა სიმშვიდეს არღვევს, მისგან ბურთი **კესანს** მისდის, თუმცა გაბონელი ძალიან სუსტად ურტყამს. ჟუმასკალიევი და ბაკაევი კვლავ არ აძლევენ ქართველ მცველებს მოსვენებას. ისევ მასპინძელთა სახიფათო შეტევა, **ხარაბარას** დარტყმულს **ჭანტურია** ხელში ვერ იმაგრებს, საბედნიეროდ მასპინძლები ბურთზე დამატებას ვერ ახერხებენ. ქართველების თამაშში ძალიან ბევრი წუნია. ზესტაფონელები გაგა ჩხეტიანის მისამართით გაკეთებული მაღალი გადაცემებით ცდილობენ შეტევის განვითარებას, მაგრამ დიმიტროვი ყველა საჰაერო ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოდის. ყაზახები ორ-სამ შეხებაში ჩნდებიან ჩვენს საჯარიმოსთან, ჩვენებს კი ამის გასაკეთებლად დიდი ენერგიის ხარჯვა უწევთ და მაინც არაფერი გამოსდით.

ყაზახები კოლოსალურ უპირატესობას ფლობენ. ჭანტურიას კართან მომანტი მომენტზე იქმნება.

- სიმართლე გითხრათ უარესს მოველოდი...თამაშის დღეს გადმოფრენა არაფერ შუაშია, უბრალოდ გუნდმა მომზადება ახლახან დაიწყო, რეგიონალლიგის გუნდებთან სპარინგით შედის ფორმაში, მეტოქე კი ძლიერი და კარგად მომზადებულია - ამბობს „ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია**.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებულია, კვასხვაძის წამოწყებულ შეტევას ფიფია აგრძელებს. გოგი მცველებს თავბრუს ახვევს და დასარტყმელ პოზიციაზე გადის. გოლი გარდაუვალი ჩანს, მაგრამ ფიფიას დარტყმა არ გამოსდის და ბურთი ხარიხას ზემოდან სცდება. ამ მომენტს კესანის სახიფათო დარტყმა მოჰყვა... ეგ იყო და ეგ. 62-ე წუთიდან ქართველების რბევა იწყება. კოსტანაელები ჯარიმის შემდეგ უსწრაფეს კომბინაციას ათამაშებენ, ბაკაევი საჯარიმოში შეჭრილ ჟუმასკალიევს გამოზომილ პასს უკეთებს და ყაზახეთის ნაკრების კაპიტანი უძლიერესი დარტყმით ზესტაფონელთა კარის ცხრიანში ათავსებს ბურთს - 1:0.

ქართველები შოკში არიან. გონზე მოსვლას ვერ ასწრებენ, რომ მათ კარში უკვე მეორე გოლი გადის. თუ პირველი გოლი ყაზახების შემოქმედება იყო, მეორე და მესამე მათ ლარნაკით მივართვით. ორივე შემთხვევაში მეკარესა და მცველებს უფრო ყურადღებით თამაში მართებდათ. 64-წუთზე **ნურდულეტოვის** მიერ ბალტიევის მისამართით გაკეთებული ფლანგური გადაცემა განსაკუთრებულ ხიფათს არ წარმოადგენდა, მაგრამ ზესტაფონელმა მცველებმა ბურთის მოგერიება ვერ შეძლეს და ბალტიევს ორიოდე მეტრიდან მისცეს კარის დალაშქვრის საშუალება.

თითქმის იგივე სიტუაცია მეორდება 73-წუთზე - **ბალტიევი** მარჯვნიდან მეკარის ბაქანთან გამჭოლ გადაცემას აკეთებს, მცველებსა და მეკარეს ამჯერად ბაკაევი ასწრებს და 3:0. კოსტანაის სტადიონი კიდევ უფრო აგუგუნდა, „სპასიბა, სპასიბა" სკანდირებენ ქომაგები და კიდევ ერთ გოლს ითხოვენ. ბოლო წუთზე მათი სურვილი **ედიკ საჯაიამ** კინაღამ აასრულა - ბალტიევის დარტმულს თავი უხერხულად დაუხვედრა და ლამის საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. გადავრჩით, თუკი ამას გადარჩენა ჰქვია...

## მატჩის შემდეგ

*„ტობოლზე" გარკვეული წარმოდგენა მქონდა, მაგრამ ამ გუნდის დღევანდელმა თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მართლაც რომ ძლიერ გუნდთან გვქონდა საქმე. ასეთ შედეგს არ ველოდი, თუმცა ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. „ტობოლი" კარგ ფორმაშია, ჩვენ კი მძიმე სეზონის შემდეგ, დასვენებაც ვერ მოვასწარით, ინტერტოტოსთვის მზადება ისე დავიწყეთ. ოპტიმალური ფორმისგან საკმაოდ შორს ვართ. 0:3 ძალიან ცუდი ანგარიშია, მაგრამ გამარჯვებულის ბედი ორი მატჩის ჯამში წყდება. განმეორებით შეხვედრაში ვიბრძოლებთ და ვნახოთ რა გამოვა* - აცხადებს პრესკონფერენციაზე თემურ მახარაძე.

მისი ვიზავი **დიმიტრი ოგაი** შედეგით უზომოდ გახარებულია: *„ზესტაფონი" ჩვენთვის გამოცანა იყო. ყველაფრის მიუხედავად ეს გუნდი მომეწონა. სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს და სამომავლოდ წარმატებებს ვუსურვებ. დიდი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ განმეორებითი მატჩისთვის თავს მოდუნების საშუალება არ უნდა მივცეთ. თბილისურ მატჩშიც დღევანდელივით ვიბრძოლებთ და შევეცდებით, ქართველებს ლამაზი ფეხბურთით დავამახსოვროთ თავი".*

ბუნებრივია განსხვავებული განწყობა იყო გუნდის კაპიტნებს შორისაც.

კახა ჩხეტიანი: *„რა გვეთქმის, გვაჯობეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. ახლა მიზეზებზე საუბარს აზრი არ აქვს, ველარაფერს შევცვლით. კარგი გუნდია და კონკრეტულ მომენტში ჩვენზე უკეთაც იყო მომზადებული. ვეცდები, საპასუხო შეხვედრაში დავამტკიცოთ, რომ ჩვენსა და „ტობოლს" შორის ასეთი დიდი სხვაობა არ არის."*

ნურბალ ჟუმასკალიევი: *„გულშემატკივარს ლამაზ გამარჯვებას დავპირდით და ავასრულეთ კიდეც. ჩვენთვის „ზესტაფონი" ერთგვარი საზომი იყო, დასამტკიცებელი გვქონდა, რომ ჩვენი ფეხბურთი ვითარდება. მთელი სეზონი იმისთვის ვიბრძვით, რომ ევროთასების საგზური მოვიპოვოთ და ევროსარბიელზე შეძლებისდაგვარად წარმატებით გამოვიდეთ. დასაწყისი კარგი გამოვიდა, იმედია გაგრძელებაც შესაბამისი იქნება."*

**სხვა მატჩები**

**I რაუნდი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| კლიფტონვილი (ჩრ. ირლანდია)-დინაბურგი (ლატვია) | 1:1 |
| ჰამარბიუ (შვედეთი)-კლაკსვიკი (ფარერები) | 1:0 |
| ბაქო (აზერბაიჯანი)-დაჩია (მოლდოვა) | 1:1 |
| შახტიორი (ბელარუსი)-არარატი (სომხეთი) | 4:1 |
| სენტ ჯულია (ანდორა)-სლავია (ბოსნია) | 2:3 |
| ეთნიკოსი (კვიპროსი)-მაკედონია (მაკედონია) | 1:0 |
| ზაგრები (ხორვატია)-ვლაზნია (ალბანეთი) | 2:1 |
| დიფერდანჟი (ლუქსემბურგი)-სლოვანი (სლოვაკეთი) | 0:2 |
| ვალური (ისლანდია)-კორკი (ირლანდია) | 0:2 |
| ბირკირკარა (მალტა)-მარიბორი (სლოვენია) | 0:3 |
| გლორია (რუმინეთი)-გრბალი (ჩერნოგორია) | 2:1 |
| ვეტრა (ლიტვა)-ლანელი (უელსი) | 3:1 |
| ჰონკა (ფინეთი)-ტვმკ (ესტონეთი) | 0:0 |

**საპასუხო მატჩები 30 ივნისსა და 1 ივლისს გაიმართება**

ქართული ევროსაკლუბო პერსპექტივა

# შემოდგომის აჩრდილები

ვითომ სხვა რამით უნდა დაგვეწყო და სულ სხვა რამით დავიწყეთ?

გასულ უქმეებზე საევროტურნირო სეზონი გაიხსნა. "ზესტაფონმა" ყაზახურ "ტობოლთან" 0:3 წააგო. რას აღარ გაიგებს კაცი. თურმე ყაზახეთში დაურეკავთ, "ზესტაფონი" თუ წააგებს, ტოტალიზატორში დიდ კუშს მოვხსნითო და...

ყველაფერს თავისი მიზეზი და სათავე აქვს. როცა არ არის ორანი გახსნილი შუბლისა და მოწესრიგებულად მომუშავე ნაცრისფერი ნივთიერებისა, გონება კუშის, ტოტალიზატორისა და მტკვრის მოაჯირზე მარილიანი თევზის ბუშტის შეწვის იქით ვერ მიდის.

ხმაურით შემოაბიჯა "ზესტაფონმა" საფეხბურთო მილეთში, მაგრამ ამის იქით ვერ წავიდა. კლუბმა უცხოეთიდან ჩამოტანილი მინდორი დააგო, ლეგიონერები მოიყვანა, არცთუ ცოტა საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ არ აქვს საინტერესო თამაში, რითაც ევროპულ ფრონტზე თავის მოწონება შეიძლება.

სულ სხვა ამბავია "ზესტაფონის" შეფერხება აეროპორტში, თუმცა ეს არ არის გუნდის ზოგადი პრობლემა. ასეთი შეფერხებით გამოწვეული არანორმალური პირობები მნიშვნელოვნად დააბრკოლებდა ფეხბურთელებს, რომელთაც კიდევ რამდენი რამ აბრკოლებს.

ჰოდა, ალბათ, იმით დავიწყეთ, რითაც უნდა დაგვეწყო.

29 ივნისიც მალე მოვა, რუსთავის "ოლიმპის", თბილისის "დინამოსა" და "ამერის" საევროტურნირო მეტოქეები გაირკვევა და დაიწყება ლაპარაკი იმაზე, რომ შანსები თითქმის თანაბარია; ჩვენ ჩვენსას ვეცდებით; ჩვენი მიზანი, რაც შეიძლება მეტი ეტაპის გადალახვაა და ასე შემდეგ...

"ოლიმპს" მწვრთნელი შეეცვალა. ჯერ არ ვიცით, როგორი დამრიგებელი იქნება **ვარლამ კილასონია**, მაგრამ დამდეგი ევროთამაშებისთვის მას არ ქონდა საკმარისი დრო, თავისი იდეები ბოლომდე მიეტანა ფეხბურთელებთან. ხოლო ის "ოლიმპი", რაც კილასონიამდე იყო, ევროპულ ყავარებზე ნამდვილად არ იდგა. ოლიმპელებს რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი ჰყავთ და ეყოფა თუ არა ასეთი რესურსი გუნდს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თუ ეტაპებზე, საკამათოა.

ისევე, როგორც საშუასეზონო პერიოდში, სატრანსფერო ბაზარზე დიდად ვერ იაქტიურა "ამერმა". გუნდის ბირთვი თითქმის იგივე დარჩა. ამერელებმა შარშანაც ითამაშეს უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე, გამოცდილება შეიძინეს, ბერლინის "ჰერტასთან" შინ ფრე ითამაშეს, მაგრამ ეტყობა კი გუნდს ის ძალა და ლაზათი, წლეულს მეტს რომ მიაღწიოს?

საქართველოში საფეხბურთო კლუბის ყოლა წამგებიანია, ისეთი სამშვენისია, რომლის შენახვა ძვირი ჯდება. ევროტურნირები ხარჯებს კი უმსუბუქებენ კლუბის მეპატრონეებს, მაგრამ ვერ უმსუბუქებენ ყოფას ქართულ საკლუბო ფეხბურთს. არავის უნდა გარისკოს და მნიშვნელოვნად მეტი ფული დაახარჯოს კლუბს. სამშვენისი სამშვენისად რჩება, ფული იქით ვერ მიაქვს პატრონისთვის.

ადამიანებს ხშირად უყვართ იმის გაცემა, რის საჭიროებასაც ყველაზე უფრო თვითონ განიცდიან - ირლანდიელი გენიოსის ნათქვამია და ჩვენშიც უკვე მისხალ-მისხალ მისდევენ ამ სიბრძნეს. ბევრი რამ ლამაზდება საქართველოში ქართული საფეხბურთო სამყაროს გარდა. თითქოს მისხალი ცოდვაც ისე ამძიმებს პატივცემულ საფეხბურთო საზოგადოებას, რომ პატარა გამონათებების გარდა ვერაფერს შესწვდა.

მაგრამ მაინც სულ სხვა არის ცხელი ივლისი ქართული ფეხბურთისთვის. ჩვენი გუნდები ყირაზე დგებიან და ევროპელ მეტოქეებს ეტილავებიან. ხალხიც მეტი დადის სტადიონზე და ფეხბურთელებიც მეტი შემართებით თამაშობენ. საქართველოში ფეხბურთი ფეხბურთს ემსგავსება. ბოლოს და ბოლოს, გულშემატკივარი ბილეთს ყიდულობს, რათა ფეხბურთს უყუროს.

ძალიან საინტერესოა, როგორი იქნება "დინამო" წლევანდელ ევროფრონტზე. აქეთ ტრადიციები ' იქით საუკეთესო პირობები, კიდევ **დუშან უჰრინი, სანდრო იაშვილი, სანდრო კობახიძე**, ახალი ლეგიონერები და იქნებ ახალი საინტერესო სახეებიც ვიხილოთ. "დინამო" ხომ მაინც "დინამოა" მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ვილაც-ვილაცების ბედოვლათობით ორი წელიწადია უტიტულოდაა.

დიახ, მაინც "დინამოა", თუნდაც იმიტომ, რომ 1996 წელს უეფას თასზე 29 აგვისტომდე ითამაშა, 1998 წელს ჩემპიონთა ლიგასთან ძალიან ახლოს იყო, 2004 წელს კი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა და ევროსეზონი 1 დეკემბერს დაასრულა.

ახლანდელ ქართულ საკლუბო ფეხბურთს კი არც **გოჩა ჯამარაული** ჰყავს, არც **გიორგი დემეტრაძე** და არც ისეთი ქარიზმიანი მწვრთნელი, **დავით ყიფიანი** რომ იყო - ამით იყო "დინამო" 1996 წელს, ორი წლის შემდეგ კი **ლევან ცქიტიშვილი, დავით მუჯირი** და **გიორგი კიკნაძე** წარმართავდნენ გუნდის თამაშს. მერე იყო 2004 წელი, **გია გეგუჩაძის** გაწვრთნილი "დინამო", ძალიან საინტერესო, შემტევი და დინამიური, რომელსაც თვითონ კლუბის თანამშრომლებმაც კი დაუყარეს ხმები, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გარიგებული მატჩებით გავიდაო.

"დინამო" მაშინაც ივლისში იწყებდა ევროსეზონს და იქ შემოდგომამდე თამაშობდა. ეს გემრიელი წარმატება იყო, იმდენად ტკბილი, რომ ის ეპოქა, ხალხი და გუნდი ახლა თითქოს აჩრდილები არიან, რომელთაც ვგრძნობთ და რომლებიც გვენატრება... შემოდგომის აჩრდილები.

**დავით თავართქილაძე**

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა



რამიშვილი ერთხმად აირჩიეს

ნუგზარ სუარიძის ფოტო

# რამიშვილი ოთხი წლით პრეზიდენტია

*პირველი გვერდიდან*

მერე ლიგის გენერალურ მდივანს, **რევაზ ლორთქიფანიძეს** მადლობა გადაუხადა და ფაქტობრივად, ლიგიდან გააცილა. მას კომპანია "ბაგრატიონში" დიდი პოსტი შესთავაზეს. ის ფეხბურთში მაინც რჩება და სალიცენზიო კომიტეტში იმუშავებს.

პრეზიდენტი კმაყოფილია გამგეობის წევრებთან თანამშრომლობით და ამის გამო, მისი შეცლა არასასურველად ჩათვალა.

რამიშვილმა ლიგაში გაწევრიანების მსურველები დაასახელა - "მერანი", "მგლები", "მესხეთი" და "გაგრა", საჩხერის "ჩიხურა" კი ლიგის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებსო და ეროვნული ჩემპიონატის თემაზეც გადაერთო:

*"ლიცენზირების კომიტეტთან ჩამოყალიბდება კომისია, რომელიც გუნდებს 2008-09 წლების სეზონისთვის მოამზადებს. უეფა უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის მოთხოვნებს ამკაცრებს და კომისიამ და გუნდებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, მომდევნო ჩემპიონატი რომ არ ჩაიშალოს.*

*თუკი ადრე ბევრ ნაკლზე თვალს ვხუჭავდით და საერთო მდგომარეობას ვითვალისწინებდით, ახლა აღარავის დავინდობთ. მოვმართავთ კლუბების წარმომადგენლებს, მომდევნო სეზონისთვის თადარიგი აქედანვე დაიჭირეთ. ვინც ლიცენზირების მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, ჩემპიონატში არ დავუშვებთ".*

ბოლოს ლიგის პრეზიდენტი შეეხო თემას, რომელიც ბოლო ერთი თვეა საფეხბურთო სამყაროს აწუხებს - გაიზრდება თუ შემცირდება უმაღლესი ლიგის მონაწილეთა რაოდენობა?

*"მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში 12 გუნდი ითამაშებს. ეს არის პროფლიგის პროექტი და თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, მისაღებია თუ არა. ჩვენ კი ლიგის დონის გასაძლიერებლად საჭიროდ მიგვაჩნია მონაწილეთა რაოდენობის შემცირება. ახალი პროექტით, სეზონის ბოლოს უმაღლესიდან 3 გუნდი გავარდება და მხოლოდ ერთი გადმოვა, გადათამაშებაში კი უმაღლესი ლიგის ბოლოდან მეოთხეზე გასული, პირველი ლიგის მეორეადგილოსანს შეხვდება.*

*პირველი ლიგის ფორმატის შეცვლასაც ვაპირებთ: ის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად გაიყოფა. თითო ზონაში 10 გუნდით იქნება. მეორე წრიდან საუკეთესოები გაერთიანდებიან და გამარჯვებულს გამოავლენენ, დაბალ ადგილზე გასულებიდან დაკომპლექტებულ ლიგაში კი რეგიონალლიგაში გასავარდნები გაირკვევა.*

*თასის გათამაშების ჩატარებაც ახალი ფორმატით გვსურს. შეხვედრები უფრო დაძაბული და საინტერესო რომ გახდეს, მეოთხედფინალისტები ორ ოთხგუნდიან ჯგუფებში განაწილდებიან, ნახევარფინალში კი ორ-ორი გამარჯვებული გავა. ვფიქრობთ, მაყურებლისთვის თამაშები ასე უფრო საინტერესო იქნება და ჩვენც კომერციალიზაციის მეტი საშუალება გაგვიჩნდება".*

კონფერენციის დასრულების შემდეგ, რამიშვილს ვკითხეთ, ვინ იქნება ლიგის ახალი გენერალური დირექტორი - არის რამდენიმე კანდიდატურა, მაგრამ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღიაო.

**მერაბ მამულაშვილი**

ამხანაგური მატჩი

# გოლების წვიმა დიღომში

**დინამო-ლოკომოტივი 5:1**

1:0 იაშვილი (21. ხმალაძის პასით), 1:1 გულორდავა (31), 2:1 სპასოევიჩი (59. ოდიკაძის პასით), 3:1 ოდიკაძე (65. სპასოევიჩის პასით), 4:1 სპასოევიჩი (74. მერებაშვილის პასით), 5:1 ოდიკაძე (90. მერებაშვილის პასით).

დინამო: ოვონო, შ. კაშია, თომაშვილი, ზელიჩი, ლეშაკი, ვუკუე, ხმალაძე, დილმელაშვილი, კობახიძე, ხუციშვილი, იაშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: გრიშიკაშვილი, ლობჟანიძე, გ. კაშია, კრშკო, მერებაშვილი, ჯანაშია, ფირცხალავა, ოდიკაძე, სპასოევიჩი.

ლოკომოტივი: გვარამაძე, ქუხილავა, გუშარაშვილი, გ. კვახაძე, ფოფხაძე, გულორდავა, სამხარაძე, მალიჩავა, ბარბაქაძე, მიქაძე, ალავერდაშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: მიგინეიშვილი, ა. შენგელია, ბახტაძე, ციკურიშვილი, მამულაშვილი, მირონიძე, კირკიტაძე, ებრალიძე, ახალაია, ელიზბარაშვილი, ცინცაძე.

გუშინწინ "დინამომ" მშობლიურ ბაზაზე თანაქალაქელ "ლოკომოტივს" ამხანაგურ მატჩში უმასპინძლა. **დუშან უჰრინის** გუნდმა მეტოქე 5:1 დაჯაბნა. **დავით ოდიკაძემ** და **ილია სპასოევიჩმა** დუბლები მიითვალეს. ორივე ეს ფეხბურთელი მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე, მაგრამ დუბლებისთვის ეს დროც იკმარეს.

"ლოკომოტივთან" ტესტმატჩში ჩეხმა მცველმა **მიხალ ლეშაკმაც** ითამაშა. "დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძის** ცნობით, უჰრინმა პირველი ნახევრის შემდეგ, მხოლოდ ლეშაკი და **ხმალაძე** დატოვა მოედანზე, დანარჩენები კი სხვებით შეცვალა. ჩეხი ფეხბურთელი მარხენა მცველად თამაშობდა.

დღეს, დუშან უჰრინის გუნდი 18 საათზე, დიღმის ბაზაზე "ამერს" ეთამაშება. ხვალ კი გერმანიაში მოსამზადებელ შეკრებაზე გაემგზავრება, სადაც 10 ივლისამდე დარჩება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# მუჯირის მეოთხე გაელვება

*პირველი გვერდიდან*

მოსკოვის "ლოკომოტივი" კვლავ დამარცხდა, რკინიგზელებმა ამჯერად 2:4 წააგეს "ტომთან". რვათვიანი პაუზის შემდეგ **მალხაზ ასათიანმა** პირველად ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში და, რაც მთავარია, შეუცვლელად. მასპინძელთა ფორვარდმა **შირკომ** ერთი გოლი ასათიანთან ბრძოლაში გაიტანა და თავისიანები 3:2 დააწინაურა. დუბლების მატჩში (0:3) ქართველმა **ვლადიმერ შეროზიამ** შეუცვლელად ითამაშა.

ტურის ცენტრალურ მატჩში "კრილია სოვეტოვმა" ჩემპიონ ცსკა-ს უმასპინძლა. მატჩის 23-ე წუთზე **დავით მუჯირმა** საჯარიმოს ხაზთან პასი მიიღო, ერთი მეტოქე ჩამოიცილა და კარში დაარტყა. სამარელთა ქართველი კაპიტნის გოლი მატჩში ერთადერთი და გადამწყვეტი აღმოჩნდა. მუჯირი 83-ე წუთზე შეცვალეს. მატჩის შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა **ობორინმა** განაცხადა: *"დღეს მუჯირმა, ისევე როგორც მთელმა გუნდმა, სასარგებლოდ ითამაშა. თუმცა ფეხბურთელთა გამორჩევა არ მჩვევია, ვიგებთ ერთად და ვაგებთ ასევე ყველანი ერთად"*. მუჯირი 4 გოლით ბომბარდირთა შორისაა.

მუჯირის გოლი არ ყოფილა ერთადერთი ქართული გოლი ამ ტურში, საღამოს "ზენიტთან" გასვლით მატჩში მე-11 წუთზე **ალეკო ამისულაშვილმა** ნალჩიკის "სპარტაკი" დააწინაურა, თუმცა "ზენიტმა" მეტოქეს პირველივე ტაიმში ორით უპასუხა. სტუმართა რიგებში **ლევან გვაზავა** და ალეკო ამისულაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. მატჩი უხვგოლიანი გამოდგა, "ზენიტმა" 4:3 მოიგო.

"კრილია სოვეტოვმა" მოგებით გადაასწრო ცსკა-ს. მუჯირის გუნდი 22 ქულით მეოთხე ადგილზეა. "რუბინი" 17 ქულით მეცხრე ადგილზეა, "ლოკომოტივი" კი ამდენივე ქულით - მეთერთმეტე, "სატურნს" მხოლოდ 14 ქულა აქვს და ორი ქულით უსწრებს გასავარდნ ზონაში მყოფ ნალჩიკის "სპარტაკს".




ასათიანმა (მარჯვნივ) უკვე 90 წუთი ითამაშა

### ნათლობა უინძორ პარკზე

კიდევ ერთ ქართველ მწვრთნელს ჰქონდა დებიუტი ევროთასებზე, "დინაბურგის" თავკაცმა **თამაზ პერტიამ** "უინძორ პარკზე" ჩრდილოირლანდიურ "კლიფტონვილთან" 1:1-ს მიაღწია და ლატვიაში საპასუხო მატჩს იმედიანად ელის. "დინაბურგმა" მეორე ტაიმი ათი კაცით ითამაშა, გააძევეს ნახევარმცველი **კოსტენკო**. აზერბაიჯანში "ბაქი" მოლდოვურ "დაჩიას" მასპინძლობდა. მატჩი 1:1 დასრულდა. ახალაია აზერბაიჯანში არ გამოჰყოლია კლუბს, რადგან ტრავმირებულია. მასპინძელთა ქართული დუეტიდან მხოლოდ **ამირან მუჯირმა** ითამაშა, **ალეკო გოგობერიშვილი** ტრავმირებულია. მუჯირმა გამთამაშებლის პოზიციაზე ითამაშა და აზერბაიჯანული მედიის კრიტიკა დაიმსახურა. თუმცა ფაქტია, რომ ერთადერთი გოლი მასპინძელთა მხრიდან მის ჩაწოდებას მოჰყვა, როცა შეშინებულმა მოლდოველმა მცველმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. კვიპროსულმა "ახნასმა" 1:0 დაამარცხა "მაკედონია", **ლევან ქებაძეს** არ უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა, XIV ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სპარტაკი-სატურნი | 2:0 | 8 წთ. (შეცვლაზე) | 10 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | კუბანი-რუბინი | 0:1 | არ უთამაშია | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | კუბანი-რუბინი | 0:1 | არ უთამაშია | 4 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | კრილია სოვეტოვი-ცსკა | 1:0 | 83 წთ (შეცვალეს), 1 გოლი | 13 თ, 4 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ტომი-ლოკომოტივი | 4:2 | 90 წუთი | 2 თ, 0 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | ზენიტი-სპარტაკი ნ. | 4:3 | 90 წუთი, 1 გოლი | 14 თ, 1 გ. |
| ლევან გვაზავა | ზენიტი-სპარტაკი ნ. | 4:3 | 70 წთ. (შეცვალეს) | 11 თ, 0 გ. |

# მოდებაძე მეტალურგს არ გაჰყვა

ზაპოროჟიეს "მეტალურგი", შესაძლოა, ქართველი ფეხბურთელების გარეშე დარჩეს. უკრაინული "სპორტ-ექსპრესი" იუწყება, რომ ავსტრიის შეკრებაზე გუნდს **დავით კვირკველია** გაჰყვა, მაგრამ მისი საკითხი გასარკვევია. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ზამთარში "მეტალურგთან" ახალი ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ ახლა დათოს უფრო სახელიანი და ტიტულოვანი მსურველები გამოუჩნდნენ და შესაძლოა, გუნდი შეიცვალოს.

რაც შეეხება **ირაკლი მოდებაძეს**, იგი ზაპოროჟიეში ექვსი წელიწადია ირიცხება. 18 წლის იყო, უეფას თასზე "ლიდსს" ზაპოროჟიეში ერთადერთი ბურთი რომ გაუტანა და მატჩის შემდეგ, ინგლისელთა მწვრთნელმა **ტერი ვენეიბლზმა** ძალიან შეაქო. სამწუხაროდ, ნიჭიერ თავდამსხმელს გაუთავებელმა ტრავმებმა თავის გამოვლენის შანსი არ მისცა. გასულ სეზონში შედარებით ნაკლები პრობლემები შეექმნა და საბოლოოდ, დათო კვირკველიასთან ერთად, გუნდის ბომბარდირი გახდა. ორივემ 4-4 ბურთი გაიტანა, თუმცა ირაკლიმ თანამემამულეზე გაცილებით ნაკლები, 21 მატჩი ჩაატარა.

"სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, ირაკლი მოდებაძე ზაპოროჟიელებს ავსტრიაში არ გაჰყვა და ახალ კლუბს ეძებს. ის გუშინ თბილისში დაბრუნდა და ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- ირაკლი, რა მოხდა, რატომ აღარ ისურვე "მეტალურგში" დარჩენა?**

- გუნდთან კონტრაქტი ექვს თვეში მიმთავრდება. შემომთავაზეს ახალი ხელშეკრულება, რაზეც უარი ვუთხარი და შეკრებაზე არ გავყევი.

**- რომელ გუნდში გადადიხარ?**

- ჯერ სრული გაურკვევლობაა. ამ ექვს თვეში, შეიძლება "მეტალურგიდან" წავიდე, მაგრამ ამას კატეგორიულადაც ვერ ვიტყვი. რა შეიცვლება ამ პერიოდში, წინასწარ ამის თქმა გამიჭირდება.

**- არც ერთ კლუბთან არ დაგიწყია მოლაპარაკება?**

- ვერ ვიტყვი, რომ უკრაინის ყველა გუნდი ამიყვანს-მეთქი, მაგრამ არა მგონია, დარჩენის პრობლემა შემექმნას. თუკი თავისუფალი აგენტი გავხდი, მერე ახალ გუნდს უფრო იოლად მივაგნებ.

დიდი შანსია, ეს ექვსი თვე დავრჩე და მერე წავიდე. პირადად ასე მირჩევნია.

**- როგორც ვიცით, ზაპოროჟიეში ექვსი წელი თამაშობ, მაგრამ ტრავმამ დიდი დრო წაგართვა. ახლა როგორ გრძნობ თავს.**

- როგორც იქნა, გამოვჯანმრთელდი. დრო მართლა გამიცდა. ოთხჯერ გავიკეთე მუხლის ოპერაცია, ერთი სეზონი გამიცდა, მაგრამ ბოლოს ჯანი ისევ ვიგრძენი.

**- თუმცა მეორე წრეში "მეტალურგში", უმთავრესად, შეცვლაზე თამაშობდი.**

- ამბობდნენ, თითქოს ფიზიკურად ბოლომდე მზად არ ვიყავი. არადა ჯანიც მქონდა და თამაშის სურვილიც.

**მერაბ მამულაშვილი**

# მარცვალაძე არსენალში, იმედაშვილი ვლადივოსტოკში?

*პირველი გვერდიდან*

**დავით იმედაშვილმაც** პირი ამოიკერა. *"3-4 დღეში კიევში დავბრუნდები, გუნდი შეკრებას იწყებს და უნდა გავარკვიო, რას აპირებს "დინამოს" პრეზიდენტი"*, - გვითხრა მან. ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა, დათო რუსეთში, ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიაში" გადავიდეს. მან კითხვას თავი აარიდა და ზოგადი პასუხით შემოიფარგლა, ათ დღეში ყველაფერი მეცოდინებაო.

**ოთარ მარცვალაძემ** შედარებით მეტი გაამხილა. პიროვნება, რომელმაც კიეველ ქართველთა შესახებ ინფორმაცია გაგვიმხილა, ამტკიცებს, რომ ოთარსაც რუსეთში იწვევენ, მაგრამ ის, ალბათ, უკრაინაში დარჩება. სავარაუდო კლუბებად კი დნეპროპეტროვსკის "დნეპრი" და კიევის "არსენალი" დაასახელა.

ოთარის თქმით, "არსენალი" უფრო რეალური ჩანს, "დნეპრზე" კი არაფერი მსმენიაო. მას კომენტარი კიეველთა პრეზიდენტის განცხადებაზეც ვთხოვეთ: *"ძირითადში არ მათამაშებდნენ და ვთხოვე, წასვლის საშუალება მოეცა. ეს იყო ჩვენი და არა მისი სურვილი. კარგია, რომ სურკისი დიდ თანხას არ ითხოვს - მხოლოდ იმდენს, რამდენადაც შემიძინეს. იმედია, მალე ახალ კლუბში ჩავირიცხები. ერთ კვირაში ყველაფერი მეცოდინება"*.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალისო ფეხბურთი: გამართლებული პროექტის ახალი პერსპექტივა



ვალერი ჩოლარია

წლებს გამოცდილება მოაქვს, გამოცდილებას ლიდერობა, წარმატება და სახელი იმ საქმეში, რასც შეგნებულად და მიზანმიმართულად ემსახურები. როგორც ნოვაციას, შემდეგ კი საყოველთაოდ გახმაურებულ და ალიარებულ მოძრაობას - "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" ჩამოყალიბებას, სათავე დანიაში დაედო. მას შემდეგ სრული 10 წელიწადი გავიდა. იდეამ საქართველოში ჩამოაღწია გაცილებით გვიან - 2003 წელს, მაგრამ ჩვენში ისეთი ნოყიერი ნიადაგი დახვდა, უფრო სწორად, "ჩვილი ისეთი ძიძების ხელში" აღმოჩნდა, ფეხიც მალე აიდგა და ისე მოღონიერდა, თავისზე უფროსებს თვალდათვალ ჯერ წამოეწია, შემდეგ გაუსწრო კიდეც. რეალობაა: კონფლიქტების რეგიონებში - ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთსა და კავკასია-მოლდოვაში ესოდენ პოპულარულ ზემოხსენებულ მოძრაობას ჰყავს ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი და ეს საქართველოა - გაერთიანებული რეგიონულ ორგანიზაციაში სომხეთთან, აზერბაიჯანთან და მოლდოვასთან ერთად. საგულისხმოა ისიც, რომ რეგიონული ორგანიზაციის შტაბ-ბინა თბილისშია. რეგიონში "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" პროგრამის კოორდინატორია ცნობილი ფუნქციონერი ვალერი ჩოლარიაა, საქართველოში კი ამ ფუნქციას ასრულებს ასევე სფფ-ს ყოფილი თანამშრომელი ბადრი ქარქაშაძე.

"შეგახსენებთ, რომ "სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები" ეს არის ჰუმანიტარული, პოლიტიკურად ნეიტრალური, არაკომერციული პროექტი, რომელსაც ახორციელებს კულტურათა გადაკვეთის საპროექტო ასოციაცია ( კოპენჰაგენი) თავისი რეგიონული ოფისებისა და ფეხბურთის რეგიონული ფედერაციების მონაწილეობით" - ამბობს ჩოლარია.

ძირითადი იდეაა "გართობის კონცეფცია", რაც ნიშნავს იმას, რომ მთავარია გართობა და არა შედეგები და ქულები. ვარჯიშები ისეა შედგენილი, რომ თითოეული მონაწილე მუდმივად განიცდის წარმატების შეგრძნებას. 5 დღის განმავლობაში ბავშვები ცხოვრობენ ფეხბურის სამყაროში.

**- როგორ მიაღწიეთ სამაგალითო წარმატებებს პროექტის განხორციელებაში? - ვკითხეთ ვალერი ჩოლარიას.**

- მოკლედ გეტყვით, - შემოქმედებითად მივუდექით საქმეს და მიუხედავად იმისა, რომ გვიან ჩავერთეთ პროექტში, მონდომებამ მალე მიგვიყვანა სასურველ შედეგამდე.

**- რას გულისხმობთ?**

- მჭიდრო ურთიერთობა დავამყარეთ საფეხბურთო ორგანიზაციებთან, კლუბებთან, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, ავამაღლეთ ღონისძიებების ჩატარების დონე. "ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები" ის სტრატეგიული ინსტრუმენტია სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პროგრამაში მონაწილე საფეხბურთო კლუბებს, მათ მწვრთნელებსა და ბავშვებს შორის არსებული ძველი, დაკარგული მეგობრობისა და სპორტული თანამშრომლობის აღდგენას, შემწყნარებლობას, მშვიდობიან თანაარსებობას, სოციალური კავშირებისა და თანამშრომლობის გაღრმავებას.

სწორედ ჩვენ მოგვენდო პროექტით გათვალისწინებული სემინარების ჩატარება.

**- რა სემინარებზეა საუბარი?**

- პირველი ესაა ინსტრუქტორ-მასწავლებლებისთვის; მეორე - "ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" დირექტორებისა და ლიდერებისთვის; მესამე - მწვრთნელებისთვის. პირველი ღონისძიება ამ დღეებში, კერძოდ 25-28 ივნისს ჩატარდება ბორჯომის სასტუმრო "ოლიმპში", ესაა, ფაქტობრივად, პირველი სემინარი ინსტრუქტორების მოსამზადებლად რეგიონის ოთხივე ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ჩამოვლენ სერბებიც, ძირითადად, ხელმძღვანელობა. მერე ჩვენები ჩავლენ სერბეთში. პროგრამა გაცვლას ითვალისწინებს.

30 ივნისიდან იქვე, ბორჯომში, ოღონდ სასტუმრო "მონოპოლში" ჩატარდება ორდღიანი სემინარი ლიდერებისთვის. შეიკრიბება 20 ლიდერი, ანუ 2-2 წარმომადგენელი ათი სკოლიდან. 4-12 ივლისს ბორჯომში უკვე მწვრთნელთა სემინარი ჩატარდება. 16-20 ივლისს იქვე "ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლის" პროგრამით იმუშავებს სამი სკოლა, 23-28 ივლისს - ოთხი და 6-10 აგვისტოს ორი სკოლა. ბოლო ორი სკოლა საერთაშორისო იქნება. ერთი მათგანია არჩილ არველაძის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა. ამ პერიოდში ჩამოვლენ სომხეთისა და აზერბაიჯანის სკოლები. ვგეგმავთ, რომ ერთი ღონისძიება ცხინვალის რეგიონშიც ჩავატაროთ, ან ახლოს, გააჩნია, რა სიტუაცია იქნება. ზემოხსენებული ბოლო ორი სკოლის მუშაობას მონიტორინგს გაუწევენ ჩამოსული ხელმძღვანელები სათაო ოფისიდან. სტუმრები შეხვდებიან ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ჩართულნი არიან რეგიონში კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში. ივარაუდება ერთი ღონისძიების ჩატარება იმავე ამოცანებით აზერბაიჯანის იმ რეგიონში, სადაც ჩასახლებულები არიან სომეხი ლტოლვილები.

**- როგორი ურთიერთობა გაქვთ სფფ-სთან?**

- წლეულს ჩვენი ურთიერთობა უფრო სასურველ და მობილურ ფაზაში გადავიდა.

**- რაიმე სიახლეებთან გვაქვს საქმე?**

- დიახ.

**- კერძოდ...**

- სფფ-ის გენერალურ მდივან უჩა უგულავასთან მოვილაპარაკეთ ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელების ლიცენზირების თაობაზე. რეგიონული ფედერაციების მეშვეობით, ჩვენი პროგრამით ჩავატარებთ 10 დღიან სემინარს. შემდეგ გამოცდები ჩატარდება და წარჩინებულებს მიენიჭებათ C ლიცენზია, რაც შეთანხმებულია უეფასთან. სხვათა შორის, თუ სურვილი ექნებათ, ბორჯომში ლიდერთა სემინარის მონაწილეებსაც ეძლევათ უფლება გაიარონ სალიცენზიო პროგრამა და მიიღონ ხსენებული კატეგორიის ლიცენზია. ეს ძალიან სერიოზული ნაბიჯია და სფფ-ს აძლევს შესაძლებლობას ხელი მოაწეროს "გრასრუტსის ქარტიას", რაც სფფ-სთვის ფინანსურ სიკეთესთანაა დაკავშირებული. მოკლედ, იქმნება არაპროფესიული ფეხბურთის, ანუ "ფეხბურთი ყველასათვის" დახმარებისა და წინ წამოწევის მატერიალური საფუძვლები.

სფფ-ის ეგიდით და "ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" პროგრამით ქუთაისში ჩატარდა 10 დღიანი სემინარი. საერთოდ, წლეულს ორ სემინარზე გამოცდა გაიარა 77-მა მწვრთნელმა და მიიღო C ლიცენზია.

**- თქვენ თქვით, რომ პროგრამა 10 წლისაა, როგორც ვიცით, ვადა იწურება, თქვენ კი სამომავლო გეგმებს სახავთ.**

- დიახ, ვადა იწურება, მაგრამ გაჩნდა იდეა, განახლებული პროექტი კიდევ ორი წლით, 2012 წლამდე გაგრძელდეს.

**- რას გულისხმობთ განახლებაში?**

- აქამდე თუ მთელ ხარჯებს დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, შვედეთი, ნორვეგია და უეფა იძლეოდნენ, ახლა შემოდის პროცენტული წილის პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ სადაც პროგრამა ხორციელდება, მთლიანი ხარჯების 20 პროცენტი ადგილობრივი უნდა იყოს.

**- რაიმე პრობლემას ხომ არ აწყდებით?**

- აზერბაიჯანმა თანხმობა განაცხადა და შეთანხმება მიღწეულია, მოლდოვასთან ვმუშაობთ, საქართველოსა და სომხეთშიც ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ პროექტი არ დაიხუროს. მით უფრო, რომ შტაბ-ბინა თბილისშია.

**- ვფიქრობთ, ის 20 პროცენტი ღირს იმად, რა სოციალური და პოლიტიკური სიკეთეც მოაქვს პროექტს...**

- გეთანხმებით. დავძენ, რომ ქართული ოფისის დამსახურებაა ისიც, ქართველ სპეციალისტებს ზემოხსენებულ სხვა რეგიონებში საკონსულტაციოდ რომ იწვევენ.

**- ვიცით, რომ პროგრამა რეგიონებს სპორტული ფორმით და ინვენტარითაც უზრუნველყოფს. საბოლოოდ რა ვალდებულება ეკისრება ასეთ სკოლებს?**

- ჯერ იმას გეტყვით, რომ პროგრამის მოთხოვნებით ბავშვთა კონტინგენტი უნდა წარმოადგენდეს ყველა სოციალურ და ეთნიკურ ფენას. ბავშვები შეირჩევიან შემდეგი პრინციპით: 8-12 წლის მინიმუმ 32 გოგონა; გადამწყვეტი არ არის სპორტული მონაცემებით ნიჭიერთა შერჩევა, მთავარია, ბავშვს ჰქონდეს ფეხბურთის თამაშის სურვილი; შესაძლებელია 50 პროცენტი იყოს ბავშვთა ის რაოდენობა, რომლებსაც სურთ ითამაშონ ფეხბურთი კლუბში, მაგრამ ჯერჯერობით არცერთი არ არის ასეთი კლუბის წევრი; მეტი ყურადღება ეთმობა მოზარდებს სოციალურად დაუცველი ან ნაკლებად დაცული ოჯახებიდან, გასათვალისწინებელია სხვა სოციალური გარემოებებიც; პროგრამაში მნიშვნელოვანია საფეხბურთო კლუბების მონაწილეობა, ვისაც ბავშვთა ფეხბურთის გამოცდილება გააჩნია.

ადრეულ ასაკში ზემოხსენებულ პროგრამაში ჩართვა, ბავშვებს ეხმარება სპორტული კულტურის საზოგადოებისთვის სასარგებლო დონემდე ამაღლებაში. დაბოლოს, გეტყვით, რომ მომზადებულია განახლებული პროგრამის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში მას შემდეგ შევა, რაც მას ხელს მოაწერენ მუნიციპალიტეტის, საფეხბურთო კლუბების, საქართველოს და ამიერკავკასია-მოლდოვის ოფისების წარმომადგენლები.

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**




CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-ზე კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩართე!
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



# დელგადო მოამზადებს ფეხბურთელებს არგენტინაში

ედუარდო დელგადომ არგენტინაში მრავალი ფეხბურთელი მოამზადა, მათ შორის, თავისი ვაჟი მატიას დელგადო. მან ასპარეზობა დაიწყო არგენტინის "ჩაკარიტა ხუნიორსის" საფეხბურთო კლუბში, ხოლო შემდეგ კარიერა გააგრძელა შვეიცარიის "ბაზელში". გასული წლიდან, მატიას დელგადო ასპარეზობს თურქეთის "ბეშიქთაშში". მას კლუბთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი რამდენიმე მილიონ ამერიკულ დოლარზე.

ამჟამად, ედუარდო დელგადო არგენტინაში ამზადებს თენგიზ სულაქველიძის აკადემიადამთავრებულ ხვიჩა მურღულიასა და ქალაქ რუსთავის საფეხბურთო გუნდ "მამულის" ფეხბურთელ ვასილ აფციაურს.

ამა წლის ივლისიდან, დელგადო საქართველოდან არგენტინაში იწვევს 16-17-18 წლის პერსპექტიული ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს (18 კაცამდე). დელგადო ფეხბურთელებს მოამზადებს მაღალ დონეზე. მათ შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს, არგენტინისა და ევროპის საფეხბურთო გუნდებში. აგრეთვე, დელგადოს მიერ მომზადებული ფეხბურთელები შეძლებენ, მაღალ დონეზე ითამაშონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

არგენტინის მხარე ავიაბილეთების, ვიზების, ადგილზე ცხოვრების, ტრანსპორტის, კვებისა და მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის, ფეხბურთელებთან და მათ სპონსორებთან შეხვედრები იწარმოებს მისამართზე: თავისუფლების მოედანი, ლეონიძის ქ. 4 (ყოფილი კიროვის ქუჩა), დილის 11 საათიდან 13 საათამდე. ყოველდღე, კვირის გარდა.

საკონტაქტო ტელეფონები: 92 10 60; 8 (99) 23-55-20.
ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან ამა წლის ივლისში.
იჩქარეთ, საბუთების გასაფორმებლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფა

# ევროპა სამუნდიალო შესარჩევის ფორმატს ცვლის

## სომხეთი და აზერბაიჯანი აღარ ითამაშებენ, ცვლილებები იქნება ჩემპიონთა ლიგაშიც...

ჰოლანდიის ქალაქ ჰეერენვეენში გამართულმა უეფას ორდღიანმა ალმასკომმა ევროპულ ფეხბურთში მოსალოდნელ და აუცილებელ ცვლილებებზე იმსჯელა. გადაწყდა, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისთვის შეიცვლება შესარჩევი ციკლის ფორმატი. ვნახოთ, რას გულისხმობს ეს ცვლილება. უფრო სწორი იქნება, ვთქვათ, რომ ეს არის ძველ სისტემაზე დაბრუნება. მოკლედ, ევროპის 53 ნაკრებისგან შეიქმნება 9 საკვალიფიკაციო ჯგუფი (შეგახსენებთ, რომ ამჟამად, ევრო 2008-ის შესარჩევი ტურნირი შვიდ ჯგუფში მიმდინარეობს). აქედან, 8 ჯგუფში 6-6 გუნდი იქნება, ერთშიც - 5. ცხრავე ჯგუფის გამარჯვებული ავტომატურად ხვდება სამხრეთაფრიკული მუნდიალის ფინალურ ეტაპზე, დანარჩენ ოთხ ადგილს (ევროპას 13 ადგილი აქვს გამოყოფილი) კი ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასული საუკეთესო შედეგების მქონე გუნდები ფლეი ოფის სისტემით გაითამაშებენ. თამაშგარეში მხოლოდ ერთი გუნდი დარჩება, ანუ ის, ვისაც 9 მეორეადგილოსანს შორის ყველაზე უარესი შედეგი ექნება.

*"აქ ჩვენ კომპრომისს მივაღწიეთ. წინა მსოფლიო ჩემპიონატის ევროპული ფორმატი მოუქნელი იყო და ბევრს არ მოსწონდა. მაშინ, ჯგუფებში შვიდი-რვა გუნდი იყო, ისევე, როგორც ახლანდელ შესარჩევში. ვფიქრობთ, ახალი მოდელი საკვალიფიკაციო ციკლს უფრო საინტერესოს გახდის"* - უთხრა პრესას უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ**.

ამას გარდა, ალმასკომმა ჩემპიონთა ლიგის ფორმატზეც იმსჯელა, თუმცა გადაწყვეტილებები არ მიუღია. პლატინის თქმით, ცვლილებები 2009/12 წლებში მოხდება: *"რვაჯგუფიანი ფორმატი ჯერჯერობით უცვლელი დარჩება. მომავალი სეზონისთვის შეიცვლება განთესვის სისტემა. ჩვენი მიზანია, ჯგუფური ეტაპი უფრო საინტერესო გავხადოთ, საინტერესო ბოლო ტურამდე. ამ მომენტში, ჩვენ მზად არ ვართ რევოლუციური მოდელისთვის. მაგრამ ცვლილებები აუცილებლად იქნება, ოღონდ, ეს იქნება ეტაპობრივი, ევოლუციური ცვლილებები. საბოლოო გადაწყვეტილებას კი უკვე ამ ზაფხულს, სტამბოლის ალმასკომზე მივიღებთ"*.

ალმასკომმა განიხილა აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრებთა საკითხიც. ეს გუნდები მიმდინარე შესარჩევი ციკლის A ჯგუფში ასპარეზობენ. 8 და 12 სექტემბერს მათ ერთმანეთში უწევდათ თამაში. კალენდრის მიხედვით, პირველი მატჩი აზერბაიჯანში უნდა გამართულიყო, მეორე კი სომხეთში. ამ ქვეყნებს შორის რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო, იმთავითვე ცხადი იყო, რომ თამაშები ნეიტრალურ მოედნებზე უნდა გადაეტანათ. მეზობელ ფედერაციებს 23 ივნისამდე ჰქონდათ დრო, რათა საბოლოოდ შეეთანხმებინათ მატჩების ჩატარების ადგილი. შეთანხმება ვერ მოხერხდა. ალმასკომმა, ერთი შეხედვით, საკამათო, მაგრამ მაინც სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო: სომხეთი-აზერბაიჯანის მატჩები აღარ შედგება.

სამაგიეროდ, ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას უფლება მისცეს, თელ-ავივის გარდა სანაკრებო მატჩები იერუსალიმში, აშდოდსა და ჰაიფაშიც ჩაატაროს. პლუს ამას, გადაწყდა ისიც, რომ ევრო 2008-ის ფინალური ეტაპის დროს ფეხბურთელებს დოპინგზე 31-ვე მატჩის შემდეგ შეამოწმებენ. ბოლოს კი პლატინიმ მაღალი შეფასება მისცა ჰოლანდიაში შაბათს დასრულებულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს:

*"ეს ტურნირი უდავოდ წარმატებაა. გულშემატკივარმა არა ერთი, ნამდვილად მაღალი კლასის თამაში ნახა. წარმატებაა ისიც, რომ ფინალურ ეტაპს თვალს ადევნებდა 200 ათასზე მეტი მაყურებელი. დარწმუნდი, რომ მართალი იყო უეფა, როცა ახალგაზრდული პირველობის ჩატარება კენტ წლებში დაგეგმა. ამ შემთხვევაში, უფრო მეტი დრო და საშუალებაა იმისთვის, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდეს"*.

დიდი გარიგება

# ანრის ტრანსფერი ვენგერმა გადაწყვიტა?

## ანელკა შეიძლება მეთოფეებში დაბრუნდეს, ვენგერი კი ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად ემზადება...

"ბარსელონაში" ტრანსფერიდან ერთი თვის შემდეგ **ტიერი ანრი** ინგლისში დაბრუნდება. კატალონიური გრანდი ერთ-ერთი შეკრების მოწყობას ბირმინგემში აპირებს. ის "დანდი იუნაიტედსა" და "ჰართსთან" ამხანაგურ მატჩებს გამართავს.

"სანდი მირორი" იუწყება, რომ მისი აბარგების გამო "არსენალის" გასახდელში დიდად არავინ ინაღვლებს. თავის დროზე **პატრიკ ვიეირას, მარკ ოვერმარსს, ემანუელ პეტისა** და **ნიკოლა ანელკასაც** იმიტომ დართეს წასვლის ნება, რომ მთავარმა მწვრთნელმა ეს შესაძლებლად მიიჩნია. **არსენ ვენგერმა** ჩათვალა, რომ ეს ფეხბურთელები კლუბს მეტს ველარაფერს შესძენდნენ. ამიტომ თითოეული მათგანი სარფიანად გაყიდა. "მირორის" მტკიცებით, ანრის შემთხვევაც ანალოგიურია. მარტო ფეხბურთელმა კი არა, მწვრთნელმაც გადაწყვიტა, რომ მისი წასვლის დრო იყო. ტიერის აბარგება ნიჭიერ ახალგაზრდებს ძირითადში მოხვედრას გაუადვილებს.

საჯარო გამოსვლებისას ვენგერი ანრის ღვაწლს, რა თქმა უნდა, სათანადოდ დააფასებს. ფრანგი ვარსკვლავის მონაგარი შესაშურია: 364 მატჩი, 226 გოლი, ორგზის ინგლისის ჩემპიონობა და ოთხგზის ასოციაციის თასი, ასევე ოთხგზის პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული. მაგრამ დღეს სტრატეგიული გადაწყვეტილების დროა. ტიერის გაყიდვა ვენგერის სტრატეგიის ნაწილად უნდა შეფასდეს.

გასული წლის ნოემბერში მოსიე არსენმა პირველად აღიარა, რომ ანრი ახალგაზრდა ფეხბურთელებს აგრესიულად ეპყრობოდა. თუ რომელიმე თინეიჯერი თამაშისას ან ვარჯიშისას შეცდომას უშვებდა, ტიერი მას უხეშად მიმართავდა. ყოფილა შემთხვევები, როცა ვარსკვლავს თანაგუნდელებზე გაუწევია და მწვრთნელები ჩარეულან. ესე იგი, ტიერი მეგობრული ატმოსფეროს ჩამოყალიბებას არ უწყობდა ხელს.

მსგავსი პრობლემების გამო, **სერ ალექს ფერგიუსონმა** "მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული კაპიტანი **როი კინი** დაითხოვა. ფერგის იმის აღნიშვნაც არ დავიწყნია, რომ კინის წასვლა **კრისტიანო რონალდოზე** პოზიტიურად აისახა. ესე იგი, ანრის აბარგებაც ახალგაზრდებისათვის ხელის შეწყობად ხომ არ უნდა მივიჩნიოთ?

ტრანსფერი ჯერ არ დასრულებულა. "არსენალმა" კი უკვე ორი ფეხბურთელი შეიგულა, რომელთაც ტიერის შეცვლას დააკისრებს. ვენგერის უპირველესი სამიზნეა ბარსელონელი **სამუელ ეტოო**. ვნახოთ, გაყიდის თუ არა მას კატალონიური გრანდი ანრის შეძენის შემდეგ. მეორე ფავორიტია **დავიდ ტრეზეგე**, რომელსაც "იუვემ" ახალ კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ მისი ტრანსფერი მაინც არ არის გამორიცხული. **ფერნანდო ტორესის** საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. ის ძალიან ძვირი, 30 მილიონი გირვანქა ღირს. თანაც "არსენალის" ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ტორესი ლონდონელთა ახალგაზრდა თავდამსხმელების დონისაა. მესამე პოტენციურ სამიზნედ ლიონელი **ფლორან მალუდა** მიიჩნევა. ის 15 მილიონ გირვანქა ღირს და მარცხენა გარემარბია, მაგრამ გავიხსენოთ, რომ "არსენალში" გადასვლისას ანრიც მარცხენა ფლანგზე თამაშობდა. გუშინდელმა "დეილი მეილმა" გვაუწყა, რომ "მეთოფეები" "ბოლტონს" 11 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ **ნიკოლა ანელკას** სანაცვლოდ. საინტერესოა, დაბრუნდება თუ არა ექსცენტრული თავდამსხმელი ლონდონურ კლუბში. 28 წლის ანელკა "მეთოფეებმა" 1999 წელს "რეალში" გაყიდეს. რვა წლის წინათ მადრიდელებმა 22 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ერთი წლის წინათ ნიკოლა ინგლისში დაბრუნდა. "ბოლტონმა" ის "ფენერბაჰჩედან" 8 მილიონად შეიძინა. ფორვარდმა პრემიერლიგის 35 მატჩში 11 გოლი შეაგდო, აქედან სამჯერ "არსენალი" დაამწუხრა. ნიკოლა 17 წლის იყო, როცა ვენგერმა "პარი სენ ჟერმენში" შეამჩნია და 1997 წელს 500 გირვანქად შეიძინა. ანელკას მეგობრები თითქმის არცერთ კლუბში ჰყოლია. ამიტომ ყველა გააკვირვა მისმა უჩვეულო ხელგაშლილობამ, როცა ორიოდ კვირის წინ მაროკოში ქორწილი გადაიხადა და "ბოლტონის" სამწვრთნელო შტაბი, ფეხბურთელები და ბაზის უბრალო ტექნიკური პერსონალიც კი საკუთარი ხარჯით წვეულებაზე ჩაიყვანა.

აქვე ბოლო ცნობები, რომელიც პირადად ვენგერს უკავშირდება. მის საკითხს კვირის ბოლომდე უნდა მოეფინოს ნათელი. უახლოეს დღეებში მოსიე არსენი კლუბის უმაღლეს ხელისუფლებას შეხვდება. მწვრთნელს ახალ ოთხწლიან კონტრაქტს შესთავაზებენ და საზაფხულო ტრანსფერებზე მოურიგდებიან. "სანს" ეჭვი არ ეპარება, რომ ტიერის აბარგების მიუხედავად, ვენგერი დარჩება და "ემირიტს სთედიუმზე" 2011 წლამდე იმუშავებს.




### ამასობაში, ბარსელონა ზეიმობს

კატალონიელები 29 წლის ვარსკვლავში 16 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. ფეხბურთელი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. მისი კვირეული ანაზღაურება 128 ათასი გირვანქა იქნება. რვა წლის წინათ ტიერი "იუვენტუსიდან" 10.5 მილიონად შეიძინეს.

ანრის ტრანსფერს "ბარსელონის" ვარსკვლავები და ხელმძღვანელები დიდი სიხარულით შეხვდნენ. გაირკვა, რომ ფრანგი ფორვარდის "კამპ ნოუზე" გამოჩენას ყველა მოუთმენლად ელის. თავდაპირველად **რონალდინიოს** გუშინდელ განცხადებას გაგაცნობთ: *"როცა გავიგე, რომ ანრი შევიძინეთ, უზომოდ გამიხარდა. ალბათ, ბევრმა იცის, რომ ტიერის გადაბირების სურვილი შარშანაც არსებობდა, მაგრამ მაშინ ჩემპიონთა ლიგის ფინალში "არსენალს" მოვუგეთ და ტრანსფერი ამიტომაც ჩაიშალა. ანრი ფიქრობდა, რომ "მეთოფეთა" დამმარცხებელ კლუბში გადაბარგება ლონდონელი ქომაგებისთვის ზურგში ლახვარის ჩაცემის ტოლფასი იქნებოდა. მადლობა ღმერთს, წელს პრობლემები აღარ წარმოიქმნა და ტიერი ბარსელონელი გახდა. შეუძლებელია, მისი ნიჭითა და უნარებით არ მოიხიბლო. ფრანგი ფორვარდი ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო, სწრაფი და ტექნიკური ფორვარდია. დარწმუნებული გახლავართ, მასთან ერთად უდიდეს წარმატებებს მივაღწევთ. უდავოა, რომ თავდასხმა კიდევ უფრო გაძლიერდება. რატომღაც ბევრს მიაჩნია, რომ ტიერის მოსვლით შემადგენლობაში სიტუაცია დაიძაბება. არ მესმის, რის საფუძველზე აკეთებენ ასეთ დასკვნებს? ეჭვი არ მეპარება, რომ ფანტასტიკური ტრიოს, ან კვარტეტს ჩამოვაყალიბებთ და უმაღლეს მწვერვალებს დავიპყრობთ. მერწმუნეთ, ეგოიზმთან დაკავშირებული პრობლემები არ გვემუქრება. არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ პირადად მე ტიერი ანრის ტრანსფერით აღფრთოვანებული გახლავართ."*

"დიარიო ასმა" "ბარსას" მთავარი მწვრთნელის, **ფრანკ რიიკაარდის** განცხადებაც გამოაქვეყნა: *"ხელმძღვანელობამ შესანიშნავად იმუშავა. ანრი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და კვალიფიციური თავდამსხმელია. ასეთები კი სწორედ "ბარსელონაში" უნდა თამაშობდნენ. ჩიკი ბეგირისტაინი ნამდვილი პროფესიონალია. ახლა, ალბათ, არ არის საჭირო იმაზე დაწვრილებით საუბარი, თუ რა ღირსებებს ატარებს ფრანგი თავდამსხმელი. განა ძნელი მისახვედრია, რომ ანრი შეტევის ხაზს ერთი-ორად გააძლიერებს? მერწმუნეთ, ტიერი კარგად ჩაეწერება "ბარსელონაში" და დიდი გამარჯვებების მოპოვებაში დაეხმარება. ჩემი აზრით, ის პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირობის ერთ-ერთი კანდიდატი იქნება. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ამ ტრანსფერის შემდეგ კონკურენცია მნიშვნელოვნად გაიზრდება. აქვე იმ სკეპტიკოსებსაც გამოვეხმაურები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მსოფლიო კლასის ვარსკვლავის გამოჩენა, შემადგენლობაში დაპირისპირება გაჩნდება. გადაწყვეტილებებს მე მივიღებ. ჩემს მითითებას ყველა უსიტყვოდ დაემორჩილება. ვფიქრობ, არანაირ პრობლემას არ წავაწყდებით."*

რიიკაარდი მეტისმეტად ოპტიმისტურადაა განწყობილი, თუმცა ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, იმ შემთხვევაში, თუ **სამუელ ეტოო** "ბარსელონაში" დარჩება და ძირითად შემადგენლობაში ანრის დაუთმობს ადგილს, სკანდალი გარდაუვალი იქნება. ცნობილია, რომ კამერუნელი ფორვარდი სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ავადმყოფურად მტკივნეულად აღიქვამს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

გმადლობთ და მშვიდობით!

## ტიერი ანრი: რატომ მივდივარ...

ასე ძალიან წერილის დაწერა არასოდეს გამჭირვებია. გულისტკივილით ვემშვიდობები კლუბს, რომელიც მთელი არსებით მიყვარს. "არსენალში" რვა ფანტასტიკური სეზონი გავატარე. თითოეულმა წუთმა დაუვიწყარი სიამოვნება მომანიჭა. 2005-06 წლების სეზონის ბოლოს პირველად აღმოვჩნდი გზის გასაყარზე. მაშინ პირველად მომიხდა გადაწყვეტილების მიღება მომავალ სამუშაოსთან დაკავშირებით. მე მიყვარდა "არსენალი", ვაღმერთებდი ფანებს, თანაგუნდელებსა და ქალაქს. მაგრამ ახალი კონტრაქტი უფრო მეტად ორი ადამიანის გამო გავაფორმე. ჩემპიონთა ლიგის ფინალიდან ორი დღის შემდეგ პრესკონფერენცია გავმართე. იქ ჩემგან მარცხნივ არსენ ვენგერი იჯდა, მარჯვნივ - დევიდ დინი. ჰოდა, ვთქვი კიდეც, რომ ამ ხალხის გულისათვის მზად ვიყავი, კარიერის დასრულებამდე "არსენალში" მეთამაშა.

ერთ წელიწადში ვითარება კარდინალურად შეიცვალა. დევიდ დინი წავიდა. გუნდსა და მწვრთნელს კი სტაბილურობის განცდა დაეკარგათ. რაც თავი მახსოვს, არსენ ვენგერი ჩემი ცხოვრების ნაწილია. ის ჩემი მწვრთნელი იყო "მონაკოში" და მერე "არსენალში". მინდა, მჯეროდეს, რომ მინდორზე ყოფნისას ნაწილობრივ მაინც გავუმართლე იმედები, რომელსაც ყოველთვის უშურველად მიკავშირებდა. სამწუხაროდ, მან თქვა, რომ მოქმედი კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობს, ხოლო მისი ამოწურვის შემდეგ კლუბიდან წასვლას არ გამორიცხავს. არსენის შესანიშნავად მესმის. პატივს ვცემ მის გადაწყვეტილებასა და გულწრფელობას, მაგრამ მომავალი სეზონის ბოლო უკვე 31 წლის ვიქნები. ასეთ ასაკში ვენგერისა და დინის გარეშე "არსენალში" დარჩენა დიდი რისკია.

ან დღეს, ან არასოდეს. ვამბობ "დღეს" და გული საშინლად მწყდება. გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მივიღე. საკუთარ თავს მე წარმოვადგენ ამ ტრანსფერის დროს. მიმაჩნია, რომ "ბარსელონაზე" უარის თქმის უფლება არ მაქვს. "ბარსა" უდიდესი ტრადიციის კლუბია. ის საუცხოო ფეხბურთს თამაშობს. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბედნიერი ვიქნები.

...მაგრამ "არსენალის" გულშემატკივარიც ძალიან მომენატრება. ისინი სამუდამოდ დარჩებიან ჩემს გულში. ისინიც და მთელი "არსენალიც". მადლობა ყველას, რომელთაც ჩემი ამ ქვეყანაში ყოფნა დღესასწაულად აქციეთ. გპირდებით, არასოდეს დაგივიწყებთ.

ტიერი ანრი

23 ივნისი, 2007 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიური ტრანსფერები 2007/08

# ამ მომენტისთვის...

### ატალანტა

**მოვიდნენ**: მუსლიმოვიჩი (თავ, პარმა);

**წავიდნენ**: მილიაჩო (ნახ, პალერმო), დონატი (ნახ, მილანი), ვენტოლა (A, ტორინო), დელ ნერი (მწვ, კიევო), კოლანტუონო (მწვ, პალერმო).

### კალიარი

**მოვიდნენ**: მატრი (თავ, რიმინი), ლარივეი (თავ, ურაკანი არგენტინა), მარუოკო (მეკ, ფოჯა), შალა (ნახ, ფოჯა);

**წავიდნენ**: სუასო (თავ, ინტერი), პეპე (თავ, უდინეზე).

### კატანია

**მოვიდნენ**: ბაბუ (თავ, ვერონა), ჯაკ. ტედესკო (ნახ, რეჯინა), ვიზონე (ნახ, სამბენედეტეზე), ფალკონიერი (თავ, ბრინდიზი), გაცოლა (ნახ, სასარი ტორესი), დელ კორე (თავ, ჩეზენა), ანასტაზი (ნახ, ჩეზენა), დანუჩი (ნახ, ჩეზენა), ბალდინი (მწვ);

**წავიდნენ**: მარინო (მწვ, უდინეზე).

### ემპოლი

**მოვიდნენ**: აბატე (ნახ, მოდენა), პარო (ნახ, იუვენტუსი), ვოლპატო (თავ, იუვენტუსი), ჯოვინკო (ნახ, იუვენტუსი), ანტონინი (ნახ, სიენა);

**წავიდნენ**: ლუკინი (მცვ, სამპდორია), ალმირონი (ნახ, იუვენტუსი).

### ფიორენტინა

**მოვიდნენ**: მაზუხი (მცვ, ბრნო ჩეხეთი), ვანდენ ბორე (მცვ, ანდერლეხტი), ბალცარეტი (მცვ, იუვენტუსი), ბოჟინოვი (თავ, იუვენტუსი), ჰაბლე (ნახ, ჰრადეც კრალოვე ჩეხეთი), ლუპოლი (თავ, არსენალი);

**წავიდნენ**: ტონი (თავ, ბაიერნი).

### ჯენოა

**მოვიდნენ**: პეგოლო (მეკ, ვერონა), ბარასო (მეკ, ტარანტო), ბორიელო (თავ, მილანი), მაზიელო (მცვ, სიენა);

**წავიდნენ**: კრიშიტო (მცვ, იუვენტუსი).

### ინტერი

**მოვიდნენ**: სეზარ აპარესიდო (ნახ, ლივორნო), აკვაფრესკა (თავ, ტრევიზო), სუასო (თავ, კალიარი);

**წავიდნენ**: მარკ გონსალესი (ნახ, პალერმო), რიბასი (თავ, ლივორნო).

### იუვენტუსი

**მოვიდნენ**: მოლინარო (მცვ, სიენა), გრიგერა (მცვ, აიაქსი ჰოლანდია), კრიშიტო (მცვ, ჯენოა), ნოჩერინო (ნახ, პიაჩენცა), სალიჰამიჯიჩი (ნახ, ბაიერნი), ტაკინარდი (ნახ, ვილიარეალი), მიკოლი (თავ, ბენფიკა), იაკუინტა (თავ, უდინეზე), გასტალდელო (მცვ, სიენა), ალმირონი (ნახ, ემპოლი), ტიაგო (ნახ, ლიონი), რანიერი (მწვ);

**წავიდნენ**: ბალცარეტი (მცვ, ფიორენტინა), კოვაჩი (მცვ, ბორუსია დორტმუნდი), ტუდორი (მცვ, ჰაიდუკი ხორვატია), ბოჟინოვი (თავ, ფიორენტინა), დეშამი (მწვ).

### ლაციო

**მოვიდნენ**: კორალოვი (მცვ, ოფკ სერბეთი), ფოჯა (ნახ, რეჯინა), კუადრი (ნახ, სპეცია), კორეა (ნახ, ლუკეზე), დელ ნერო (ნახ, ბრეშა);

**წავიდნენ**: პერუცი (მეკ, პენსია).

### ლივორნო

**მოვიდნენ**: მაცონი (მეკ, ლეკო), ლოვიზო (ნახ, სამბენედეტეზე), ე. ფილიპინი (ნახ, ბოლონია), რიბასი (თავ, ინტერი);

**წავიდნენ**: სეზარ აპარესიდო (ნახ, ინტერი), კუფური (მცვ, რომა), ფიორე (ნახ, ვალენსია), პფერტცელი (მცვ, ბოხუმი).

### მილანი

**მოვიდნენ**: აბიატი (მეკ, ტორინო), დონატი (ნახ, ატალანტა), სამარკო (ნახ, კიევო), ანტონინი (ნახ, სიენა/ემპოლი);

**წავიდნენ**: კოსტაკურტა (მცვ, პენსია), აბატე (ნახ, ემპოლი), ბორიელო (თავ, ჯენოა), დონატი (ნახ, სელტიკი).

### ნაპოლი

**მოვიდნენ**: ლაკრიმინი (მცვ, ფროზინონე), ჯილიო (თავ, გალიპოლი);

**წავიდნენ**: არავინ.

### პალერმო

**მოვიდნენ**: მილიაჩო (ნახ, ატალანტა), უიკანი (მეკ, ანდერლეხტი), კოლანტუონო (მწვ, ატალანტა);

**წავიდნენ**: კორინი (ნახ, ტორინო), პარავიჩინი (ნახ, პარმა), კარაჩოლო (თავ, სამპდორია), გვიდოლინი (მწვ).

### პარმა

**მოვიდნენ**: ფალკონე (მცვ, სამპდორია), მ. როსი (მცვ, მოდენა), სავი (ნახ, მონცა), პარავიჩინი (ნახ, პალერმო), დი კარლო (მწვ, მანტოვა);

**წავიდნენ**: გრელა (ნახ, ტორინო), მუსლიმოვიჩი (თავ, უდინეზე), ჯ. როსი (თავ, მანჩესტერ იუნ), რანიერი (მწვ, იუვენტუსი).

### რეჯინა

**მოვიდნენ**: პაბლო ალვარესი (მცვ, ნასიონალი ურუგვაი), მიგელ გარსია (მცვ, სპორტინგი ლისაბონი), იოლსონი (თავ, ალბინოლეფე), ფიკადენტი (მწვ, ვერონა);

**წავიდნენ**: ჯაკ. ტედესკო (ნახ, კატანია), ფოჯა (ნახ, ლაციო), მაძარი (მწვ, სამპდორია).

### რომა

**მოვიდნენ**: ალვარესი (ნახ, მესინა), ბრიგი (ნახ, კიევო), პიტი (ნახ, ბელინცონა შვეიცარია), ჟუანი (მცვ, ლევერკუზენი), კუფური (მცვ, ლივორნო);

**წავიდნენ**: ვილჰელმსონი (ნახ, ნანტი), ტავანო (თავ, ვალენსია).

### სამპდორია

**მოვიდნენ**: ლუკინი (მცვ, ემპოლი), ბელუჩი (თავ, ბოლონია), კარაჩოლო (თავ, პალერმო), მაძარი (მწვ, რეჯინა);

**წავიდნენ**: ფალკონე (მცვ, პარმა), კვალიარელა (თავ, უდინეზე), ნოველინო (მწვ, ტორინო).

### სიენა

**მოვიდნენ**: ელეფთეროპულოსი (მეკ, ასკოლი), იაროლიმი (ნახ, სლავია ჩეხეთი), მანდორლინი (მწვ, პადოვა);

**წავიდნენ**: მოლინარო (მცვ, იუვენტუსი), გასტალდელო (მცვ, იუვენტუსი), ანტონინი (ნახ, ემპოლი), მაზიელო (მცვ, ჯენოა), ბერეტა (მწვ).

### ტორინო

**მოვიდნენ**: მალონგა (თავ, მონაკო), კორინი (ნახ, პალერმო), გრელა (ნახ, პარმა), ვენტოლა (თავ, ატალანტა), ბელანოვიჩი (თავ, ასკოლი), პ. ძანეტი (ნახ, ასკოლი), ნოველინო (მწვ, სამპდორია);

**წავიდნენ**: გალო (ნახ, ნოვარა), ბოვო (მცვ, პალერმო), აბიატი (მეკ, მილანი), დე ბიაზი (მწვ).

### უდინეზე

**მოვიდნენ**: ჰანდაროვიჩი (მეკ, რიმინი), მიკოლუჩი (მცვ, ბარი), ინლერი (ნახ, ციურიხი), ფლორო ფლორესი (თავ, არეცო), კანდრევა (ნახ, ტერნანა), პეპე (თავ, კალიარი), კვალიარელა (თავ, სამპდორია), მარინო (მწვ, კატანია);

**წავიდნენ**: მუნტარი (ნახ, პორტსმუთი), იაკუინტა (თავ, იუვენტუსი), მალეზანი (მწვ).



ფაბიო კანავარო

**ფაბიო კანავაროს** იტალიაში დაბრუნებამდე ბევრი აღარ უკლია. საქმე იქითკენ მიდის, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი და "რეალი" კონტრაქტს გაწყვეტენ და მშვიდობიანად გაიყრებიან. ამის ერთ-ერთი წინაპირობა კანავაროსა და "იუვეს" სპორტულ დირექტორ **ალესიო სეკოს** შორის კვირას გამართული ხანგრძლივი სატელეფონო საუბარია, რომლის დროსაც დაბრუნების დეტალები განიხილეს. როცა ფეხბურთელს გასულ კვირას ჰკითხეს, აპირებდა თუ არა "იუვენტუსში" გადასვლას, მისი პასუხი ასეთი იყო - ტურინში ჩემი ტელეფონის ნომერი იციან, ან შეუძლიათ, ჩემს აგენტსაც დაუკავშირდნენო...

სავარაუდო ტრანსფერი

# კანავაროს ტურინიდან დაურეკეს...

ეს თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ "კანას" სამშობლოში დაბრუნება სურს და დიალოგისთვისაც მზადაა. მაგრამ ფაბიო არ არის ის პერსონა, რომელსაც "იუვე" აგენტის საშუალებით უნდა ელაპარაკებოდეს, თუმცა ვერც ამ აგენტს აუვლიან გვერდს. "ტუტოსპორტის" მტკიცებით, ამ კვირაში სეკოსთან ერთად კანავაროს წარმომადგენელ **ენრიკო ფედელეს** ტურინელთა გენერალური მენეჯერი **ჟან-კლოდ ბლანიც** შეხვდება. მოლაპარაკების მთავარი თემა ფეხბურთელის ხელფასი იქნება. "რეალში" კანავაროს წლიური ჯამაგირი 3 მილიონი გირვანქაა. 2009 წლამდე, ვიდრე მადრიდულ ხელშეკრულებას ყავლი გაუვა, მცველი ტურინშიც ამდენივეს აიღებს. მერე კი დასხდებიან და ახალ პირობებზე მოილაპარაკებენ.

იუვენტუსი

# რანიერი: ეს უკვე ჩემი გუნდია!

## ...მაგრამ დაცვის ცენტრში რაღაც გვაკლიაო

**კლაუდიო რანიერის** ინტერვიუ ამ ათიოდ დღის წინათ შემოგთავაზეთ, მაგრამ მას შემდეგ "იუვეში" ბევრი რამ შეიცვალა და კიდევ შეიცვლება. ტურინელთა ახალ დამრიგებელს "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტი დაუკავშირდა. რანიერი დარწმუნებულია, რომ კარგი გუნდი კეთდება და ეს უკვე მისი გუნდია. ის თვლის, რომ "იუვენტუსი" ნებისმიერი მეტოქისთვის სერიოზული თავისტკივილი იქნება:

*"როცა კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდი, მაშინვე მითხრეს, რომ იყო საკმარისი ფული იმისთვის, რათა ახალი და ძლიერი გუნდის კონსტრუირება დაგვეწყო. არ იყო საჭირო ზედმეტი საუბარი იმაზე, რომ "იუვენტუსმა" რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიბრუნოს კუთვნილი ადგილი მსოფლიო საკლუბო ფეხბურთში. ბედნიერი ვარ, რომ დირექტორები სიტყვას ასრულებენ. მომავალ სეზონში ჩვენი მთავარი ობიექტივი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება იქნება".*

გასულ კვირას, "ქალბატონმა" **სერხიო ალმირონი** (ემპოლი), **ტიაგო მენდეში** (ლიონი), **ვინჩენცო იაკუინტა** (უდინეზე), **კრისტიან მოლინარო** (სიენა), **ანტონიო ნოჩერინო** (პიაჩენცა) და **დომენიკო კრიშიტო** (ჯენოა) გაიფორმა. რანიერი აგრძელებს:

*"ტიაგოსაცა და ალმირონსაც ჩინებული ტექნიკური მონაცემები აქვთ. მაგრამ ნახევარდაცვაში დიდი კონცენტრაცია და მძიმე სამუშაოს შესრულებაც დაგვჭირდება. კარგია, რომ ისინი ლიდერის თვისებებითაც გამოირჩევიან. ორივე კარგად უხამებს ერთმანეთს დაცვით და შეტევით ფუნქციებს. უნივერსალიზმი ჩემი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. ამ მომენტისთვის, ნახევარდაცვის კომპლექტაციის საქმე კარგად მიდის და ეს კომფორტს მიქმნის. ამ რგოლს ტვინის ფუნქცია აქვს. შესაბამისად, მისი სიმტკიცე და აზროვნება გუნდისთვის უმთავრესი პლუსია".*

რანიერის ნახევარდაცვაში რამდენიმე ვარიანტი აქვს. აქ არიან **კრისტიანო ძანეტი** და **პაველ ნედვედიც**: *"ალმირონი, ტიაგო და ძანეტი ნახევარდაცვის სამი მთავარი ძალაა. ჩვენ გვყავს ნედვედიც, რომელსაც ცენტრშიც შეუძლია თამაში და ფლანგზეც".*

რაც შეეხება დაცვას: *"მარცხენა ფლანგს საიმედოდ ვაკომპლექტებთ. უკვე ავიყვანეთ მოლინარო, რომელმაც "სიენაში" კარგი სეზონი ჩაატარა და რეალურად შეუძლია, თავის ზონაში თითქმის გაუვალი იყოს. არ უნდა დავივიწყოთ კიელინი და ახალბედა კრიშიტოც. მარჯვნივ კი გამოცდილი ბირინდელი და ძებინა არიან".*

ალბათ, რანიერის მთავარი საფიქრალი თავდასხმა იქნება. მას შემდეგ, რაც **დავიდ ტრეზეგემ** კონტრაქტის გაგრძელება იუარა, შეიძლება ითქვას, წინა ხაზის საკითხი ნაწილობრივ ჰაერშია გამოკიდებული. მართალია, "იუვეს" ჰყავს **ალესანდრო დელ პიერო** და მას ახლა **ვინჩენცო იაკუინტაც** დაემატა, მაგრამ მარათონული სეზონისთვის, ისევე, როგორც დიდი მიზნებისთვის ბრძოლაში, ეს საკმარისი არ იქნება: *"რატომ არ შეუძლია იაკუინტას დელ პიეროს გვერდით თამაში? ან თუნდაც ტრეზეგესთან? სადაცაა დაიწყება წინასასეზონო მზადება და ვნახავთ, რაც გამოჩნდება ამ პერიოდში. იაკუინტას 6 წლის განმავლობაში ვაკვირდები და ერთხელ, "ჩელსისა" და "უდინეზეს" ამხანაგური მატჩის შემდეგ, კომპლიმენტიც ვუთხარი. მიუხედავად იმისა, რომ ის ცოტა უხეში იყო, დიდი მოთამაშის თვისებების წარმოჩენაში მას ხელი არ შეშლია. მას შემდეგ, დიდი დრო გავიდა. ფაქტია, რომ იაკუინტა ახლა მსოფლიო ჩემპიონია. ის განსაკუთრებით მომწონს იმ თვისების გამო, რასაც ჰქვია ბოლომდე, ყოველი ბურთისთვის ბრძოლა. მასში არის მეომრის სულისკვეთება და ახლა ეს გვჭირდება სწორედ".*




რანიერი ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ოცნებობს

რანიერის ნედვედზეც ჰკითხეს. მოგეხსენებათ, დიდი ჩეხი ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებს: *"ისევე, როგორც ყველას, მეც იმედი მაქვს, რომ პაველი დარჩება. მესმის, რომ სერია B-ში თამაში მისთვის ადვილი არ იყო, მაგრამ რატომ არ შეიძლება, ლიდერის ფუნქცია დაიბრუნოს და გუნდს სერია A-შიც წარუძღვეს? ვფიქრობ, ის გააგრძელებს თამაშს. ნედვედი იმ ელემენტს ჰგავს, რომელიც ყოველთვის დამუხტულია".*

**ფაბიო კანავაროს** შესაძლო დაბრუნება: *"ჩვენ სატრანსფერო კამპანია არ დაგვიმთავრებია, რადგან დაცვის ცენტრში რაღაც გვაკლია. ცენტრალური მცველი ნამდვილი ლიდერი უნდა იყოს. ეს უნდა იყოს ფეხბურთელი, რომელიც საჯარიმო მოედნის მბრძანებელია, აქვს დიდი ტაქტიკური განსწავლულობა და აიძულებს სხვა მცველებსაც, აგრესიულები იყვნენ".*

# ულტიმატუმი მილიტოს

## იუვეს ოფიციოზი დღეს სარაგოსას გაფრინდება...



"იუვენტუსს" **გაბრიელ მილიტოზე** ხელი ჯერ არ აუღია, თუმც საქმეში "რეალის" ჩარევამ "ქალბატონის" გეგმები ეჭვქვეშ დააყენა. არგენტინელი მცველი 13.4 მილიონი გირვანქა ღირს. "სარაგოსის" პრეზიდენტი **აგაპიტო იგლესიასი** კი დუმს და ელოდება, რომ გრანდების დავა მილიტოს ფასს კიდევ უფრო გაზრდის.

დღეს, "იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** სარაგოსას გაფრინდება და იგლესიასს შეხვდება. ტურინელებს არაგონელებთან სიტყვიერი შეთანხმება მიღწეული აქვთ და ნერვიულობენ, რომ ტრანსფერის საკითხი ადგილიდან არ იძვრის. მათ წისქვილზე ისიც ასხამს წყალს, რომ იგლესიასს არ სურს ფეხბურთელის ესპანურ კლუბში გაყიდვა. სეკო ესპანეთში ბოლო შეთავაზებით ჩადის. "იუვე" მზადაა, ახლავე გაიღოს 12 მილიონი გირვანქა, ხოლო დანარჩენს იმ შემთხვევაში გადაიხდის, თუ ტურინული გრანდი საგაისოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს.

ბუცები ლურსმანზე?

# ნედვედი ამ კვირაში იტყვის...

**პაველ ნედვედი** პრესას დაპირდა, რომ 30 ივნისამდე სპეციალურ განცხადებას გააკეთებს. რა უნდა თქვას ამისთანა? "იუვენტუსიდან" მიდის? თუ საერთოდ ფეხბურთს ემშვიდობება? ალბათ, უფრო ბოლო ვერსიაა სწორი. როგორც ჩანს, მთლად საქმის კურსში არც მისი აგენტი **მინო რაიოლაა**. აი, რას ამბობს იგი თავისი კლიენტის მომავალზე:

*"თუ ტურინული კლუბის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არ დალაპარაკებია მას, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ის ნამდვილად აპირებს ფეხბურთისთვის თავის დანებებას. მაგრამ მას კვლავაც შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რომ თუ წასვლა აქვს გადაწყვეტილი, გადავათქმევინო და დავარწმუნო, რომ ჯერ ადრეა".*

ნედვედი ჯერ კიდევ შარშან აპირებდა ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, როგორც კი "ბიანკონერი" სერია B-ში მიაბრძანეს. ჩეხი ვეტერანი გაჭირვებაში გუნდს გვერდით დაუდგა და აღზევებაშიც დაეხმარა. ახლა "იუვეში" დიდი ცვლილებებია, მოვიდა ახალი მწვრთნელი, მოდიან ახალი ფეხბურთელები და მოდიან პაველზე ბევრად ახალგაზრდები. ბუნებრივია, 35 წლის ნედვედს ეჭვი უჩნდება, რომ "იუვენტუსს" ის აღარ სჭირდება. მისთვის ეს ჯერ არავის უთქვამს, მაგრამ ვიდრე სკამზე გაამწესებდნენ, ურჩევნია, ფეხბურთს მეტ-ნაკლებად მაჟორულ ნოტაზე დაემშვიდობოს. ნედვედი დარწმუნებულია, რომ "ქალბატონის" წინაშე ვალი პირნათლად მოიხადა.

ტურინში ის 2001 წელს გადაბარგდა. მანამდე პრალის "დუკლაში", "სპარტასა" და "ლაციოში" თამაშობდა. ზოგი ექსპერტი თვლის, რომ კარიერის საუკეთესო წლები ნედვედმა სწორედ რომში გაატარა, იქ იყო მისი პიკი, თუმც კი ფაქტია, რომ 2003 წელს, როცა "ფრანს ფუტბოლის" ტრადიციული "ოქროს ბურთი" გადასცეს, "იუვენტუსის" მოთამაშე გახლდათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფაბიო კვალიარელა

ტრანსფერის მოლოდინში

# კვალიარელა: იუვენტუსში მინდა!

**ფაბიო კვალიარელა** "ჩვენებას" ცვლის. გასულ კვირას ის სრულ ეიფორიაში იყო, როცა "მანჩესტერ იუნაიტედის" ინტერესზე შეიტყო. "მანკუნიანელები" ბოლო იტალიური სეზონის "აღმოჩენას" 10 მილიონ გირვანქად ყიდულობდნენ. მაგრამ საქმეს ართულებდა ის ფაქტი, რომ კვალიარელა "სამპდორიასა" და "უდინეზეს" თანამფლობელობაში იყო. აუქციონის შემდეგ, ის უდინელთა ერთპიროვნულ საკუთრებაში გადავიდა. ფრიულულმა კლუბმა მასში 7.3 მილიონი ევრო გადაიხადა. ახლა გაცილებით იოლია მოლაპარაკებების დაწყება. მიუხედავად "უდინეზეს" პრეზიდენტ **ფრანკო სოლდატის** განცხადებისა, რომ კლუბს ფორვარდის შენარჩუნება სურს, ეჭვი არავის ეპარება, რომ მომავალი სეზონიდან "კვალიაგოლი" სხვა კლუბში ითამაშებს, შეიძლება, სხვა ქვეყანაშიც...

იქნება თუ არა ეს კლუბი "მანჩესტერ იუნატედი"? ნაკლებად. ინგლისური ვარიანტი თითქმის მოიხსნა დღის ნესრიგიდან მას მერე, რაც ფეხბურთელმა ღიად განაცხადა - მთელი გულითა და სულით "იუვენტუსში" მინდა წასვლაო: *"გარკვევით ვამბობ, რომ დიდი კლუბისთვის უკვე მზად ვარ. მინდა, მაქსიმალურად გამოვიყენო ჩემი შესაძლებლობები. "მანჩესტერ იუნაიტედი" ან "იუვენტუსი" ჩემთვის უდიდესი გამოწვევა და შანსი იქნებოდა"*, - ამბობს კვალიარელა "კორიერე დელო სპორტთან" ინტერვიუში.

ცნობილია, რომ სერ **ალექს ფერგიუსონი** მისი ნიჭის დიდი დამფასებელია. კვალიარელა მოსწონს **კლაუდიო რანიერისაც**. მაგრამ ფეხბურთელი არც იმას გამორიცხავს, რომ "უდინეზეში" დარჩეს.

*"თუ უდინეში სარფიან შეთავაზებას მიიღებენ, ბუნებრივია, ჩემი მომავალი შეიძლება შეიცვალოს. მაგრამ ვფიქრობ პრიორიტეტზეც. ეს პრიორიტეტი კი ძირითად შემადგენლობაში თამაშია, რათა ზრდა განვაგრძო და კლასი ავიმაღლო. შეიძლება "უდინეზეში" ამის მიღწევა? ვფიქრობ, შეიძლება. რაც შეეხება "იუვენტუსს", ეს მართლაც მსოფლიო მასშტაბის კლუბია. ვინ იტყოდა იქ გადასვლაზე უარს? ეს ჩემთვისაც უდიდესი სკოლა იქნება. "მანჩესტერიც" ძალზე პრესტიჟული ვარიანტია. ინგლისურ ფეხბურთს რეგულარულად ვუყურებ ტელევიზიით, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ კალჩო უფრო კონკურენტუნარიანია, პრემიერლიგაში კი უფრო მეტი ფიზიკური დატვირთვაა".*

შეგახსენებთ, რომ კვალიარელამ გასული სეზონი "სამპდორიაში" გაატარა და 13 გოლიც მიითვალა. მასზე ლიტვა-იტალიის შესარჩევი მატჩის შემდეგ ალაპარაკდნენ. ამ შეხვედრაში ფაბიომ ორი გოლი გაიტანა და "სკუადრა აძურას" გაამარჯვებინა.

სკანდალური ტრანსფერის გაგრძელება

# ინტერს სუასო შარად ექცა

## მილანი ჰონდურასელს შეეშვა, ფეხბურთელსა და მორატის კი დისკვალიფიკაცია ელოდებათ

"მილანმა" ოფიციალურად განაცხადა, რომ ჰონდურასელ ფორვარდ **დავიდ სუასოსთან** ურთიერთობას წყვეტს. მანამდე, "კალიარის" ან უკვე ყოფილ თავდამსხმელს ხელშეკრულება "ინტერთან" ჰქონდა გაფორმებული. სარდინიელთა პრეზიდენტი **მასიმო ჩელინო** ამას კატეგორიულად უარყოფდა, მაგრამ ფაქტი სახეზეა - "მილანმა" სუასოს ხელი დაუქნია. აი, რა წერია "როსონერის" ვებგვერდზე:

*"ჩვენ ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ ფეხბურთელ დავიდ სუასოსთან მოლაპარაკებები შეწყვეტილია, რადგან მას უკვე გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება "ინტერთან", რის შესახებაც "მილანი" საქმის კურსში არ იყო. "მილანს" სურდა, ფეხბურთელის თაობაზე "კალიარისთან" თანამფლობელობის კონტრაქტი გაეფორმებინა. ასევე, ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ვმოქმედებდით საერთაშორისო სპორტული კანონმდებლობის შესაბამისად".*

"მილანის" გულწრფელობა ეჭვს ბადებს. ის, რომ სუასომ "ინტერთან" ხელშეკრულება გააფორმა, ეს პრესაშიც დაიწერა და ამას არც თავად "ინტერი" უარყოფდა. ახლა ისე ჩანს, რომ "როსონერი" წყლიდან მშრალი ამოვიდა, **მასიმო მორატიმ** და ფეხბურთელმა კი დიდ შარში გაჰყვეს თავი. საქმე ისაა, რომ "ინტერმა" სუასოსთან იმ მომენტში გააფორმა კონტრაქტი, როცა მოთამაშე ჯერ კიდევ "კალიარის" საკუთრებაში იყო. ეს კი საერთაშორისო ნორმებით დაუშვებელია. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ "ინტერში" ეს არავინ იცოდა.

ასეა თუ ისე, ამ უცნაური ტრანსფერით უკვე იტალიის ფეხბურთის ფედერაციაც დაინტერესდა. საქმე განსახილველად სპეციალურ კომისიას გადაეცა. თუ დამტკიცდა, რომ "ინტერმა" ფეხბურთელს კონტრაქტი წესების დარღვევით გაუფორმა, ორივე სუბიექტს მკაცრი სასჯელი ელის. განცხადებას აკეთებს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **მარიო სტალიანო**:

*"დავიდ სუასომ და მასიმო მორატიმ განაცხადეს, რომ კლუბსა და ფეხბურთელს შორის კონტრაქტი უკვე ხელმოწერილი იყო, რაც, ფაქტობრივად, რეგლამენტის დარღვევის აღიარებას ნიშნავს. შესაბამისად, ისინი შეიძლება მკაცრად დაისაჯონ. სანქციები სხვადასხვა სახისაა. მაგალითად, ფეხბურთელისთვის სასჯელის მაქსიმალური ნორმა 6-თვიანი დისკვალიფიკაციაა".*

აი, ასე. მორატის თითქოს სერია B-ს საფრთხე არ აკლდა, რომ აი, მორიგი თავსატეხიც. მართალია, "ინტერი" თავს იმართლებს და აცხადებს, რომ სუასოსთან მხოლოდ წინასწარი შეთანხმება გაფორმდა და არა სრულფასოვანი კონტრაქტი, მაგრამ არის თუ არა ეს წონადი არგუმენტი, ამას ფეხბურთის ფედერაცია გაარკვევს. ალბათ, ჰონდურასელი საბოლოოდ "ინტერს" დარჩება, მაგრამ რად გინდა, თუ მართლაც 6-თვიან დისკვალიფიკაციას გამოუწერენ, ახალი ჩემპიონატის პირველ ოთხ თვეს სკამზე გაატარებს.

### სუასო: მილანი მაძალებდა, რომ უარი მეთქვა...

ამასობაში, **დავიდ სუასომაც** ამოიღო ხმა და მომხდარის თაობაზე განმარტება "ილ ჯორნალესთან" საუბარში გააკეთა: *"ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. ეს სამართლიანი გადაწყვეტაა. მსურს, მადლობა გადავუხადო "მილანის" ხელმძღვანელობას. ისინი მაძალებდნენ, რომ "ინტერისთვის" მიცემული სიტყვა არ გამეტეხა. დავრწმუნდი, რომ ასეც უნდა მოვქცეულიყავი. უბრალოდ, ეს იქნებოდა პატივისცემა იმ კლუბის მიმართ, რომელსაც ჩემი აყვანა სურდა. ერთ საღამოს, რობერტო მანჩინიმ დამირეკა და დამიდასტურა, რომ ჩემი სჯეროდა და მელოდებოდა. არ ვიცი, რას ფიქრობს ხალხი ამ სიტუაციაზე, მაგრამ მთავარია, რომ საქმე სამართლიანად მოგვარდა".*



დავიდ სუასოს ინტერი კი არა, დისკვალიფიკაცია ელის

კივუს საქმე

# ინტერი ბარსამაც დაადანაშაულა

"ინტერმა" კიდევ ერთ ხათაბალაში გაჰყო თავი. ჯერ **დავიდ სუასოს** საქმე ვერ მოუგვარებია და ახლა კიდევ **კრისტიან კივუ** გაუხდა თავში სახლელი. დიდი ხანია, ვიცით, რომ "ნერაძური" რუმინელი მცველითაა დაინტერესებული და ტრანსფერიც თითქოს შეთანხმებული იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე ვიცოდით იტალიური მედიისგან. მაგრამ ავანსცენაზე გამოჩნდა "ბარსელონა", რომელმაც კივუზე სერიოზული პრეტენზია განაცხადა და ეს იყო შარშანდელ სეზონშიც, როცა "ჯალოროსიმ" ფეხბურთელის გაყიდვაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. "რომა" აღარ არის ძველებურად კატეგორიული, თუ ურჩევნია, რომ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა "ბარსას" მიჰყიდოს და არა კონკურენტ "ინტერს". კლუბის გენერალური მენეჯერი **როსელა სენსი** ამტკიცებს, რომ მას "ინტერისთვის" არანაირი პირობა არ მიუცია. მეტიც, ქალბატონი არ გამორიცხავს, რომ კივუ სულაც "რომაში" დარჩეს, რადგან ეს **ლუჩანო სპალეტის** სურვილიცაა და ბოლო-ბოლო არც ფეხბურთელია უარზე. "მარკამ" კი დაწერა, რომ "ჯალოროსის" ძალიან მოსწონს კატალონიელთა ბოლო წინადადება: 8 მილიონი გირვანქა და ზედაც **ლუდოვიკ ჟიული**.

ამასობაში კი "ილ რომანისტას" საშუალებით ცნობილი ხდება, რომ "ინტერის" მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** პირადად დაურეკა კივუს და დაარწმუნა, რომ "ნერაძურის" მაისურა მოირგოს. "რომაცა" და "ბარსელონაც" აღშფოთებულები არიან. კატალონიელები "ინტერს" "უწესო თამაშში" ადანაშაულებენ. ამ დღეებში "ჯალოროსისა" და "ბარსას" საბოლოო შეთანხმება უნდა გაეფორმებინათ, ხოლო რუმინელს ბარსელონაში სამედიცინო შემოწმებაც უნდა გაევლო. ისევ სენსის დავუბრუნდეთ: *"ჩვენ ფეხბურთელის ზურგსუკან არ ვმოქმედებთ. ეს არ არის ჩვენი სტილი. "რომა" ყოველთვის სუფთა თამაშის მომხრე იყო და ასეა დღესაც. "ბარსელონამ" საინტერესო და კარგად გააზრებული წინადადებით მოგვმართა, "ინტერმა" კი სხვა გზა აირჩია. რა გაეწყობა, ეს მათი არჩევანია და ასეა თუ ისე, პატივისცემას იმსახურებს".*

ერთი სიტყვით, "ინტერს" იგივე შეცდომა მოსდის, რაც სუასოს შემთხვევაში დაუშვა. ვიდრე ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს, დაუშვებელია, მას სხვა კლუბი დაელაპარაკოს და ახალი ხელშეკრულება შესთავაზოს. რა არის ამაში გაუგებარი?!



კრისტიან კივუ დაპირისპირების საბაბი გახდა

## დონატი სელტიკში. შეიძლება, დელვეკიოც...

**მასიმო დონატი** "სელტიკის" ნახევარმცველი გახდა. ბოლო ორი სეზონი მან არენდით "ატალანტაში" გაატარა, ისე კი "მილანის" საკუთრებაა და რაკი ბერგამოელებთან კონტრაქტი დაუმთავრდა, "როსონერის" მიაშურა. "მილანმა" მაშინვე მიიღო წინადადება "სელტიკისგან", რომელმაც 26 წლის მოთამაშეში 3 მილიონი გირვანქა გადაიხადა. სხვათა შორის, შოტლანდიის ჩემპიონი კიდევ ერთ იტალიელს უმიზნებს. გლაზგოელები მოლაპარაკებას აწარმოებენ "სამპდორიასთანაც", "სკუადრა აძურის" ნახევარმცველ **ჯენარო დელვეკიოს** თაობაზე.

## დონიმ პალერმოს დონე უნდა ასწიოს

რეალურია, რომ "ატალანტა" კიდევ ერთ გამოცდილ ფეხბურთელს დაკარგავს. საუბარია ვეტერან **კრისტიანო დონიზე**, რომელიც კლუბს ახალ კონტრაქტზე ვერ უთანხმდება. როგორც ჩანს, ამის მიზეზი "პალერმოა", რომელიც იტალიის ნაკრების ყოფილ ნახევარმცველს გაცილებით სარფიან ხელშეკრულებას სთავაზობს. თუმცა ტრანსფერის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ფეხბურთელის აგენტი **პაოლო კონტი** კიდევ ერთხელ შეხვდება "ატალანტის" პრეზიდენტ **ივან რუჯერის** და თუ მოლაპარაკებამ ვერც ამჯერად გამოილო ნაყოფი, მაშინ "პალერმო" მზად იქნება, დონის დაუყოვნებლივ გაუფორმოს 2-წლიანი კონტრაქტი. მაგრამ აქ მარტო ხელსაყრელ პირობებშიც არაა საქმე. გასათვალისწინებელია, რომ სიცილიელთა გუნდს დღეს სათავეში უდგას **სტეფანო კოლანტუონო**, რომელიც გასულ სეზონში "ატალანტას" წვრთნიდა. შესაბამისად, დონის ფასი მან კარგად იცის...

## სამპდორიამ კარაჩოლო გადაიბირა

**ანდრეა კარაჩოლო** "პალერმოდან" "სამპდორიაში" გადავიდა. 25 წლის ფორვარდზე კლუბებმა თანამფლობელობის ხელშეკრულება გააფორმეს. სიცილიაში კარაჩოლოს სათამაშო პრაქტიკა აკლდა, გენუაში კი **ფაბიო კვალიარელა** უნდა შეცვალოს. მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი "სამპმა" "უდინეზეს" გადაულოცა. კარაჩოლოს სერია A-ში დებიუტი 2002 წელს, "ბრეშას" შემადგენლობაში ჰქონდა. 2002/03 წლების სეზონი მან არენდით "პერუჯაში" გაატარა, 2004 წელს კი თვით იტალიის ნაკრებშიც დაუძახეს. გასულ ზაფხულს, კარაჩოლო **რობერტო დონადონისაც** გაახსენდა. "აძურიში" მას ხორვატიასთან ამხანაგური მატჩისთვის უხმეს. "სამპდორიის" გარდა, ანდრეას "ტორინო" და "ლივერპულიც" ეპატიჟებოდნენ.

## როკი: მომიმატეთ!

"ლაციოს" **ტომაზო როკი** თავსატეხად ექცა. ფორვარდი კონტრაქტის პირობების გაუმჯობესებას ითხოვს. როკის მიაჩნია, რომ რაკილა სამ სეზონში 45 გოლი გაიტანა, ამან მისი სატრანსფერო ფასი საგრძნობლად ასწია და შესაბამისად, ეს მის ანაზღაურებასაც უნდა დაეტყოს. "ლაციალეს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** ამ მოთხოვნებზე, ჯერჯერობით, ფეხს ითრევს. როკის იმედი ჰქონდა, რომ პრობლემას სეზონის დასრულებისთანავე გადაწყვეტდა, მერე კარგადაც დაისვენებდა და მოსამზადებელ ციკლში დამშვიდებული ჩაერთვებოდა. ამ კვირაში ის კიდევ ერთხელ შეხვდება ლოტიტოს და თუ საკითხი მაინც არ მოგვარდა... დარჩება გუნდში, მაგრამ ბედნიერი არ იქნება. ისიც უნდა ითქვას, რომ "ემპოლის" ყოფილ ფორვარდზე, მაინცა და მაინც, დიდი მოთხოვნა არ არის. ალბათ, ლოტიტოც ამიტომ არ ჩქარობს...

## არსენალს აკვილანი მოსწონებია

ამ დღეებში "არსენალი" "რომას" **ალბერტო აკვილანის** შეძენის წინადადებით მიმართავს. როგორც "სანდი მირორი" წერს, "მეთოფეთა" სკაუტებს იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი კვირას ჰოლანდიაში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოეწონათ. აკვილანიმ იქ ორი გოლი გაიტანა. 22 წლის საყრდენ ნახევარმცველს ერთი მატჩი ეროვნულ გუნდშიც აქვს ნათამაშები. აკვილანის გასული სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა.

მიმოხილვა

# ისევ სატრანსფერო ბუმი

## ბაიერნმა დაიწყო, ბარსამ გააგრძელა, ვინ იქნება შემდეგი?


ევროპა სუპერვარსკვლავების ტრანსფერების მოლოდინშია

**ევროპის სატრანსფერო ბაზარზე წლეულს გაცილებით დიდი აქტიურობა შეიმჩნევა, ვიდრე შარშან ან შარშანწინ. წინა ზაფხულის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერები ფაბიო კანავაროსა და რუუდ ვან ნისტელროის "რეალში", ასევე ანდრეი შევჩენკოსა და მიხაელ ბალაკის "ჩელსიში" გადაბარგება გახლდათ. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შარშან, სერია B-ში დაქვეითების გამო, "იუვენტუსი" ფაქტობრივად, დაიშალა - ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და პატრიკ ვიეირამ "ინტერს" მიაშურეს, ემერსონმა და კანავარომ "რეალს", ლილიან ტურამმა და ჯანლუკა ძამბროტამ კი "ბარსელონას". მაგრამ შარშანდელი ამბები მაინც ახლოსაც ვერ მიდის იმასთან, რაც წელეულს ევროპაში ხდება. გრანდები მოულოდნელად ისევ გააქტიურდნენ. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ "ბაიერნმა" გადადგა და ჯერ ლუკა ტონი (11 მილიონი), მერე კი ფრანკ რიბერი (25 მილიონი) გადაიბირა. ბავარიულ გიგანტს არც "ბარსელონა" ჩამორჩა - კატალონიელებმა დიდი ხნის ოცნება რეალობად აქციეს და ტიერი ანრი, ბოლოს და ბოლოს, გადაიბირეს. ვინ იქნება შემდეგი?**

### კაკა

ბრაზილიელი ფლეიმეიქერი დღესდღეობით უდავოდ საუკეთესოა და ამაზე არც არავინ დავობს. ეს სეზონი **კაკამ** თითქმის ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა და ყველა გააოცა იმით, რომ ბოლო მატჩებშიც კი, დაღლა ოდნავადაც არ დასტყობია. რომელი გუნდი შეჰკადრებს "მილანს" კაკას გაყიდვას? ანუ, ვინ არის ყველაზე გაბედული? რა თქმა უნდა, "რეალი"! გაირკვა, რომ "სამეფო გუნდმა" "როსონერის" 80 მილიონი ევრო შესთავაზა. რთულად წარმოსადგენია, რომ "მილანი" კაკას გაყიდვას დათანხმდეს, მაგრამ მაინც: გამორიცხული, რა თქმა უნდა, არაფერია. მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე მადაამშლილ "რეალს" ეხება. ყოველ შემთხვევაში, ტრანსფერი რომ შედგეს, კაკა ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდება, "რეალი" კი თავისივე რეკორდს გააუმჯობესებს - როგორც გახსოვთ, 2001 წელს მადრიდელებმა "იუვენტუსს" **ზინედინ ზიდანის** სანაცვლოდ 76 მილიონი ჩაუთვალეს და ეს ტრანსფერი დღემდე სარეკორდო გახლავთ. იტალიური მედიის ცნობით, ბრაზილიელმა მადრიდელთა სპორტულ დირექტორ **პრედრაგ მიატოვიჩს** უკვე უარი შეუთვალა. მთავარიც ესაა, რადგან ასეთი ტრანსფერების დროს კლუბები იშვიათად ვაჭრობენ - ამ დროს მთავარია, რა სურს თვითონ ფეხბურთელს. მაგრამ კაკა, როგორც ჩანს, "მილანის" ერთგული დარჩება.

ტრანსფერის ალბათობა: 30%.

### რონალდინიო

მას მერე, რაც "ბარსამ" **ანრი** დაითანხმა, სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ კატალონიურ გიგანტს ან **რონალდინიო** დატოვებს, ანაც **სამუელ ეტო'ო**. ფაქტი ის გახლავთ, რომ "მილანის" ბოსი **ადრიანო გალიანი** გაუჩოზე ოცნებობს. გალიანიმ ამას წინათ თქვა, რონალდინიოს "მილანში" ხილვა იმდენად მინდა, რომ მზად ვარ, ბრაზილიელი ესპანეთიდან ველოსიპედით ჩამოვიყვანოო. "როსონერის" სასარგებლოდ ბევრი არა, მაგრამ რამდენიმე ფაქტი კი აშკარად მეტყველებს: მაგალითად ის, რომ "ბარსა" ესპანეთის ჩემპიონი ვერ გახდა და კიდევ ის, რომ რონალდინიოს ბოლო დროს სახეზე ბედნიერება იშვიათად ეტყობა. თუმცა ყურადსაღებია "ბარსელონის" პრეზიდენტ **ხოან ლაპორტას** მოკლე და კონკრეტული განცხადებაც: *"რონალდინიო არ იყიდება!"* ერთი სიტყვით, გალიანის ისღა დარჩენია, რომ "გამორიცხული არაფერია"-ს იმედად იყოს.

ტრანსფერის ალბათობა: 10%.

### ანდრეი შევჩენკო

დიდი ხანია, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ **ანდრეი შევჩენკო** ვერც პრემიერლიგას შეეწყო და შესაბამისად, ვერც "ჩელსის". უკრაინელი ლონდონში თავს ცუდად გრძნობს და ამას არც მალავს. "არისტოკრატები" კი იმ ზომამდე არიან მისული, რომ აღიარონ: შევაში გადახდილი 51 მილიონი თითქმის წყალში გადაყრილი ფულია. ლონდონელთა დამრიგებელი **ჟოზე მოურინიოც** ამბობს, შევჩენკოსგან გაცილებით მეტს ველოდიო. ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი გარკვეულია. **სილვიო ბერლუსკონის**, რომელიც შევას შვილის ნათლია გახლავთ, უკრაინელის "მილანში" დაბრუნება მოუწადინებია. თუმცა "როსონერის" "ჩელსისთვის" კონკრეტული წინადადებით ჯერ არ მიუმართავს. როგორც ჩანს, გალიანი მაინც თავს იკავებს, რადგან ასეთი საშინელი სეზონის შემდეგ, შევჩენკოში ფულის გადახდა უკვე რისკია. მაგრამ ამ შემთხვევაში ბერლუსკონის ნება უზენაესი იქნება. მოკლედ, დიდი შანსია, რომ შევა იტალიაში დაბრუნდეს, იქ, სადაც მისი ადგილია.

ტრანსფერის ალბათობა: 80%.

### სამუელ ეტო'ო

რომ არა ლაპორტას განცხადება (ისევე, როგორც რონალდინიოს შემთხვევაში), ეტო'ოს არაფრისდიდებით არ გავყიდითო, მაშინ კამერუნელის ტრანსფერი გაცილებით რეალური იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ევროპული გრანდები იმ პრინციპით მოქმედებენ, რომ ცდა ბედის მონახევრეა. "ლივერპულის", "არსენალისა" და "მილანის" შემდეგ, ბარსას გოლეადორს "მანჩესტერ იუნაიტედმაც" დაუმიზნა. ამ გუნდებს იმის იმედი აქვთ, რომ ეტო'ო კატალონიური კლუბის მთავარ მწვრთნელ **ფრანკ რიიკაარდს,** მაინც და მაინც, კარგად ვერ ეწყობა. ამ სეზონში სამუელს ჰოლანდიელ სპეციალისტთან რამდენჯერმე მოუვიდა უთანხმოება. თანაც, "ბარსელონამ" ხომ უკვე გადაიბირა ანრი...

ტრანსფერის ალბათობა: 10%

### რონალდო

მიმომხილველები ერთხმად გაიძახიან, **რონალდო** "ფენერბაჰჩეში" რომ გადავიდეს, იმ სიმპათიებსაც დაკარგავს, მუნდიალის შემდეგ ძლივსძლიობით რომ მოიპოვა ხალხის თვალში და მასზე აბსოლუტურად ყველა გულშემატკივარი ხელს საბოლოოდ ჩაიქნევსო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ რონის თურქული კლუბი ეპატიჟება - "ფენერი" მზადაა, ბრაზილიელს ზღაპრული კონტრაქტი გაუფორმოს. ტრანსფერის ალბათობას ისიც ზრდის, რომ "ფენერმა" უკვე გადაიბირა **რობერტო კარლოსი** და თანაც, ამ გუნდს **ზიკო** წვრთნის. მაგრამ მთავარია, რა სურს რონალდოს. ფაქტია, რომ "მილანში" გადასვლის შემდეგ "კიჟა" საქმეს სერიოზულად მოეკიდა, წონაში დაიკლო და მთელ რიგ თამაშებში გულშემატკივრებს ის რონალდო გაახსენა, ფენომენს რომ ეძახდნენ. და თუ ახლა "ფენერბაჰჩეს" მიაშურებს, რაც აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება, სერიოზულად შეილახავს რეპუტაციას. მაგრამ რონალდო ის კაცია, ვისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი.

ტრანსფერის ალბათობა: 20%

### დავიდ ტრეზეგე

ზემოთჩამოთვლილი ფეხბურთელების ფონზე, ყველაზე რეალური და გარდაუვალი **დავიდ ტრეზეგეს** ტრანსფერია, რადგან ცნობილია, რომ ფრანგ გოლეადორს "იუვენტუსში" დარჩენა არ უნდა. მართალია, ტურინელები ხავსს მოეჭიდნენ და 29 წლის ტრეზეგეს კიდევ ერთი, როგორც თვითონვე ამბობენ, ძალიან კარგი წინადადებით მიმართეს, მაგრამ სასწაული უნდა მოხდეს, ტრეზეგოლმა ტურინში დარჩენა რომ გადაწყვიტოს. თანაც, დავიდს უდიდესი არჩევანი აქვს. "მანჩესტერი", "ვალენსია", "ლიონი" - აი, ის გუნდები, რომლებმაც "იუვესა" და ტრეზეგეს კონკრეტული წინადადებებით მიმართეს. უკანასკნელი ინფორმაციით, "ლიონი" მზადაა, ტრეზეგეს ხელში ჩასაგდებად 30 მილიონი ევრო (სატრანსფერო თანხა და ხელფასი) დახარჯოს.

ტრანსფერის ალბათობა: 90%.

**გოტფრიდ ლენცი**

---

მოსალოდნელი დანიშვნა

# ერიქსონი ამ კვირაში

## სამი წელიწადი და წლიურად 2 მილიონი გირვანქა


სვენ გორან ერიქსონი

**სვენ გორან ერიქსონი** "მანჩესტერ სიტის" უახლოვდება. მოლაპარაკებები დასკვნით სტადიაშია. მწვრთნელს სამწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. მისი წლიური შემოსავალი 2 მილიონი გირვანქა იქნება (შედარებისთვის, ინგლისის ნაკრებში მას 5 მილიონს უხდიდნენ), ხოლო პრემია დამატებით 1 მილიონს მიაღწევს. სვენი ხელფასის სახით, 2.5 მილიონს ითხოვდა, მაგრამ მას აგრძნობინეს, რომ უარის შემთხვევაში, "ბლექბერნის" თავკაც **მარკ ჰიუზს** დაურეკავდნენ. ერიქსონს საზაფხულო ტრანსფერებისთვის 50 მილიონ გირვანქას გამოუყოფენ. ამ თანხით ხუთი მაღალი კლასის ფეხბურთელის ყიდვა შეიძლება.

დანიშვნის შემდეგ მწვრთნელი და დირექტორები შემადგენლობას შეავლებენ თვალს და სატრანსფერო გეგმას შეიმუშავებენ. ერიქსონის ფავორიტი **მაიკლ ოუენია**, მაგრამ საეჭვოა, "ნიუკასლმა" ფორვარდის გაყიდვა მოისურვოს. ესეც არ იყოს, მაიკლი "სენტ ჯეიმსიდან" მხოლოდ გრანდში თუ გადავა. "სიტის" კი ამ სტატუსამდე ძალიან დიდი მანძილი აშორებს.

მანჩესტერელი გულშემატკივრები სვენის მოსალოდნელ დანიშვნას ისევ აპროტესტებენ. ტაილანდელი ტაქსინ შინავატრას ბანაკი კი აქციების შეძენას განაგრძნობს. "სიტის" ყოფილმა პრეზიდენტმა **ფრენსის ლიმ** მის ხელთ არსებული 7.13-პროცენტიანი პაკეტი აზიელ მილიარდერს მიჰყიდა. შინავატრა "სქაის" ბრიტანეთის მაუწყებლობას 9.9-პროცენტიან წილზე ელაპარაკები. მას ხელთ აქვს აქციების დაახლოებით 65 პროცენტი. ახალ სეზონამდე მთელი "სიტი" შინავატრას განკარგულებაში აღმოჩნდება. მოგეხსენებათ, ტაილანდის მთავრობამ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტაილანდური ანგარიშები გაყინა. სანქციამ "სიტისთან" გარიგება კინაღამ ჩაშალა, მაგრამ ბიზნესმენს ბრიტანულ ბანკებში 150 მილიონზე მეტი თანხა აღმოაჩნდა. ამიტომ ფინანსური პრობლემები არ არსებობს.

---


ლინკოლნი

შალკე

# ლინკოლნი: ფულმა მთავარი როლი ითამაშა

## მაღაროელებს ნახევარმცველის ტრანსფერი ჩაეშალათ...

**ფრანკფურტის** "აინტრახტის" ნახევარმცველი **ალბერტ შტრაიტი** "შალკეში" არ გადავა. ეს ინფორმაცია გუშინ ფრანკფურტული კლუბის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს. მათი თქმით, თითქმის გადაწყვეტილი ტრანფერი იმის გამო ჩაიშალა, რომ გელზენკირხენულ კლუბს მხოლოდ 2 მილიონი ევროს გადახდა სურდა, "აინტრახტი" კი 4 მილიონს ითხოვდა. გუნდები ვერ შეთანხმდნენ, ჰოდა, შტრაიტიც "აინტრახტში" რჩება. არადა, "შალკე" უშუალოდ ფეხბურთელთან დიდი ხნის მორიგებული იყო.

ამასობაში, "შალკედან" "გალათასარაიში" გადაბარგებულმა **ლინკოლნმა** (ბრაზილიელს თურქული გრანდის ახალწვეულად დღეს წარადგენენ) გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელები, მწვრთნელი და გულშემატკივრები გააკრიტიკა. *"ცხადია, მეც მიმიძღვის ბრალი იმაში, რომ ჩემპიონები ვერ გავხდით, მაგრამ დამნაშავე მარტო მე როდი ვარ? მომხდარზე პასუხს მთელი გუნდი, მთავარი მწვრთნელი და ხელმძღვანელებიც აგებენ. "შალკეში" სამი შესანიშნავი წელიწადი გავატარე, მაგრამ ძალიან არ მომეწონა ის, რომ ბოლო დროს გულშემატკივრები ხშირად მისტვენდნენ, თითქოს მხოლოდ მე ვერ ვთამაშობდი კარგად."* - განუცხადა ლინკოლნმა "ბილდს". ბრაზილიელმა არც ის დამალა, რომ "გალათასარაიში" გადასვლის გადაწყვეტილების მიღებისას მთავარი როლი ფულმა ითამაშა: *"სულაც არ მრცხვენია იმის გამო, რომ ჩინებული კონტრაქტი მივიღე. 4 წელიწადში კარიერას დავამთავრებ და როცა ფეხბურთს თავს დავანებებ, კარგი ფინანსური მდგომარეობა უნდა მქონდეს, რათა ცხოვრების ბოლომდე უზრუნველყოფილი ვიყო,"* - ამბობს ლინკოლნი.

---

## ტევესი 30 მილიონად

**მადრიდის** "რეალი" ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს **კია ჯურაბჩიანთან.** ამ პიროვნებას წარდგენა არ სჭირდება. მან ბრიტანელ გულშემატკივრებს სკანდალურად გააცნო თავი. სკანდალი უმთავრესად **კარლოს ტევესისა** და **ხავიერ მასკერანოს** ტრანსფერებს უკავშირდება. მას მერე მასკერანო "ლივერპულში" მოეწყო. ტევესის შეძენა კი სამეფო კლუბს უნდა. ესპანური სააგენტოები მოსალოდნელი გარიგების ფასსაც ახმაურებენ: 30 მილიონი გირვანქა. უცნობია, ამ თანხიდან რამდენი შეხვდება "ვესტ ჰემს", სადაც კარლოსმა გასული სეზონი გაატარა და რამდენს ჩაიჯიბავს ჯურაბჩიანი. მას ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების ლომის წილი ეკუთვნის. კარლოსის საკითხი 48 საათში შეიძლება გადაწყდეს. ამხელა ფასი რომ არა, "ლივერპული" და "ჩელსიც" იაქტიურებდნენ. 30 მილიონი მადრიდელებსაც ეძვირებათ და მის შემცირებას ცდილობენ. ვესტ ჰემი კი, ამასობაში, ტევესის შემცვლელს ეძებს. მას ბლექბერნელი თავდამსხმელის, **ბენი მაკარტის** შეძენა უნდა. მაკარტი ლონდონში გაყიდვას ითხოვს და "ვარდების" თავკაც **მარკ ჰიუზთან** დაპირისპირებასაც კი არ ერიდება.

## კლასნიჩი ვერდერში რჩება

**ხორვატიის** ნაკრების თავდამსხმელი **ივან კლასნიჩი** "ვერდერში" რჩება. ეს ინფორმაცია თვითონ ფეხბურთელმა დაადასტურა. *"ამ კვირაში "ვერდერთან" ახალ კონტრაქტს გავაფორმებ, ეს უკვე გადაწყვეტილია. ყველაფერზე შევთანხმდით, ბრემენში ვრჩები,"* - განუცხადა კლასნიჩმა "ბილდ ამ ზონთაგს". როგორც იცით, ხორვატ ფორვარდს კონტრაქტი 30 ივნისს ეწურებოდა. შეგახსენებთ, რომ კლასნიჩს, ფაქტობრივად, მთელი სეზონი გაუცდა - მან ორი უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა, ჯერ ძმის თირკმელი გადაუნერგეს, შემდეგ კი მამის...

## ევრო 2007
### UNDER 21
ფინალი

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-სერბეთი | 4:1 |

**ჰოლანდია:** ვატერმანი, ცუივერლოონი, კროისვეიკი, პიტერსი, მადურო, დრენტე (83. ბერეენსი), ბაბელი, დე რიდერი, რიგტერსი (69. ბრუინსი), დონკი, ბაკალი.

**სერბეთი:** კაჰრიმანი, ივანოვიჩი, რუკოვინა, კოლაროვი, სმილიანიჩი, იანკოვიჩი, რაკიჩი (73. მრჯა), მილოვანოვიჩი, დ. ტოშიჩი, დრინჩიჩი (65. ზ. ტოშიჩი), ბასტა (73. ბაბოვიჩი).

**გოლები:** 1:0 ბაკალი (17), 2:0 ბაბელი (60), 3:0 რიტგერსი (67), 3:1 მრჯა (79), 4:1 ბრუინსი (87)

*71-ე წუთზე ბაბელმა ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაძევება:** კოლაროვი (62. სერბეთი)

## დანია
### II დივიზიონი
XXX ტური

| | |
|---|---|
| აგფ ორჰუსი-ვიკ | 1:3 |
| ბრაბრანდი-ფრედერისია | 1:0 |
| ფრემადი-სიონდერილი | 0:6 |
| კოგე-აკადემისკი | 2:3 |
| ლუნგბიუ-ჰერფოლგე | 3:4 |
| ნესტვედი-კოლდინგი | 3:4 |
| ოლსტიკე-ფრემი | 1:2 |
| სკივედი-ორჰუსი | 1:3 |

## ნორვეგია
XII ტური

| | |
|---|---|
| ოლესუნდი-ვოლერენგა | 1:0 |
| ლილესტრიომი-სტარტი | 1:0 |
| ოდ გრენლანდი-სანდეფიორდი | 4:0 |
| სტრიომსგოდსეტი-ფრედრიკსტადი | 2:1 |
| ტრომსიო-სტაბეკი | 0:1 |
| ვიკინგი-ბრანი | 3:1 |
| ლინი-როზენბორგი | დღეს |

### II დივიზიონი
XIII ტური

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-სოგნდალი | 2:0 |
| ჰამარი-ჰონეფოსი | 2:0 |
| ჰაუგესუნდი-რაუფოსი | 1:2 |
| კონგსვინგერი-მოსი | 2:1 |
| მიოლდე-ბრინი | 3:2 |
| ნოტოდენი-მანდალი | 3:1 |
| სკეიდი-სპარტა | 1:3 |
| ტრომსდალენი-ლიოვ ჰამი | 1:1 |

## შვედეთი
XI ტური

| | |
|---|---|
| გეფლე-ჰალმსტადი | 2:0 |
| გაის-აიკ | დღეს |
| ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | დღეს |
| ერებრუ-იურგორდენი | დღეს |

### II დივიზიონი
XI ტური

| | |
|---|---|
| იორგრიტე-სუნდსვალი | 1:2 |
| ენჩოპინგსი-ბუნკეფლო | 0:1 |
| ატვიდაბერგსი-ჰაკენი | 2:1 |

## რუსეთი
XIV ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-სატურნი | 2:0 |
| ლუჩ ენერგია-ხიმკი | 1:1 |
| დინამო-როსტოვი | 3:0 |
| კუბანი-რუბინი | 0:1 |
| ტომი-ლოკომოტივი | 4:2 |
| კრილია-ცსკა | 1:0 |
| ამკარი-მოსკოვი | 1:1 |
| ზენიტი-ნალჩიკი | 4:3 |

## კონკაკაფი
### ოქროს თასი. ფინალი

| | |
|---|---|
| აშშ-მექსიკა | 2:1 |

## არგენტინა
### ფლეი ოფი

| | |
|---|---|
| გოდოი-ჰურაკანი | 2:3 |

## ბრაზილია
VII ტური

| | |
|---|---|
| ჟუვენტუდე-ფიგეირენსე | 1:1 |
| პარანა-რესიფე | 1:0 |
| სანტოსი-სან პაულუ | 0:2 |
| ამერიკა-ფლუმინენსე | 0:1 |
| კრუზეირო-ატ. მინეირო | 4:2 |
| პალმეირასი-ატ.პარანაენსე | 0:2 |
| ინტერნასიონ-გრემიო | გვ. დასრულდა |
| ნაუტიკო-გოიაში | გვ. დასრულდა |

## აშშ
XII ტური

| | |
|---|---|
| ნიუ ინგლენდი-ტორონტო | 3:0 |
| კოლორადო-დალასი | 0:1 |
| სოლტ ლეიკი-დი სი იუნაიტედი | 2:1 |
| ლოს ანჯელესი-კოლამბუსი | 2:3 |
| კანზას სიტი-ჰიუსტონი | გვ. დასრულდა |

## იაპონია
XVII ტური

| | |
|---|---|
| შიმიცუ-ურავა | 0:1 |
| კავასაკი-ივატა | 2:3 |
| იჩიჰარა-ნიიგატა | 1:2 |
| იოკოჰამა-კაშივა | 2:4 |
| გამბა-ტოკიო | 6:2 |
| კოფუ-ოიტა | 2:0 |
| კობე-ჰიროშიმა | 3:2 |
| ომიია-იოკოჰამა მარინოსი | 0:0 |
| კაშიმა-ნაგოია | 2:1 |

ესპანეთის სამეფო თასი. ფინალი

# ანდალუსიელთა მორიგი ტრიუმფი

## კანუტემ სევილიის მაისურით, შესაძლოა, ბოლო გოლი გაიტანა, ფორვარდი ინგლისში წასასვლელად ემზადება...



კანუტემ გოლიც გაიტანა და წითელი ბარათიც მიიღო

| სევილია-ხეტაფე | 1:0 |
|---|---|

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, დრაგუტინოვიჩი, ესკუდე, ხავი ნავარო, პოულსენი, პუერტა (75. დუდა), რენატო (79. მარტი), ხესუს ნავასი, კანუტე, ლუიშ ფაბიანო (48. კერჟაკოვი).

**ხეტაფე:** ლუის გარსია, ბელენგერი, კონტრა (84. პაჩონი), პარედესი, პულიდო, კასკერო, ჩელესტინი, კოტელო, ნაჩო (70. ვივარ დორადო), გუისა, მანუ (76. ვერპაკოვსკისი).

**გოლი:** 1:0 კანუტე (11)
**გაძევება:** კანუტე (88. სევილია)
**გაფრთხილება:** 2-6
**მაყურებელი:** 80 000

"სევილიამ" ესპანეთის სამეფო თასის მოპოვებით არსებობის განმავლობაში ყველაზე წარმატებული სეზონი დაასრულა. ანდალუსიელებმა ისტორიულ გამარჯვებას **ფრედერიკ კანუტეს** მიერ შეხვედრის დებიუტში გატანილი გოლის წყალობით მიაღწიეს. "სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართულ შეხვედრაში გულშემატკივრებმა ფაქტობრივად, ყველაფერი ნახეს, რისი ნახვაც შეიძლებოდა - მაღალი რიტმი, ლამაზი ფეხბურთი, დაძაბულობა, კინკლაობა, გაძევება და სადავო ეპიზოდები. თამაშის სცენარი ისე მიმდინარეობდა, რომ ნებისმიერ წამს შეიძლებოდა გოლი გასულიყო. **ხუანდე რამოსის** ბიჭებმა ყველა გამოცდას გაუძლეს და მიმდინარე სეზონში მეორე მნიშვნელოვან ჯილდოს დაეუფლენ. მოგეხსენებათ, "სევილია" მანამდე უეფას თასის გამარჯვებული გახდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფინალურ ორთაბრძოლაში მოტივაცია არავის აკლდა. "ხეტაფესთვის" ამ დაპირისპირებაზე მთელი სეზონის ბედი იყო დამოკიდებული. **ბერნდ შუსტერს,** ალბათ, სულაც ორმაგი მოტივაცია ჰქონდა. მას უნდოდა დაემტკიცებინა, რომ "რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტს იმსახურებს. თუ **ხუან რამონ კალდერონი** მხოლოდ შედეგით იხელმძღვანელებს, შეიძლება გერმანელ სპეციალისტს პრობლემები შეექმნას, მაგრამ ესპანელი მიმომხილველები გვარწმუნებენ, რომ სამეფო კლუბის პრეზიდენტი შუსტერზე ჭკუას კარგავს და მას ნებისმიერ შემთხვევაში დანიშნავს. ჰერ ბერნდის ბიჭებს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, შესაძლოა, შინ ტიტულით დაბრუნებულიყვნენ. პირველი საგოლე მომენტი **გუისამ** შექმნა. დედაქალაქელთა ფორვარდი მეექვსე წუთზე **ანდრეს პალოპთან** პირისპირ გავიდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. ზუსტად ოთხ წუთში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და მოვლენათა ეპიცენტრში ფრედერიკ კანუტე მოექცა. მაღალმა თავდამსხმელმა მცველების შეცდომით ისარგებლა და გუისასგან განსხვავებით თავი არ შეირცხვინა.

"ხეტაფე" სწრაფ გოლს აშკარად არ ელოდა. შუსტერის შეგირდებმა შეცდომებს უმატეს. 26-ე წუთზე **ლუის გარსიამ რენატოს** მიერ დარტყმული ბურთი დიდი გაჭირვებით მოიგერია. მალე ისევ კანუტემ შეუტია. მისი თავური მცირე მანძილით ასცდა მიზანს. ტაიმის მიწურულს **როდრიგეს სანტიაგომ** სერიოზული შეცდომა დაუშვა. მან **დრაგუტინოვიჩის** მიერ წესების დარღვევა ვერ შენიშნა და 100-პროცენტიანი პენალტი არ დანიშნა. "ხეტაფეს" ფეხბურთელებმა ბევრი იდავეს, მაგრამ როგორც ყოველთვის" სანადელს ვერ მიაღწიეს. ვნებათაღელვა იმდენად დიდი გახლდათ, რომ გასახდელებისკენ მიმავალმა ფეხბურთელებმა ერთმანეთს მუშტები დააყარეს. ანდრეს პალოპს თავშიც კი ჩაარტყეს.

შესვენების შემდეგ თამაში ორმხრივ შეტევებში წარიმართა. გოლის გატანის შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. მრავალი მცდელობის მიუხედავად, შუსტერის გუნდმა ორთაბრძოლის გადარჩენა ვერ შეძლო.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისული ხუანდე რამოსი სიხარულს ვერ მალავდა: *"დღეს ისტორიული საღამო გვაქვს. აღფრთოვანებული ვარ. მართალია, პრიმერა დივიზიონში ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. "სევილიას" ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავს. გულშემატკივრებს დიდ წარმატებას ვულოცავ. როგორც ყოველთვის, მათი თანადგომა ახლაც გადამწყვეტი აღმოჩნდა. ანდალუსიური ინჩადა მართლაც ფანტასტიკურია. "ხეტაფეს" სახით ძალიან ღირსეული და ძლიერი მეტოქე გვყავდა. მადრიდელებმა ბოლომდე იბრძოლეს. აქვე მსურს აღვნიშნო, რომ ბერნდ შუსტერი მოვლენებს არასწორად აფასებს. ის ამბობს, რომ არდანიშნული პენალტის გამო დამარცხდა. მე ამ სულისკვეთებას, რა თქმა უნდა, არ ვიზიარებ. "სევილია" სრულიად დამსახურებული გამარჯვებულია."*

როგორც ხვდებით, შუსტერმა საკუთარ სტილს ამჯერადაც არ უღალატა და სკანდალური განცხადება გააკეთა: *"ჩვენ მსაჯის არაობიექტური მუშაობის გამო დავმარცხდით. მას რომ სამართლიანად ემუშავა, თასს "ხეტაფე" მოიპოვებდა. ცხადია, შეცდომები ჩვენც დავუშვით, მაგრამ მთავარი მაინც როდრიგეს სანტიაგოს სულელური გადაწყვეტილებები იყო. რა გაეწყობა, ბედს უნდა შევეგუოთ. შედეგი აღარ შეიცვლება. იმედია, გულშემატკივრები ჩვენ მერ შესრულებულ სამუშაოს ჯეროვნად დააფასებენ."*

შუსტერი არ შემცდარა, ინჩასებმა დამარცხებული "ხეტაფე" სტადიონიდან გამარჯვებულივით გააცილეს. წაგების მიუხედავად, ხალხი მაინც კმაყოფილი დარჩა. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ გუნდმა მაქსიმუმი გაიღო და მხოლოდ უიღბლობის გამო დაისაჯა.



ფერნანდო ტორესი

დაპირისპირება

# არსენალი vs ლივერპული: ომი იწყება

## მიზეზი ფერნანდო ტორესია. ელ ნინიოს საყიდლად 30 მილიონ ევროზე მეტია საჭირო

**ტიერი ანრი** "ბარსელონაში" გააგრძელებს კარიერას. ლონდონურ კლუბს, რა თქმა უნდა, მისი შემცვლელი დასჭირდება. ესპანურ პრესაში გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "მეთოფეებმა" **ფერნანდო ტორესს** დაადგეს თვალი. ისინი მიიჩნევენ, რომ "ელ ნინიო" ახალი ანრი გახდება და ლონდონურ კოლექტივში მრავალ წელს გაატარებს. არაოფიციალური ცნობით, ბრიტანული გრანდი ესპანელი ფორვარდის სანაცვლოდ 30 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნას გამოთქვამს. "ატლეტიკოს" მესვეურებს ეს თანხა დიდად არ მოსწონთ, თუმცა იმასაც აცნობიერებენ, რომ 30 მილიონი არცთუ ცოტა ფულია. თუ "როხიბლანკო" იძულებული გახდება, ტორესი გაასხვისოს, დიდ აუქციონს გამართავს. ფერნანდოს "ლივერპულიც" ეპატიჟება. სავარაუდოა, რომ მერსისაიდელებს შეთავაზებულ 25 მილიონ ევროზე გაცილებით მეტის გადახდა მოუწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სანადელს ვერ მიაღწევენ. არადა, **რაფა ბენიტესი** პირდაპირ და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე აცხადებს, რომ "ელ ნინიო" მისი უპირველესი სამიზნეა. ექსპერტები ლივერპულელებს ურჩევენ, ჯიბეზე ხელი გაიკრან და "როხიბლანკოს" სულ მცირე 32 მილიონი შესთავაზონ. მოკლედ, გამორიცხული არ არის, "არსენალსა" და "ლივერპულს" შორის მართლაც გაცხოველებული ბრძოლა დაიწყოს.

## ტოშაკი სოსიედადში ბრუნდება?

გუშინ ბასკურ პრესაში მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაიბეჭდა. მოარული ხმების თანახმად, იოლი შესაძლებელია, რომ სეგუნდა დივიზიონში დაქვეითებულ "სოსიედადში" **ჯონ ბენჯამინ ტოშაკი** დაბრუნდეს. უელსელ მწვრთნელთან სანსებასტიანური კლუბის ხელმძღვანელები ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ამბობენ, ბოლო დეტალების შეთანხმების შემდეგ ის მთავარი მწვრთნელის თანამდებობას დაიკავებსო. ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს ეცოდინებათ, რომ ჯონ ტოშაკი "სოსიედადში" სხვადასხვა დროს სამჯერ მუშაობდა. ბრიტანელი სანსებასტიანურ საფეხბურთო საზოგადოებაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს.

## დეპორტივოში ლოტინა დაინიშნა

"სოსიედადიდან" წასული **მიგელ ანხელ ლოტინა** "დეპორტივოს" მთავარი მწვრთნელი გახდა. ესპანურ პრესაში გავრცელებული ეს ინფორმაცია ლაკორუნიული კლუბის პრეზიდენტმა **აუგუსტო სესარ ლენდოირომ** დაადასტურა: *"სინიორ ლოტინა ჩვენი გუნდისთვის იდეალური კანდიდატურაა, თავისი განსწავლულობითა და მებრძოლი სულისკვეთებით"* - ასე დაახასიათა ბატონმა ლენდოირომ "დეპორის" ახალი დამრიგებელი, რომლის ხელშიც "სოსიედადი" პრიმერა დივიზიონიდან გავარდა. ლოტინამ ვაკანტურ პოსტზე **ხოაკინ კაპაროსი** შეცვალა.

ატლეტიკო

# ბრძოლა აბიატისთვის

"ატლეტიკოს" ხელმძღვანელობამ კონკურენციის გაზრდის მიზნით, **კრისტიანო აბიატის** გადაბირება გადაწყვიტა. ესპანელები მზად არიან, ხვალვე წამოიწყონ მოლაპარაკებები და მიზნის მისაღწევად სოლიდური თანხაც გადაიხადონ. ამ წინადადების მიუხედავად, "ტორინოს" ხელმძღვანელობა მეკარის გაყიდვას არ აპირებს. თავად გოლკიპერი კი კარიერის პრიმერა დივიზიონში გაგრძელების პერსპექტივით სერიოზულად დაინტერესდა. გამორიცხული არ არის, **ენრიკე სერესომ** თავდაპირველად მხოლოდ მის მენეჯერთან აწარმოოს მოლაპარაკება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აბიატის დაითანხმებს, ტურინელ კოლეგებსაც შეხვდეს და ტრანსფერის გაჩარხვა სცადოს. "ატლეტიკოს" ძირითადი მეკარე **ლეო ფრანკო** სიახლეს კორექტულად გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პრეზიდენტის საქმეში არასოდეს ჩაერევა: *"ეს არ არის ჩემი კომპეტენცია. ხელმძღვანელობა ყველაფერს გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებს. ერთი რამ უდავოა, თავს არასოდეს ავიგდებ მასხარად და სენიორ სერესოს საქმეში ცხვირს არ ჩავყოფ. კონკურენციის გაზრდით "ატლეტიკო" მხოლოდ და მხოლოდ იხეირებს. მოკლედ, მე არ ვარ უფლებამოსილი სხვის სფეროზე ვისაუბრო. ერთადერთი რაც შემიძლია, თავგადაკლული ვარჯიშია".*

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ იტალიელის გადაბირების შემთხვევაში, ფრანკო სულ სხვაგვარად აჭიკჭიკდება, რადგან აბიატისთან კონკურენციას ვერ გაუძლებს და სათადარიგოთა სკამზე დამჟავება მოუწევს...



კრისტიან აბიატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ახალგაზრდული ნაკრები

# სპარსეთ-უკრაინის გზაგასაყარზე



ირანელი ჭაბუკები მეორედაც დავამარცხეთ. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა სპარსელებს რუსთავში შაბათს უმასპინძლა და 93:75 სძლია.

*"საწყისი 20 წუთი დამაჯერებლად ჩავატარეთ - 15 წუთში 25 ქულის სხვაობით დავწინაურდით, პირველი ნახევარი 25-ქულიანი უპირატესობით დავასრულეთ".* - გვითხრა ქართველთა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა**.

მან იქვე დასძინა, რომ თავის გამოჩენის საშუალება 14 კალათბურთელს მისცა. მათ შორის არ იყო **ლუკა ნოზაძე**, რომელსაც მცირე ტრავმა აქვს. სამაგიეროდ, შემადგენლობაში გამოჩნდა ის კალათბურთელი, რომელსაც წინა მატჩში მონაწილეობა არ მიუღია - **ლაშა ფარღალავა**.

*"ლაშა ამერიკიდან მგზავრობისას ძალიან გაწვალდა. იგი პარასკევს საღამოს შემოგვიერთდა და ირანელებთან მატჩამდე ერთი ვარჯიშის ჩატარება მოასწრო. რუსთავში მცირე სათამაშო დრო გამოვუყავით და დავრწმუნდით, რომ მას ახალგაზრდული ნაკრებისთვის სარგებლის მოტანა შეუძლია. თუმცა ეს რომ არ გვცოდნოდა, არც გამოვიძახებდით".* - ესეც დავით უსტიაშვილმა გვითხრა.

დღეს 25 ივნისია. 27-ში 20-წლამდელთა ნაკრები უკრაინაში მიემგზავრება. მწვრთნელებს შეიძლება დღესაც გარკვეული აქვთ ის თორმეტეული, რომელიც ჯერ უკრაინაში წავა, შემდეგ - ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ ოფიციალურად წამსვლელთა ვინაობას 26 ივნისს გამოაცხადებენ.

*"უკრაინაში სწორედ იმ 12 კაცს წავიყვანთ, ვისაც სლოვენია-იტალიაში უნდა დავეყრდნოთ. კიევში გასამართ მატჩებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ძლიერ მეტოქესთან უნდა დავინახოთ, რა შეგვიძლია და რა - არა. უკრაინული ტურნე ჩვენთვის შეთამაშების საუკეთესო საშუალება იქნება".* - დასძენს 20-წლამდელთა მთავარი მწვრთნელი.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ფოტოზე ნოდარ შენგელია

ინტერვიუ
გიორგი გაფრინდაშვილთან

# მოგება იტალიასთანაც შეიძლება



**საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ირანელ ჭაბუკებთან ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ამ შეხვედრებისას მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა გუნდის ძირითადი ბირთვი. თუკი რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ევროპის ჩემპიონატზე ქართველთა სასტარტო გამთამაშებელი იქნება გიორგი გაფრინდაშვილი, რომელმაც გასული სეზონი ლატვიის ასკ-ში ჩაამთავრა.**

**- გიორგი, ჯერ ირანთან მატჩები შევაფასოთ.**

- პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ის თამაში ჯერ ვერ ვუჩვენეთ, რაც შეგვიძლია. ამის მიზეზი შეიძლება დაღლილობა იყო, რადგან დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ... ისიც გამოჩნდა, რომ შეკავშირება გვაკლია. ჩვენ ხომ 4 ივნისს შევიკრიბეთ და 20 დღეში გუნდის შეთამაშება წარმოუდგენელია. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატამდე ყველა კომბინაციას დავხვეწთ და მოედანზე ურთიერთგაგების პრობლემა არ გვექნება. მანამდე ფორმის პიკსაც უნდა მივაღწიოთ.

**- 27 ივნისს უკრაინაში მიფრინავთ...**

- იქაურ თანატოლებთან გაჯიბრება აუცილებელია, რადგან სწორედ ძლიერ მეტოქესთან უნდა აღმოვაჩინოთ მინუსები და მათ გამოსწორებაზე ვიმუშავოთ. ამასთან, რაც ნაკლებადაა შეკრული გუნდი, მით მეტი ამხანაგური მატჩი სჭირდება.

**- იტალია-სლოვენიაში თქვენგან რას უნდა ველოდოთ?**

- ყველა წევრი ბოლომდე დაიხარჯება. უბრძოლველად არავის არაფერს დავუთმობთ. საბედნიეროდ, ჩვენს ჯგუფში არიან ნაკრებები რომელთა დამარცხება შეგვიძლია.

**- ბულგარეთსა და ლატვიას გულისხმობ?**

- იტალიასაც. ლატვიაში ადგილობრივი 20-წლამდელები იტალიელებს ამხანაგურად გაეჯიბრნენ. მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და აშკარად გამოჩნდა, რომ იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მთავარ ფავორიტთა შორის არ იქნება. ლატვიელთა ახალგაზრდულ გუნდში ჩემი არაერთი თანაკლუბელი ირიცხება და შემადგენლობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბალტიისპირელებზე უკეთესი ნაკრები გვყავს. მთავარია ევრო-2007-ს სათანადოდ მომზადებულები შევხვდეთ.

**- რიგის ასკ-ში გაისადაც ითამაშებ?**

- გუნდი დაიშალა და მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში აღარ იქნება. შესაბამისად, ასკ-ში არც მე ვითამაშებ.

**- შეთავაზებები თუ გაქვს?**

- ლატვიური გუნდიდან მივიღე წინადადება, მაგრამ არ ავჩქარდები. ჩემი მენეჯერი რამდენიმე საინტერესო ვარიანტზე მუშაობს და სადაც უკეთესი პირობები იქნება, გაისად იქ ვითამაშებ. ევროპის პირველობის დასრულებამდე გადაწყვეტილებას არ მივიღებ...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ ნოდარ შენგელიასთან

# ფეხბურთიდან გაქცეული

**ხშირად ვწერთ - ახალგაზრდული ნაკრების წევრები ერთმანეთს თითქმის არ იცნობენო. ამის მთავარი მიზეზი კი ერთხელაც არ გვიხსენებია - შარშან საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია, არადა, გასულ ზაფხულს 18-წლამდელები რომ შეკრებილიყვნენ, წლეულს ერთი-ორად შეკრული 20-წლამდელთა ნაკრები გვეყოლებოდა. იგივე შეიძლება ითქვას 2007 წლის სეზონზე - ჭაბუკთა ნაკრები არც წლეულს გადის საერთაშორისო არენაზე, რის გამოც არაერთი ახალგაზრდა ზარალდება. მათ შორისაა ნოდარ შენგელია, რომელიც შარშან კადეტების ლიდერი იყო, წლეულს კი ევროპაზე 18-წლამდელებში უნდა ეთამაშა... მისთვის ადგილი არც ახალგაზრდულში გამოინახა, რადგან უმეტესობა ნოდარზე სამი წლით უფროსია. იმედია, გაისად მაინც ჩაერთვებიან საქმეში ჭაბუკები, მანამდე კი მოვუსმინოთ შენგელიას, რომელმაც გასული სეზონი ლიტვის რიგით მეორე ეშელონში გაატარა.**

**- საუბარი მარჩულიონისის აკადემიის ჩემპიონატში გამოსვლით დავიწყოთ...**

- შარშანდელი სეზონის შემდეგ გუნდი მთლიანად გაახალგაზრდავდა, თუმცა მაინც ერთ-ერთ ლიდერად ვითვლებოდით. რეგულარული ჩემპიონატი წარმატებით ჩავატარეთ, ფლეი ოფში კი სათანადოდ ვერ ვითამაშეთ. თუმცა ამას თავისი ახსნა ჰქონდა - მეტოქე ჩვენზე გამოცდილი იყო, მის რიგებში ორი ამერიკელი თამაშობდა. ჩვენ კი გამოუცდელი გუნდი გვყავდა.

**- შარშან B ლიგა მოიგეთ, მაგრამ უმაღლესში მაინც არ გითამაშიათ. ამის მიზეზი რა იყო?**

- საქმე ისაა, რომ ქვედა ეშელონის ნებისმიერ კლუბს შეუძლია უმაღლესში თამაში, მაგრამ ამისთვის სათანადო არენა და 500 ათასი ევროს შეტანაა საჭირო. ასეთი პირობების დაკმაყოფილებას ყველა გუნდი B ლიგაში დარჩენას ამჯობინებს.

**- განვლილი სეზონი შენთვის როგორი იყო?**

- თავიდან კარგად დავიწყე, ძირითად ხუთეულშიც მოვიპოვე ადგილი, მაგრამ სეზონის შუაში ფეხი ვიტკინე და დასვენება მომიწია. ბოლოსკენ კვლავ მოვახერხე ჩვეული თამაში. მოკლედ კარგად დავიწყე და ასევე დავასრულე, მაგრამ შუაში მქონდა მცირე ჩავარდნა.

**- B ლიგაში შიგადაშიგ ეფექტური მატჩები გქონდა, როგორ ფიქრობ, უმაღლესისთვის მზად როდის იქნები?**

- ბევრს ვმუშაობ, რათა ეფექტური თამაშები შიგადაშიგ კი არა, ყოველდღიურად მქონდეს. როცა ეს მიიღწევა, ზედა ეშელონშიც ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე უნდა ვიყო. მაგრამ მიმაჩნია, რომ მომავალი სეზონი ისევ B ლიგაში უნდა გავატარო და ერთი წელიწადი უმაღლესისთვის მოსამზადებლად გამოვიყენო.

**- გაისად სად აპირებ თამაშს?**

- ისევ "აკადემიაში". კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი წამოსვლის წინ გავაფორმე. სხვა შეთავაზებაც მქონდა, მაგრამ გარემოს გამოცვლა საჭიროდ არ ჩავთვალე. ვილნიუსს ძალიან მივეჩვიე და "აკადემიაში" თავს კარგად ვგრძნობ.

**- ისევ ბაზაზე ცხოვრობ?**

- დიახ. აკადემიის ბაზაზე ჩემს ძმასთან ერთად ვარ, იგი კადეტთა გუნდში ირიცხება.

**- მაინც რა აქვს ლიტვას მიმზიდველი?**

- პირველ რიგში, თვალშისაცემია წესრიგი და სიმშვიდე.

**- წლეულს ლიტვაში ქართველთა რიცხვმა იმატა...**

- მე, ტატო ვაშაკიძე, სერგო ათუაშვილი და გიორგი ცინცაძე ერთად შეკრების შანსს არ ვუშვებდით ხელიდან. ერთმანეთის თამაშებსაც ვესწრებოდით. ცინცაძე "როკის" ლიდერია, ტატო ვაშაკიძე "ნევეჟისში" დაცვით და გულიანი თამაშით გამოირჩეოდა. ათუაშვილის მონაწილეობით კი ის მატჩი ვნახე, რომელშიც ცოტა ითამაშა.

**- ქართველები საფეხბურთო ნაკრების საქომაგოდაც ხომ არ შეიკრიბეთ?**

- ლიტვა-საქართველოს მატჩს თვალი ტრიბუნებიდან მივადევნე. რამდენიმე ლიტველ ფეხბურთელს ვიცნობ (ისინი შეკრებებისას ჩვენ გვერდით, მარჩულიონისის სასტუმროში ბინავდებიან). მატჩის წინ უმეტესობა უხალისოდ იყო - ძლიერი გუნდი გყავთ და, ალბათ, წავაგებთო. მაგრამ მოგებამ თავად ლიტველებიც გააკვირვა. მე კი გაშვებული გოლის შემდეგ ქუდი დავიხურე და სტადიონიდან გამოვედი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ფრენბურთი

# მეცხრე ადგილი რუსების დამარცხებით

პარიზში მიმდინარე დიდი სლემის გათამაშებაში პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ** პლეიოფში მეორე ეტაპამდე გააღწია. იქ კი ოლიმპიურ ჩემპიონებთან, ბრაზილიურ დუეტ **რიკარდოსთან** და **ემანუელთან** დამარცხდა - 0:2 (14:21, 18:21). პლეიოფის პირველ შეხვედრაში ჩვენმა ფრენბურთელებმა რუსები **ბარსუკი** და **კოლოდინსკი** დაამარცხეს, რომლებიც ამ ტურნირზე მეოთხე ნომრად იყვნენ განთესილები და ფავორიტებად ითვლებოდნენ. შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა და გამარჯვებულის გამოსავლენად სამი სეტის გამართვა გახდა საჭირო - 2:1 (11:21, 21:17, 15:13)

საბოლოოდ გეორ-გიამ პარიზის დიდი სლემის ტურნირზე მე-9 ადგილი დაიკავა. რეიტინგში 320 ქულა მიითვალა და ქისა 8 000 დოლარით შეივსო. შეგახსენებთ, რომ ამავე ტურნირზე ქალთა ქართულმა წყვილმა საქა-რთველომ ჯგუფურ ტურნირში სამივე შეხვედრა დათმო და პლეიოფში ვერ გააღწია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სპორტის აკადემია

N 6 (42) ივნისი 2007

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტის ხვალინდელი დღის კადრებით უზრუნველყოფის განახლებული გზა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაზე გადის

## წლეულს აკადემია 69-ე შევსებას გაუღებს კარს



არასოდეს აბიტურიენტების ასეთი მოზღვავება არ ყოფილა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში და არასდროს ისე ორგანიზებულად, მაღალ დონეზე არ ჩატარებულა საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში სავალდებულო ნორმატივების ჩაბარება, როგორც წლეულს. ამას, უპირველესად, ბევრის მნახველი აკადემიის ყველაზე სტაჟიანი თანამშრომლები ადასტურებენ და იმასაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ უპირველესად ეს არის აკადემიის ამჟამინდელი რექტორის, პროფესორ ჯემალ გუგუშვილის დამსახურება. ბატონი ჯემალი იყო მიმღები კომისიის თავმჯდომარე და, ბუნებრივია, სწორედ მას მივმართეთ რამდენიმე შეკითხვით.

## შიდა გამოცდები, უპირველესად, თვით უმაღლესი სკოლის გამოცდაა

**- ბატონო ჯემალ, დავიწყოთ იმით, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრალური კომისიიდან გადმოგზავნილ სიაში, სპორტის აკადემია უმაღლესი სასწავლებლების ნუსხაში მითითებული ჰქონდა 2331 აბიტურიენტს. ეს იყო ზერეკორდული ციფრი აკადემიის ისტორიაში. საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ მესამედმა აღარ მოისურვა აკადემიაში ნორმატივების ჩასაბარებლად გამოცხადება, თუმცა კონკურენცია მაინც არნახულად მაღალი დარჩა. თქვენი აზრით, იმ 213-ს რატომ უნდა ეთქვა უარი სპორტის აკადემიაში სავალდებულო ნორმატივების ჩასაბარებლად გამოცხადებაზე?**

- უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრმა მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც "ღია კარის დღეების" ჩატარების დროს დაწვრილებით გაეცნო მოთხოვნებს. შიდა გამოცდებზე ნორმატივების ჩაბარებაც იოლი არ არის, თუ აბიტურიენტი სათანადოდ არაა მომზადებული. ჩვენს აკადემიაში ვინც მოდის, ყველა სპორტსმენი ხომ არ არის. სპეციალობას გააჩნია.

**- დღეს, თანაც ყველამ კარგად იცის, რომ აკადემიაში ამაღლდა დისციპლინა, გაიზარდა მოთხოვნები, როგორც პროფესორ-მასწავლებლების, ისე სტუდენტებისადმი...**

- გეთანხმებით.

**- თქვენი აზრით, რითი უნდა აიხსნას სპორტის აკადემიისადმი ახალგაზრდობის ასეთი აქტიური სწრაფვა?**

- ახალგაზრდობას კარგად ესმის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციალური მნიშვნელობა, გრძნობს ამ დარგის პერსპექტივას. აშკარად ჩანს, რამდენი რამ კეთდება ხელისუფლების მიერ ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. პრაქტიკულად ხორციელდება სპორტის განვითარების ნაციონალური საპრეზიდენტო პროგრამა. ამდენ სპორტულ ბაზას, სპორტის საყოველთაობისკენ სწრაფვას, კადრები ესაჭიროება. ამას დაუმატეთ ტურიზმის ინდუსტრია. ძალიან დიდი მოთხოვნაა ჩვენთან ტურიზმის სპეციალობაზე."

**- სიტყვამ მოიტანა და გვითხარით, რამდენ სპეციალობაზეა წლეულს მიღება?**

- ოთხი ფაკულტეტის 27 სპეციალობაზე. აკადემია წმინდა სპორტული პროფილის უმაღლეს სასწავლებლად რჩება. მიღევად რეჟიმში გაგრძელდება სწავლა იურიდიულ, სამკურნალო სპორტული რეაბილიტაციის და უცხო ენების ფაკულტეტებზე.

**- ჩვენი აკადემიისადმი ტრადიციულად დაინტერესებას უცხოელი ახალგაზრდებიც იჩენდნენ. ამჟამად როგორაა საქმე?**

- მოკლედ გეტყვით, თურქეთიდან ამბიტურიენტთა რიცხვი თითქმის გაორმაგდა შარშანდელთან შედარებით.

**- შიდა გამოცდების დღეებში ბევრ ცნობილ სახეებს ვხედავდით, როგორც სპორტის სამყაროდან, ისე ხელისუფლებიდან...**

- ეს ბუნებრივია, მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდით დღეს ყველა დაინტერესებულია. კომისიებში მოვიწვიეთ ცნობილი სპორტსმენები - ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები, სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, მმართველი პარტიის ხელმძღვანელები.

**- ვიცით, რომ ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, გამოცდები საჯაროდ, ღიად, აბიტურიენტთა მშობელთა და ახლობლების თვალწინ ჩატარდა, კმაყოფილი ხართ მიმღები კომისიის მუშაობით და შედეგებით?**

- ყველაფერი რომ კარგად ჩატარდა, უპირველესად, ეს ჩვენი თანამშრომლობის, ცალკეული კომისიის ხელმძღვანელებისა და საგამოცდო კომისიის წევრების, გამოცდების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარებისთვის ტექნიკური მუშაკების მაღალი პასუხისმგებლობის შედეგია. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მათ, თითოეულს პერსონალურად და ყველას ერთად, დიდი მადლობა ვუთხრა მინდობილი საქმისადმი სამაგალითო ერთგულებისთვის...

ესაუბრა
**თენგიზ თომაშვილი**

## შიდა გამოცდები და შთაბეჭდილებები



დავით კირკიტაძე (მარცხნივ) და ვალერი გიორგობიანი

დავით კირკიტაძე - **პარლამენტარი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი:** *"თავის დროზე თავად ვსწავლობდი ამ უმაღლეს სასწავლებელში. ვერ წარმომედგინა, თუ ასეთ მაღალ დონეზე შეიძლებოდა შიდა გამოცდების ორგანიზება. ადრე უფრო რთული იყო ნორმატივები. აი, ახლა ვაკვირდები აბიტურიენტებს და აშკარად ჩანს, რომ ბავშვთა ფეხბურთში კარგად ვერ გვაქვს საქმე, მათს მომზადებაში არ ჩანს, მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა ხელწერა. ვინც ახლა სპორტის აკადემიაში მწვრთნელთა ფაკულტეტზე მოხვდება ფეხბურთის განხრით, მათზე დიდი იმედებია. კონკურსი სოლიდურია და რაკი გზა მხოლოდ საუკეთესოებს გაეხსნებათ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა რამდენიმე წელიწადში ისინი ასევე რჩეულ სპეციალისტებად მოგვევლინონ ქართულ სპორტში, უპირველესად კი ბავშვთა ფეხბურთში".*

ვალერი გიორგობიანი - **საქართველოს პარლამენტის წევრი:** *"პირველად ვესწრები აკადემიაში გამოცდებს. აი, ვაკვირდებით, როგორ აბარებენ ნორმატივებს ფეხბურთელები. ნუნს ვერ დაუდებ, კარგი მომზადებულები ჩანან, თუმცა სტუდენტი ყველა ვერ გახდება - რჩეულები ჩაირიცხებიან მხოლოდ. იმავე ითქმის მორაგბეებზე, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებზე. მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებზე მოთხოვნა, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, რაც დრო გადის, უფრო იზრდება. საერთოდ, ფიზიკური აღზრდა და სპორტი დღეს ჩვენში სახელმწიფო რანგშია აყვანილი, მაგრამ ჯერ მაინც ბევრია გასაკეთებელი. სპორტული ბაზების სიმრავლე, რაზედაც სახელმწიფო შეუნელებლად ზრუნავს, საშუალებას იძლევა მოსახლეობამ, განსაკუთრებით ბავშვებმა და ახალგაზრდობამ, სისტემატურად გაიკაჟონ ჯანმრთელობა, პრაქტიკულად ეზიარონ ისინი ცხოვრების ჯანსაღ წესს. ჩვენი სტრატეგიული გეგმაა საბავშვო ბაღიდან მოყოლებული ყველა სასწავლებელში ფიზიკური აღზრდა გახდეს სავალდებულო დისციპლინა, უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის კი, როგორც ეს ადრე იყო, კვლავ აღდგეს და სავალდებულო გახდეს სპორტული ნორმატივების ჩაბარება".*

გია გალდავა - **საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.**

*- შესანიშნავი თაობა მოდის, გაცილებით უკეთესი, ვიდრე ეს იყო შარშან. ადვილი არაა ნორმატივების ჩაბარება, სპეციფიკა შეხამებულია სპორტის სახეობასთან. ნიჭიერი სპორტსმენი გამოვლენა ძალიან რთულია, მაგრამ ტესტები მიახლოებულია. სხვადასხვა ასაკის ნაკრების ბევრი წევრია აბიტურიენტი, მათგან, ცხადია, საუკეთესოები მოხვდებიან აკადემიაში. ბევრი მათგანი სულ მალე შავი ზღვის აუზის სპორტულ თამაშებში იასპარეზებს.*

ჯუანშერ ზალდასტანიშვილი - **პროფესორი, სპორტის გამოყენებითი სახეობების კათედრის გამგე:** *"წარმოუდგენლად დიდი იყო კონკურსი კრივის სპეციალობაზე. სპორტის ამ სახეობამ ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქსა და რაიონში პოვა მხარდაჭერა და სპორტსმენებს მომავალში მწვრთნელის პროფესიის დაუფლება სურთ. გაგვაოცა ცურვის სპეციალობაზე სწავლის მსურველთა სიმრავლემაც. ეს ფაქტიც პირდაპირ კავშირშია საცურაო აუზების ამოქმედებასთან, რომელთა რიცხვი სამომავლოდ კიდევ უფრო გაიზრდება და, ცხადია, გაიზრდება მოთხოვნა კადრებზეც.*

*გვაქვს სამწუხარო ფაქტიც: ცხენოსნობაზე, მაგალითად, არც ერთი მსურველი არ იყო, თანამედროვე ხუთჭიდზე მხოლოდ სამ აბიტურიენტს ჰქონდა განაცხადი. ვფიქრობ, ეს ფაქტი სპორტის ხსენებულ სახეობებში შექმნილი მდგომარეობის ადეკვატურია.*

გივი ფარადაშვილი -. **აბიტურიენტი:** *"წლეულს დავამთავრე თბილისის 61-ე საჯარო სკოლა. ერთ-ერთი არჩევანი სპორტის აკადემიის პედაგოგიურ ფაკულტეტზე შევაჩერე. გამოცდები ნამდვილად მაღალ დონეზე და კეთილსასურველ ატმოსფეროში მიმდინარეობს. შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისთვის ყველა პირობაა შექმნილი.*

გიორგი მამუჩაშვილი. **აბიტურიენტი:** *მინდა ვისწავლო მწვრთნელთა ფაკულტეტზე. ვთამაშობ თბილისის "დინამოს" დუბლებში, სადაც "შევარდენის" სპორტსკოლიდან მოვხვდი. ჩვენს სპეციალობაზე აკადემიაში დიდი კონკურსია. იმედია, გამიმართლებს.*

თათია და თამარ მოდებაძეები - **აბიტურიენტები; ტყუპი დები ლაგოდეხის რაიონის სოფ. აფენიდან:** *"სწავლის გაგრძელება ჩვენ სამკურნალო ფიზიკური ვარჯიშებით რეაბილიტაციის სპეციალობაზე გვსურს. ცხადია, გვქონდა იმის შიში, რომ გაგვიჭირდებოდა სპორტული ნორმატივების ჩაბარება, მაგრამ კარგად მიდის საქმე. დღეს რბენები გვაქვს, ბოლო ნორმატივებს ვაბარებთ. კომისია გულისხმიერად გვეკიდება. თქვენ გვკითხეს, გვიტარდებოდა თუ არა ფიზაღზრდის გაკვეთილები. გვიტარდებოდა. ჩვენ არ ვართ სპორტსმენები, ნორმატივების ჩაბარება მხოლოდ იმან გაგვიადვილა, რომ ფიზაღზრდა სკოლაში ერთ-ერთ წამყვან სასწავლო დისციპლინადაა მიჩნეული" - ამბობს თამარ მოდებაძე.*





აბიტურიენტების ოჯახის წევრები და ნათესავები თვალს ადევნებენ გამოცდებს



კომისია მობილიზებულია



კომისიის წევრი, პროფესორი ჯუანშერ ზალდასტანიშვილი შედეგებს აცნობს აბიტურიენტებს



აბიტურიენტ ტყუპ დებს - თამარ და თათია მოდებაძეებს ესაუბრება პროფესორი დურმიშხან ჩიტაშვილი

**მომდევნო გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

თარაზულად: 2. კოშე, 4. ბიმონი, 7 ფილა, 9. "სტიაუა", 10. იგენი, 11. ზიკო, 14. ლოსაბერიძე, 16. სეტი, 17. "რენი", 18. კარპოვი, 20. "ბოავიშტა", 26. ოსტატი, 27. ლეიბი, 28. ფალიანი, 29. ილინი.

შვეულად: 1. ფიზიკელა, 3. შაიბა, 4. ბა, 5. მოგვერდი, 6. ნუნუ, 8. ბურე, 13. ლი, 15. კილანინი, 18. კოკა, 19. "ვისლა", 21. ონილი, 22. ვალსი, 23. შტილი, 24. კანი, 25. ვეა.

სპორტის აკადემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეფორმის დასაჩქარებლად...

უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმა გარდამავალ პერიოდშია და, ბუნებრივია, ბევრი რამ სპორტის აკადემიაშიც დასახვეწია. ქვეყნის პრეზიდენტისა და მთელი რიგი ნორმატიული აქტების, აგრეთვე თვით აკადემიის რექტორის, პროფესორ ჯ. გუგუშვილის ბრძანებების გაწურულად შესასრულებლად ა.წ. 11 ივნისს გამოიცა რექტორის ახალი ბრძანება, რომელმაც უნდა აღმოფხვრას ხარვეზები რეფორმის პროცესში. მასში ვკითხულობთ:

1. 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოფილ იქნას აკადემიის სრული პერსონალის საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლა;

2. ადმინისტრაციამ, აკადემიურმა და წარმომადგენლობითმა საბჭოებმა შეათანხმონ ერთმანეთთან კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შტატში მომუშავე პერსონალი და, რაც აისახება კონტრაქტში;

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა საბჭომ შემჭიდროებულ ვადაში უნდა უზრუნველყონ 2007-2008 სასწავლო წლისთვის პროგრამის შესაბამისი პერსონალის განსაზღვრა და წარმომადგენლობით საბჭოში წარდგენა საშტატო ნუსხაში სათანადო ცვლილებებისა და დამტკიცებისათვის;

ადამიანის რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფს პერსონალის შესაბამის მონაცემთა ბაზას კანონის შესაბამისად.

აკადემიის იურიდიულ სამსახურს დაევალა კონტროლი ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გასატარებლად.

საერთო კონტროლს ბრძანების შესრულებაზე რექტორი თავად განახორციელებს.

## შეტევა სრული კონტაქტით...

აკადემიის ღია ჩემპიონატი კარატეში სრული კონტაქტის საშეჯიბრო წესებით, ორ წონით კატეგორიაში ჩატარდა წრიული სისტემით. გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს:

-75 კგ: 1. გიორგი ნავროზაშვილი (თსუ), 2. ლევან ცინცაძე (ბათუმი0, 3. გიგა ჭილაია (თსუ-ს სოხუმის ფილიალი) და ნიკა კახნიაშვილი (სპორტის აკადემია).

+75 კგ: 1. გია კვენეტაძე, 2. რატი ნითელაძე, 3. გივი კარკალაია და ალან ბუთიაშვილი (ყველა - სპორტის აკადემია).

## ეს მოხდა 1981 წელს

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში ძიუდომ არნახული პოპულარობა მოიპოვა. მაშინ ბევრმა ძიუდოისტმა გადაწყვიტა მწვრთნელის სპეციალობას დაუფლებოდა. ფიზკულტურის ინსტიტუტებში გაიხსნა ფაკულტეტები. 1981 წელს სსრ კავშირის თასის გათამაშება ძიუდოში ფიზკულტურის ინსტიტუტებს შორისაც ჩატარდა. მთავარ პრიზს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრები დაეუფლა. პირად პირველობაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს თ. კურდღელაშვილმა (65), ა. წკრიალაურმა (78), თ. მუკვანმა (86); მეორე პრიზიორი გახდა გ. კოლოტაური (65); მესამე ადგილი წილად ხვდათ გ. ტაბლიაშვილს (71), ა. ხუმარაშვილს (78) და გ. ხუცურაულს (15).

## პირველი...

ფიზკულტურის ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი ნანა ასრათაშვილი პირველი ქართველია, რომელმაც სსრკ ჩემპიონატში მედალი მოიპოვა ქალთა ძიუდოში. ეს მოხდა 1986 წელს ლენინგრადში. ასრათაშვილი მესამე პრიზიორი გახდა 48 კგ წონით კატეგორიაში.



მარცხნიდან: გივი ხაჩიძე, ჯემალ გუგუშვილი და გურამ პაპიტაშვილი საუნივერსიტეტო სპორტის ყრილობაზე

## რექტორი ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის მმართველობა ახალმა ხელმძღვანელობამ გადაიბარა. ამ დღეებში გამართულ ყრილობაზე ფედერაციის პრეზიდენტად დელეგატებმა ერთხმად აირჩიეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომელი **ნიკა ამაშუკელი,** ვიცე-პრეზიდენტად საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი, პროფესორი **ჯემალ გუგუშვილი** და სტუ-ს სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარე **თემურ დუნდუა.**

## 10 რჩევა ტურისტებს

სულ უფრო მზარდი ხდება ტურიზმის როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ეკონომიკის, ყოფის, სოციალური გარემოს გაუმჯობესებაში. ტურიზმის განვითარების აუცილებელ პირობად მიგვაჩნია. ქვეყანაში შიდა ტურიზმის განვითარება, რომლის საფუძველსა და წყაროს ახალგაზრდული (სტუდენტური და სასკოლო) ტურიზმი წარმოადგენს.

დამთავრდა სასწავლო წელი და ახალგაზრდები აუდიტორიებიდან თუ საკლასო ოთახებიდან ბუნების წიაღში, ტურისტულ ბილიკებზე გადაინაცვლებენ. მათ შორის ბევრი იქნება ახალბედა, გამოუცდელი, რომელიც უცხო (უცნობ) გარემოში მოსალოდნელ მოხვედრას ერთგვარი გაურკვევლობის გრძნობით ელოდება. მინდა შევთავაზო მათ რამდენიმე რჩევა-რეკომენდაცია, რომელიც ხანგრძლივი (თითქმის ნახევარსაუკუნოვანი) ტურისტული საქმიანობის შედეგად საკუთარ თავზე გამოვცადე და ვფიქრობ, ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს ცოტათი მაინც დაეხმარება ლაშქრობის წარმატებით ჩატარებაში. მაშ ასე, ჩემი რჩევაა:

**1.** შინ ჯდომით ტურიზმის ეშხს ვერ გაიგებ - გამოდი გარეთ, გადახედე შენს ქალაქს, ქვეყნის მთა-ბარს, მის ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, გაესაუბრე სხვადასხვა ასაკის, სპეციალობის კუთხის ადამიანებს და გაანალიზე ნანახ-გაგონილი... დარწმუნებული ვარ, უკმაყოფილო არ დარჩები;

**2.** ლაშქრობის (მოგზაურობის) წარმატება მთლიანად დამოკიდებულია მის მომზადებაზე: რაც უფრო სერიოზულად მოეკიდები საქმეს და საფუძვლიანად მოემზადები - მით უფრო მეტია წარმატების შანსი;

**3.** თუ გეშინია, ნუ წახვალ! - თუ წახვედი, ნუ გეშინია! - ირწმუნე საკუთარი თავის, ენდე მეგობარს! შეუძლებელი არაფერია და შენც ისევე შეგიძლია გაუმკლავდე გზაში წამოჭრილ პრობლემებს, როგორც სხვას - შეიძლება უკეთესადაც;

**4.** გზა შეგეშალა? - ნუ გაჯიუტდები, დაბრუნდი უკან! გახსოვდეს, - უკან დაბრუნება (დახევა) დამარცხებას ნიშნავს;

**5.** არ იწუწუნო, - როცა გშია, ან გწყურია, გცივა ან საჭმელი უგემურია - დაფიქრდი, რა გააკეთე შენ, რომ ასე არ მომხდარიყო?

**6.** დაიღალე? - დაეხმარე ამხანაგს და შვებას იგრძნობ; - ეძიე საკუთარი რეზერვები და ისწავლე მათი გამოყენება;

**7.** რაც უნდა მცირე იყოს ზურგჩანთის ჯიბეში ჩარჩენილი გამხმარი პურის ნატეხი, იგი ყველას უნდა გაუყო; გახსოვდეს! "ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო."

**8.** ათი ერთს ელოდება - გახსოვდეს! შენც შეიძლება აღმოჩნდე ანალოგიურ სიტუაციაში; "ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის;

**9.** მთამსვლელები მწკრივში დადიან... წესი და რიგი ყველგან საჭიროა; ქაოსი დაუშვებელია მთაშიც და ბარშიც;

**10.** კარგი ლაშქრობა კარგ ტურისტს გამოუდის - იყავი თვიკრიტიკული, წარუმატებლობის მიზეზი ეძებე საკუთარ თავში; მაშნ ყველაფერი გამოგივა.

მსუბუქ ზურგჩანთას და საინტერესო მოგზაურობას გისურვებთ, ჩემი ახალგაზრდა კოლეგებო!

**ვაჟა მათითაიშვილი**
ასისტენტ-პროფესორი,
სპორტის დამსახურებული მუშაკი




აკადემიის პროფესორი როლანდ კალანდაძე არაერთი სამეცნიერო ნაშრომის და წიგნის ავტორია, რომელთა შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე შექმნილი საინტერესო გამოცემებიცაა. ახლახან, მკითხველმა მიიღო რ. კალანდაძის უაღრესად საყურადღებო წიგნი "ქართული დემოკრატია აფხაზეთის, ოსეთისა და აჭარის საკითხის გადაწყვეტაში (1918-1921 წწ)". მეორე ნაშრომი, რომელიც წლეულსვე დაისტამბა ავტორმა თბილისის ფუნიკულიორის 100 წლისთავს მიუძღვნა.






აკადემიის ქალები

## იის კონებში ჩაღვრილი სითბო

არიან ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან თავისი პროფესიული დამოკიდებულებით იმ საქმისადმი, იმ პროფესიისადმი, რომელიც თავად აურჩევია და ბუნებასაც ზედ დაუნათლებია ნიჭი და შრომისმოყვარეობა.

ეს ადამიანები დღენიადაგ ილვწიან მამულის სასიკეთოდ... ფუტკარივით შრომობენ, კალმით თუ გონებით, ფიქრით და ოცნებით, ემოციურად განიცდიან საერთო ტკივილსა თუ სიხარულს... ისინი ხშირად ჩვენ გვერდით დადიან, ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობენ. მაგრამ მაინც თავისი განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ყველაფრის მიმართ. აქვთ თავისი სამყარო - რომელიც ზოგისათვის უცხოა, ზოგისათვის ნაცნობი...

"დიდი ჭკუა და მაღალი ნიჭი ყოვლად გამოუსადეგარია, თუ ადამიანი კეთილად არ ხმარობს", გვმოძღვრავდა დიდი აკაკი და იქვე დასძენს: "კაცს განყენებული ნიჭი და ჭკუა კი არ ამაღლებს ქვეყნის თვალში, მხოლოდ შრომა და ნაღვაწი კეთილად მიძღვნილი ერისადმი" - ასეთ კაცს მღელვარებით მიაქვს ტვირთი ამ წუთისოფლისა და მით უფრო მძიმეა ეს ტვირთი, მრავალმხრივი შემოქმედისა და, მით უმეტეს ქალისა, რომელიც ერთად ეწევა ამდენ მძიმე, მაგრამ სულიერად გამსუბუქებულ ჯაპანს. - ასეთი გრძნობა-განწყობა დამეუფლა ამ რამოდენიმე წლის წინათ, როდესაც გიული კახიძის პოეტურ კრებულს "იის კონებს" ვრედაქტორობდი.

გიული კახიძის - მეცნიერის, აკადემიის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის დეპარტამენტის უფროსის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის, ღირსების ორდენის კავალერის, მუდმივი ცხოვრების თანამგზავრი პოეზიაა. ამ კრებულში მაშინ ასზე მეტი ლექსი შევარჩიეთ.

დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, გიული კახიძე მარტო მეცნიერი და პოეტი როდია, იგი ქართველი გმირი ქალია: დედა, ბებია, მეოჯახე, მეგობრის ერთგული, მოყვარული მძღოლი, ქალი, რომელიც აკადემიაში მჭერვმეტყველური ლექციების შემდეგ, შინ შვილიშვილებს უკვე სულ სხვაგვარ ტონზე და სიფაქიზით უკითხავს ილიას, აკაკის, ვაჟას ლექსებს...

გიული კახიძე ერთგულებას ერთ-ერთ ინტერვიუში ასე აფასებს: "მირჩევნია მწარე სიმართლე მითხრან, ვიდრე კარგად მოფიქრებული ტყუილიო".

იგი ამაყია, ემოციური და სადაც სიფიცხე - ფიცხიც. ოპტიმისტია და ხვალინდელი დღითაც ცხოვრობს, მაგალითია ქართველი ქალის ვაჟკაცობისა, თუ საჭიროა ქართულ სუფრაზე თამადაც არის. იგი საქართველოს მომავალი თაობის მცველია...

დღეს გიული კახიძის დაბადების დღეა, ამიტომ ვკადნიერდები და პატარა წერილს მისივე ლექსით დავასრულებ.

■ ■ ■

ოღონდ მომასწრო,
საქართველოს სანუკვარ დღეებს
თუ ბედისწერამ აქაც აღარ დამაგვიანა...
გავიმაისებ მაშინ სულში მიმომქრალ ედემს
გადავიხუნებ, რაც სიმწარემ გადამიარა.

**ოლეგ გველესიანი**



## კროსვორდი

თარაზულად: 1. ვეტერანი ფრანგი ჩოგბურთელი, ანრი ..., 4. ოლიმპიური თამაშების (1968) ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში, 7. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 9. რუმინეთის საფეხბურთო კლუბი, 10. ერთადერთი სპორტსმენი (აშშ), რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, როგორც ზაფხულის (კრივი), ისე ზამთრის (ბობსლეი) ოლიმპიურ თამაშებში, 11. ერთ-ერთი ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი, 14. მშვილდოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი ქალი, 16. ჩოგბურთის პარტია, 17. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 18. მსოფლიოს ექსჩემპიონი ვაჟი მოჭადრაკე, 20. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 26. სპორტში დახელოვნებული, 27. საჭიდაო არენის საფენი, 28. ოლიმპიური პრიზიორი (1992) ქართველი მოკრივე, 29. საბჭოთა (რუსი) სპორტსმენი, სსრკ არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი ფეხბურთსა და ჰოკეიში.

შვეულად: 1. ცნობილი იტალიელი მრბოლი (ფორმულა1), 3. ჰოკეის ბურთი, 4. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, იბრაჰიმ..., 5. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 6. ფეხბურთელ გომეშის სახელი, 8. ლეგენდარული რუსი ჰოკეისტი, 12. ქართული სპორტული გაზეთი, 13. სპორტსმენებით განთქმული კორეული გვარი, 15. სოკ-ის მეექვსე პრეზიდენტი, 18. შეფასება ძიუდოში, 19. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 21. ნბა-ს ვარსკვლავი, 22. სპორტული ცეკვის ნაირსახეობა, 23. წყნარი, უქარო ამინდი, 24. ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მეკარე, 25. ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი, ჯორჯ...

## ვიქტორინა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

1. ვინ იყო საქართველოდან ევროპის პირველი ჩემპიონი?
ა- შალვა ჩიხლაძე
ბ- გივი კარტოზია
გ- ომარ ბლიაძე

2. ვინ იყო საქართველოდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი?
ა- კონსტანტინე კობერიძე
ბ- ლეონიდ ძაძონსკი
გ- გივი კარტოზია

3. რომელ წელს ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი?
ა- 1908 წელს
ბ- 1910 წელს
გ- 1912 წელს

4. ვინ გახდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქართველებიდან 1968 წელს?
ა- რომან რურუა
ბ- გივი კარტოზია
გ- ავთანდილ ქორიძე

5. ვინ იყო პირველი მსოფლიო ჩემპიონი საქართველოდან?
ა- რომან რურუა
ბ- როსტომ აბაშიძე
გ- გივი კარტოზია

პასუხები: 1-ა, 2-ბ, 3-გ, 4-ა, 5-ბ.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

ეროვნული ნაკრები

## ეს მოლდოვა რა ყოფილა...

როგორც უკვე გაცნობეთ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები ამ შემოდგომით, "ჩელენჯ ტროფიზე" ითამაშებს და ჩვენი ქვეჯგუფის მატჩები თბილისში გაიმართება. სიტყვიერად, თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია, ოფიციალურად კი ოთხშაბათს უნდა გადაწყდეს, მოგვცემს თუ არა ევროპის ხელბურთის ფედერაცია ტურნირის თბილისში ჩატარების უფლებას.

სანამ ეს საკითხი გადაწყდებოდეს, მოდით, ჩვენი მეტოქეების შესაძლებლობებს გადავხედოთ. საქართველოს ნაკრებმა ქვეჯგუფში უნდა ითამაშოს აზერბაიჯანთან, სომხეთსა და მოლდოვასთან. მეორე ჯგუფის მატჩები შედგება შოტლანდიაში, სადაც მასპინძლების გარდა, იბურთავებენ ინგლისელები, ირლანდიელები, ფარერელები და მონაკოელები.

"ჩელენჯ ტროფი" 1999 წლიდან, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და მასში დაახლოებით ჩვენი დონის და უფრო სუსტი ევროპული ქვეყნები მონაწილეობენ. როდესაც წინა სამი გათამაშების შედეგებს გადავხედეთ, აღმოვაჩინეთ, რომ ყველაზე სახიფათო მეტოქეები სწორედ ჩვენს ჯგუფში მოხვედრილან აზერბაიჯანისა და განსაკუთრებით, მოლდოვის სახით.

მოლდოველებს სამივე ფინალი აქვთ ნათამაშები. აქედან, 1999 წელს, კვიპროსთან დამარცხდნენ მინიმალური სხვაობით და მეორე ადგილზე გავიდნენ, ხოლო 2003 და 2005 წლების ფინალში აზერბაიჯანს მოუგეს.

რაც შეეხება შოტლანდიის ქვეჯგუფის გუნდებს, წინა შედეგების გათვალისწინებით, ისინი პოსტსაბჭოელებს საგრძნობლად ჩამოუვარდებიან. ასე რომ, ფინალში გამსვლელი პირველი ადგილისთვის ცხარე ბრძოლა მოგვიწევს აზერბაიჯანელებსა და მოლდოველებთან. სომხეთი კი ჯგუფის გამოკვეთილი აუტსაიდერი იქნება.

წინა სამი ტურნირი ექვსგუნდიანი იყო. მონაწილეები ჯერ ჯგუფურ მატჩებს ატარებდნენ, მერე კი საბოლოო ადგილებს ასე ანაწილებდნენ: პირველადგილოსანი საჩემპიონო მატჩში ხვდებოდა მეორეადგილოსანს, მესამე-მეოთხეადგილოსნები თამაშობდნენ ბრინჯაოს მედლისთვის, ხოლო უკანასკნელი ორი ქვეყანა მეხუთე პოზიციას ეცილებოდა ერთმანეთს.

როგორც ზემოთ ვთქვით, წლევანდელი "ჩელენჯ ტროფი" განსხვავებული სისტემით – ორ ჯგუფად ჩატარდება. ორივე ჯგუფის თითო საუკეთესო გუნდი 2008 წლის იანვარში, ნორვეგიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მსვლელობისას ითამაშებს ჩემპიონობისთვის.

დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ 2009 წლიდან, "ჩელენჯ ტროფის" ორგანიზებაში ევროპის ფედერაციასთან ერთად, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციაც ჩაერთვება და ტურნირი ყველა კონტინენტს მოიცავს.

**კობა ხატისაშვილი**

ტალანტების ფესტივალი

## ქართული შვიდკაცა ჰამერში

საქართველოს ჭაბუკ ხელბურთელთა ნაკრები ნორვეგიაში გაემგზავრა, სადაც თვის ბოლომდე დარჩება. როგორც იცით, ჩვენებურთა სკანდინავიური ვიზიტი საქართველოს ხელბურთის ასოციაციისა და ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ხდება.

ნორვეგიელები ოსლოდან 100 კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქ ჰამერში ატარებენ "ტალანტების ფესტივალს" და ქართველი ჭაბუკებიც სწორედ იქ მიიწვიეს. აღნიშნული პროექტი საკალათბურთო კემპის მსგავსი ფორმატისაა, სადაც რამდენიმე ქვეყნის პერსპექტიულ ბავშვებს დიდი ხელბურთის ელემენტებს აზიარებენ. თითოეულ გუნდში მხოლოდ შვიდი ხელბურთელი უნდა იყოს. ყველა ამპლუის მოთამაშეებს შორის ჩატარდება კონკურსი საუკეთესოების გამოსავლენად და ვიმედოვნებთ, ქართველი ჭაბუკები თავს არ შეირცხვენენ.

ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელებმა – **ვახტანგ ბერიაშვილმა** და **მამუკა მჟავანაძემ**, სანორვეგიოდ, გუნდი სტუ-ს ბაზაზე მოამზადეს. მათს განკარგულებაში იყვნენ ერთბაშად რვა ქალაქის მოთამაშეები და თითქმის ყველა გუნდიდან შეირჩა თითო საუკეთესო. საინტერესოა, რომ შვიდეულში ერთი თბილისელიც ვერ მოხვდა.

ჰამერიდან დაბრუნების შემდეგ, იმავე ასაკის, ოღონდ უკვე სრული, თოთხმეტკაციანი გუნდი, კიდევ ერთი ნორვეგიული ვიზიტისთვის მოემზადება. ამჯერად, ჭაბუკთა ნაკრები სკანდინავიაში შეკრებაზე წავა. ამჟამად ბერიაშვილმა და მჟავანაძემ ჰამერში ასეთი შემადგენლობა იახლეს: მეკარე: **გიგა კიკნაძე** (სამტრედია); **ირაკლი გოგიშვილი** (ფოთი), **გიორგი ნიკოლაიშვილი** (სამტრედია), **რობერტ ბეჟანიშვილი** (ყვარელი), **გურამ დარსაველიძე** (ქუთაისი), **ელგუჯა ხაბაზიშვილი** (გორი), **დავით მძელური** (რუსთავი).

## ოლიმპიური გარბენი

შაბათს თბილისში საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული გარბენი გაიმართა, რომლის ინიციატორიც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სოკ-ის მთავარი სპონსორი - „კოკა-კოლა", დედაქალაქის მერიის სპორტის სამსახური და ქალაქის ოლიმპიური კომიტეტი იყვნენ. გარბენმა სტარტი მეტრო „რუსთაველთან" აიღო და „თავისუფლებასთან" დამთავრდა. მასში უფროსებთან ერთად ორ ასაკობრივ ჯგუფად დაყოფილი ბავშვები და ინვალიდები მონაწილეობდნენ. სულ 800-მდე მონაწილე. გამორჩეულნი სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდნენ.

როგორც ვხედავთ, ოლიმპიურ გარბენს ფრიად სოლიდური ორგანიზაციები ატარებენ. იგი სოკ-ის ეგიდით იმართება, მის წევრ ყველა ქვეყანაში ტარდება და მიზნად ოლიმპიური იდეალების პროპაგანდას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ემსახურება. მიზანი ფრიად კარგია და ამისთვის საქართველოც სოკ-ის მართლაც დიდ ოჯახში გაწევრიანების შემდეგ უწყვეტად ილვწის, მაგრამ ძალიან კარგი იქნება, ორგანიზატორები ცოტა სარეკლამო კამპანიასაც თუ წაუმძღვარებენ წინ, თორემ იგი თბილისელებისთვის „რაღაც მძლეოსნობის ჩემპიონატად" დარჩება და არა კეთილშობილური მიზნებისთვის განკუთვნილ მასობრივ კულტურულ ღონისძიებად. ეგებ ამ შემთხვევაში რიგითმა ადამიანებმაც მიიღონ მონაწილეობა ანუ გარბენის მიზანი საზოგადოებისთვის უფრო ნათელი გახდეს.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი

სამი ერის პირველობა

## კლასით გამარჯვება



შაბათს დურბანში "ოლ ბლექსმა" კლასი უჩვენა მასპინძელ "ქურციკებს" და სამი ერის წლევანდელი პირველობა გამარჯვებით დაიწყო, თუმცა ზელანდიელ სტუმრებს ძალზე გაუჭირდათ და უმეტესი დრო აგებდნენ კიდეც. დაცვაში მედგრად მოთამაშე აფრიკელები უფრო ჯეელმა წევრებმა დაალალატეს, რომელთაც ბოლოსკენ უამრავი შეცდომა დაუშვეს, ვერც დამრტყმელმა **პერსი მონტგომერიმ** ივარგა. ბოლო 10 წუთში "კივებმა" ორი ლელო გაიტანეს, **დენ კარტერმა** ორივე გარდასახა და 12:21 26:21-ად იქცა.

დურბანში აფრიკულ-ზელანდიურ ჯახს რაგბის 53 ათასი მოყვარული დაესწრო. აფრიკა მონტგომერის საჯარიმოთი დაწინაურდა, იქვე **რუან პინარმა** საკუთარი ნახევრიდან დაარტყა ჯარიმა - 6:0. ზელანდიელებმა ხეირიანი პასუხი ვერ გასცეს, დენ კარტერს ორჯერ გაუცუდდა ჯარიმა. თუმცა ტაიმის მიწურულს კარტერმა უკვე ზუსტად ურტყა - 6:6. ბოლოს მაინც მასპინძლებმა იძალეს და **სხალკ ბურხერმა** მატჩის პირველი ლელო გაიტანა - 11:6.

მეორე ტაიმი უცნაურად დაიყო, **ბაკის ბოთას** ბურთი აეჭრა და ზელანდიელმა **მეიჯერმა** არეკნი გაიტანა - 9:11. ზელანდიელებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ კარტერმა ჯარიმა ძელს გაარტყა. აფრიკელთა მეორე ლელო მალევე გავიდა - **ბუჩ ჯეიმზმა ჟაკ ფურის** პასით გაიტანა - 18:9. 55-ე წუთზე მასპინძლებს 10 წუთით **პედრი ვანენბურგი** გაუსინბინეს, ჯარიმა კი კარტერმა გამოიყენა - 12:18.

მატჩის დასრულებას 13 წუთი უკლდა, როცა მონტგომერიმ კვლავ გაიტანა ჯარიმა (21:12), როგორც აღმოჩნდა ეს აფრიკელთა ბოლო მოპოვებული ქულები იყო. ჯერ **სოიალოს** წამოწყებული შეტევა **რიჩი მაკქოუმ** დააგვირგვინა (19:21, დასრულებამდე 10 წუთით ადრე), შემდეგ კი **ჯო როკოთოკოს** ჯერი დადგა - მან თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე პირველად და საბოლოოდ დააწინაურა ზელანდია.

შეგახსენებთ, რომ სამი ერის პირველ ტურში სამხრეთი აფრიკამ დრამატულ მატჩში ავსტრალია 22:19 დაამარცხა. მომავალ მატჩში, 30 ივნისს, ავსტრალია მელბურნში უმასპინძლებს ჩემპიონ ზელანდიას, სამი ერის ეგიდის გარდა ეს მატჩი "ბლედისლოუს თასისთვისაცაა".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ს. აფრიკა-ზელანდია 21:26**

აფრ: (15-9) **მონტგომერი, ვილემსე, ფური, დევილიე, პიტერსენი, ჯეიმზი, პინარი;** (1-8) **დურანი, გ.ბოთა, ბ.ჯ. ბოთა, ბ. ბოთა, მეტფილდი, ბურხერი, როსუ, სკინსტადი** (16-22) დუპლესი, ფანდერლინდე, მულერი, ვანენბურხი სბ 54; კლასენსი, ოლიფიე, შტაინი - *2ლ (ბურხერი, ჯეიმზი); გ (მონტგომერი), 3ს (მონტგომერი 2, პინარი)*

ზელ: (15-9) **მულიაინა, როკოთოკო, ტოეავა, მეიჯერი, სივივატუ, კარტერი, კელეჰერი;** (1-8) **ვუდკოკი, ოლივერი, ჰეიმენი, ფლეველი, როულინსონი, კოლინზი, მაკქოუ, სოოიალო;** (16-22) მეალამუ, ტიალატა, ფილიპო, მასოი; ვეეპუ, მაკალისტერი, მაკდონალდი - *2ლ (მაკქოუ, როკოთოკო), 2გ, 3ს (კარტერი), ა (მეიჯერი)*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს. აფრიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 43-45 | 1 | 5 |
| ახ. ზელანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 26-21 | 0 | 4 |
| ავსტრალია | 1 | 0 | 0 | 1 | 19-22 | 1 | 1 |

ჩოგბურთი



ეკა გორგოძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

რენა აბჟანდაძის თასი

## პრიზთა წვიმა იან პომერზე

გუშინ დასრულდა "რენას თასის" გათამაშება. ტრადიციულად პრიზებით მდიდარ ტურნირზე აქამდე უპრეცედენტოდ ბევრი საჩუქარი დარიგდა - 54. ჩვენმა კარგად უწყის, რომ "რენას თასი" საერთაშორისო ტურნირია და მხოლოდ ორ ასაკობრივ ჯგუფში - 14 და 16 წლამდელებში - ტარდება, ამიტომ მკითხველს პრიზთა სიმრავლე გაუკვირდება. მართლაცდა ორ ასაკში ამდენს კაცი ვერ დაარიგებ, მაგრამ ორგანიზატორებს ტრადიციულადვე შეუთანხმებიათ შეჯიბრებისთვის ქვედა ასაკის ტურნირებიც - 10, 12, ვეტერანთა და მოყვარულთა შორისაც.

ვიდრე ძირითადი ტურნირი აიღებდა სტარტს, ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ჯგუფური შეჯიბრი ვიხილეთ. აქ ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ, რომლებმაც ფინალისთვის და შემდეგ მთავარი პრიზისთვის ერთი კვირის შემდეგ, ანუ ამ უქმეებზე იბრძოლეს. ვეტერანთა ერთეულთა თანრიგში მთავარმა ფავორიტმა **გივი ლაბაძემ** იმარჯვა და ჩემპიონი გახდა. მან წყვილთა შორისაც გაიმარჯვა - მეწყვილედ კი **ალექსანდრე გეგეჭკორი** ჰყავდა.

ქალთა შორის მხოლოდ ერთეულებში გამოვლინდა გამარჯვებული და აქაც ფავორიტმა **ოფელია ბიჩინაშვილმა** იმარჯვა.

შაბათ-კვირას, ტურნირის დასკვნით ეტაპზე უმთავრესად ქართველი ჩოგბურთელები ვიხილეთ, რაც სულაც არ ყოფილა გასაკვირი - სტუმართაგან ერთი-ორს თუ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, - სტარტმა ასეთი სურათი იოლად გამოაჩინა...

14-წლამდელთა ერთეულთა თანრიგში, გოგონებში **სალომე კვიტაშვილმა**, რომელიც პირველ ნომრად იყო განთესილი, მეორე ნომრად განთესილი **დენიზ კაზანიუკი** ორ სეტში დაამარცხა - 6:3, 6:2; კვიტაშვილმა **ნინო სუჯაშვილთან** ერთად წყვილებშიც იმარჯვა - **ქეთი მებუკეს** და **ანი გოგვაძეს** რთულ ბრძოლაში აჯობეს - 7:6, 6:4. აღსანიშნავია, რომ მებუკე და გოგვაძე ორი-სამი წლით უმცროსები არიან და მათი გარჯა დიდ ქებას იმსახურებს.

ვაჟთა შორის, ამ ასაკში, **გიორგი ცივაძემ** იმარჯვა. გიორგიც მთავარი ფავორიტი იყო, მისი მეტოქე **დავით ხუციშვილი** კი - მეორე ნომერი. ფინალურ დაპირისპირებაში ცივაძეს სამი სეტი დასჭირდა მოსაგებად - 6:4, 2:6, 6:2.

16-წლამდელ გოგონებში **ეკა გორგოძემ** იმარჯვა. ისიც პირველი ნომერი გახლდათ. ეკას უპირატესობა მეტოქეებზე იმდენად დიდი იყო, რომ ხეირიანად გახურებასაც ვერ ასწრებდა. ფინალში ეკამ ნინო მებუკეს ორ სეტში იოლად აჯობა - 6:1, 6:1.

ერთადერთი ფინალი, სადაც ფავორიტს არაფერი გამოუვიდა, 16 წლამდელ ვაჟებში გაიმართა - რუსთაველმა **შოთა პაიჭაძემ** უკრაინელი **მაქსიმ მალიშევი** მართლაც "მალიშივით" დაიბრიყვა - 6:3, 6:0. მალიშევი პირველი ნომერი იყო და ფინალამდე მხოლოდ 8 გეიმი ჰქონდა წაგებული. ქართველს კი განთესვის ნომერი მიკუთვნებული არ ჰქონია - ერთ-ერთი უმდაბლესი რეიტინგი გააჩნდა თავის ასაკში, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისი სვლისთვის - პირველ ეტაპზე ავსტრიელი **ფილიპ რიჰა** დაამარცხა - 6:2, 6:2; მეოთხედფინალში მეორე ნომერი სომეხი **ასატრიანი** ჩამოიცილა გზიდან - 6:1, 6:3; ნახევარფინალში მესამე ნომერ **ბიძინა ამაშუკელთან** შედარებით რთული ბრძოლა გადახდა - 6:4, 6:3. პაიჭაძის პროგრესი აშკარაა - მისი სახით ქართულ ჩოგბურთს ნიჭიერი და კარგი მომავლის სპორტსმენი ეზრდება. იმედია, შოთა პროგრესს გააგრძელებს და კლასს უახლოეს ტურნირებშიც დაამტკიცებს. ასეთი კი, ერთ კვირაში "ჯეოსელის" თასის გათამაშებაა.

წყვილთა შორის 16 წლამდელ ვაჟებში უცხოურმა დუეტმა გაიმარჯვა: უკრაინელმა **მაქსიმ მალიშევმა** და პოლონელმა **პიოტრ გარანკოვსკიმ ბიძინა ამაშუკელის** და **შოთა პაიჭაძის** წყვილი დაამარცხა - 6:3, 6:2. გოგონებში **ეკა გორგოძისა** და **ნინო მებუკეს** წყვილმა **ნინო სუჯაშვილისა** და რუსი **ნადეჟდა დუბიანსკაიას** ტანდემი დაამარცხა - 6:3, 6:2.

14 წლამდელ ვაჟებში **დავით ხუციშვილისა** და **ლუკა ფილფანის** ერთობამ აჯობა **გიორგი იორდანიდისა** და **სანდრო დავლიანიძის** წყვილს - 6:2, 6:2.

ტურნირის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონია, რომელსაც კამერული ორკესტრის მუსიკალური თანხლება ამშვენებდა - ტრადიციულად "რენას თასზე" ასე ესალმებიან გამარჯვებულებს. რჩეულებს პრიზები სპონსორებმა და ქართული ჩოგბურთის ცნობილმა სახეებმა გადასცეს - სასიამოვნო იყო იმის აღნიშვნა, რომ წლეულს ტურნირს სპონსორთა სიმრავლე გამოარჩევდა, მათ შორის უპირველესად კომპანია თელასი, "ბორჯომი", "კოკა-კოლაა" აღსანიშნავი.

სასიამოვნოა ისიც, რომ ფინალურ შეხვედრებზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი ვიხილეთ, რაც იმის იმედს ტოვებს, რომ ტურნირს არც მომავალში მოაკლდება გულშემატკივარი. - მით უფრო, თუკი მეორე კატეგორიამდე ამაღლდა. შეგახსენებთ, წლევანდელი შეჯიბრება საერთაშორისო სტანდარტით მესამე კატეგორიისა გახლდათ.

**ზვიად შათირიშვილი**

| პირველი წრე | II | III | 1/8 | 1/4 | 1/2 | ფ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფედერერი (1, შვეიც)-გაბაშვილი (რუს) | | | | | | |
| დელ პოტრო (არგ)-სანგინეტი (იტა) | | | | | | |
| ქურეში (პაკ)-ჩაილდსი (ბრიტ) | | | | | | |
| დე ვოესტი (ს. აფრ)-საფინი (26, რუს) | | | | | | |
| ტურსუნოვი (21, რუს)-ალმაგრო (ესპ) | | | | | | |
| ბერერი (გერ)-მონტანიესი (ესპ) | | | | | | |
| ზიბი (ჩეხ)-პარტფილდი (არგ) | | | | | | |
| ფლიშმანი (აშშ)-ჰაასი (13, გერ) | | | | | | |
| ბლეიკი (9, აშშ)-ანდრეევი (რუს) | | | | | | |
| გუსმანი (არგ)-პაველი (რუმ) | | | | | | |
| მიულერი (ლუქ)-ერნანდესი (ესპ) | | | | | | |
| ჰაიეკი (ჩეხ)-ფერერო (20, ესპ) | | | | | | |
| კოლშრაიბერი (27, გერ)-სერა (საფ) | | | | | | |
| პეია (ავსტრია)-ტიპსარევიჩი (ჩეხ) | | | | | | |
| ფალა (კოლ)-კერი (აშშ) | | | | | | |
| ჯინეპრი (აშშ)-გონსალესი (5, ჩილ) | | | | | | |
| როდიკი (3, აშშ)-გიმელსტობი (აშშ) | | | | | | |
| უდომჩოკე (ტაილ)-ბერლოკი (არგ) | | | | | | |
| ვერდასკო (ესპ)-რეინოლდსი (აშშ) | | | | | | |
| სეპი (იტა)-ჰრბატი (31, სლოვაკ) | | | | | | |
| ფერერი (17, ესპ)-როიტმანი (არგ) | | | | | | |
| მატიო (საფ)-შტეპანეკი (ჩეხ) | | | | | | |
| ქიკელი (საფ)-პერნიხი (ჩეხ) | | | | | | |
| სპეიდი (აშშ)-ლუბიჩიჩი (15, ხორ) | | | | | | |
| გასკე (11, საფ)-ულირახი (ჩეხ) | | | | | | |
| კლემანი (საფ)-მაიუ (საფ) | | | | | | |
| ბეიკერი (ბრიტ)-როჟე ვასელენი (საფ) | | | | | | |
| ბეკერი (გერ)-ჩელა (24, არგ) | | | | | | |
| მოია (25, ესპ)-ჰენმანი (ბრიტ) | | | | | | |
| გუდელი (ბრიტ)-ფ. ლოპესი (ესპ) | | | | | | |
| ცონგა (საფ)-ბენეტო (საფ) | | | | | | |
| ლაპენტი (ეკვ)-მიურეი (8, ბრიტ) | | | | | | |
| დავიდენკო (6, რუს)-კოროლიოვი (რუს) | | | | | | |
| ბოგდანოვიჩი (ბრიტ)-გუჩიონე (ავსტრა) | | | | | | |
| მონფილსი (საფ)-ტ. იოჰანსონი (შვედ) | | | | | | |
| ვლიეგენი (ბელ)-მონაკო (32, არგ) | | | | | | |
| ნალბანდიანი (23, არგ)-ზვერევი (გერ) | | | | | | |
| დანჩევიჩი (კან)-კუბეკი (ავსტრია) | | | | | | |
| დევილდერი (საფ)-საბალეტა (არგ) | | | | | | |
| გულბისი (ლატ)-ბაღდატისი (10, კვიპ) | | | | | | |
| ჰიუიტი (16, ავსტრა)-ბლუმფილდი (ბრიტ) | | | | | | |
| გარსია ლოპესი (ესპ)-ბოლელი (იტა) | | | | | | |
| მირნი (ბლრ)-ლუ (ტაივ) | | | | | | |
| ნავარო პასტორი (ესპ)-კანიასი (22, არგ) | | | | | | |
| ვოლანდრი (30, იტა)-კიფერი (გერ) | | | | | | |
| სანტორო (საფ)-კარლოვიჩი (ხორ) | | | | | | |
| დელიჩი (აშშ)-დლუჰი (ჩეხ) | | | | | | |
| სტარაჩე (იტა)-ჯოკოვიჩი (4, სერ) | | | | | | |
| ბერდიჩი (7, ჩეხ)-მასუ (ჩილ) | | | | | | |
| ვავრინკა (შვეიც)-ლოდრა (საფ) | | | | | | |
| ლი (ს. კორ)-ვასალო არგუელო (არგ) | | | | | | |
| ორნა (პერ)-კალერი (29, არგ) | | | | | | |
| ბიორკმანი (19, შვედ)-ვისენტე (ესპ) | | | | | | |
| კუნიცინი (რუს)-ვანგი (ტაივ) | | | | | | |
| არტურსი (ავსტრა)-დე ბაკერი (ჰოლ) | | | | | | |
| კენდრიკი (აშშ)-რობრედო (11, ესპ) | | | | | | |
| იუჟნი (14, რუს)-პლესი (დან) | | | | | | |
| ჩილიჩი (ხორ)-სიმონი (საფ) | | | | | | |
| მაიერი (გერ)-ვარბურგი (აშშ) | | | | | | |
| რასელი (აშშ)-ნიემინენი (18, ფინ) | | | | | | |
| სიოდერლინგი (38, შვედ)-ო. როხუსი (ბელ) | | | | | | |
| ბარეი (ბრიტ)-გროსჟანი (საფ) | | | | | | |
| ეშაუერი (ავსტრია)-რამირეს იდალგო (ესპ) | | | | | | |
| ფიში (აშშ)-ნადალი (2, ესპ) | | | | | | |



როჯერ ფედერერი

უიმბლდონი 2007

# ფედერერის შვებულება

## როჯერი უიმბლდონზე ისე გაემგზავრა, ბალახზე არცერთი ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებია

ჩოგბურთო სამყარო გადაბრუნდა: ორი კვირის წინათ, როცა ბალახის კორტების მოკლე სეზონი დაიწყო, **რაფაელ ნადალი** ტურნირს თამაშობდა, **როჯერ ფედერერმა** კი, ხანმოკლე შვებულება აიღო. ესპანელი ბოლო ორი წელიწადია, "როლან გაროსის" დაპყრობის შემდეგ, აუცილებლად ცდიდა თავის ძალებს ბალახზე (2005 წელს, ჰალეში მან პირველივე წრეში წააგო გერმანელ **ალექსანდრ ვასკესთან**; 2006 წელს, ლონდონში მეოთხედფინალამდე მივიდა, სადაც ორი სეტის შემდეგ, **ლეიტონ ჰიუიტთან** ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა). ამიტომაც, გასაკვირი არაფერი ყოფილა იმაში, რომ სწორედ "როლან გაროსის" სამგზის ჩემპიონი ჩაუდგა სათავეში ლონდონური The Artois Championships-ის განთესილთა სიას. ხოლო ფედერერის გადაწყვეტილება, ბოლო მომენტში მოეხსნა თავისი განაცხადი ჰალეს ტურნირიდან, დიდი გაკვირვება გამოიწვია და მრავალი კითხვა გააჩინა.

ფედერერმა გერმანიაში გამოსვლაზე უკანასკნელ წამს თქვა უარი. ეს მოხდა მაშინ, როცა უკვე ჩატარებული იყო ტურნირის წილისყრა, რომელიც "როლან გაროსის" ფინალის წინა დღეს გაიმართა. ტურნირის ორგანიზატორთა ინფორმაციით, შვეიცარიელს მცირედი ტრავმა აწუხებდა, ხოლო ATP-ის ოფიციალური განცხადებით, ფედერერი უბრალოდ დაღალა. თავად როჯერმა, თავის ოფიციალურ ვებგვერდზე ეს ორი მიზეზი გააერთიანა და გამოაცხადა, რომ უიმბლდონამდე დარჩენილ ორ კვირაში, სერიოზული ტრავმის მიღების შიშით, კორტზე გასვლას არ აპირებს.

სხვათა შორის, 2003 წლიდან მოყოლებული, ფედერერი თავისი უიმბლდონური ტრიუმფების წინ, რეგულარულად იმარჯვებდა ჰალეში, თუმცა ის ამ გამარჯვებებს ბედნიერ ნიშნად კი არ თვლიდა, არამედ პარიზში წაგებების შემდეგ საკუთარ ძალებში რწმენის ასამაღლებლად იყენებდა. ამჯერად, როჯერი უიმბლდონზე ბრძოლაში ისე ჩაებმება, რომ ბალახზე არცერთი ოფიციალური მატჩი არ ექნება ჩატარებული. საინტერესოა, აისახება თუ არა ეს ფაქტი მის თამაშზე და თუ აისახება - როგორ?

ამასობაში, "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირი, წლის შედეგების მიხედვით საუკეთესო ჩოგბურთელის გამოვლენის ჭრილში უდიდეს როლს იძენს. პირველ რიგში, როჯერ ფედერერისთვის. შვეიცარიელს ხომ არასოდეს დაუწყია უიმბლდონი ისე, როცა ATP-ის ჩემპიონთა რბოლაში ის ნადალზე უკან იმყოფებოდა. თანაც, ესპანელთან სხვაობა უკვე 145 ქულას შეადგენს, რაც საკმაოდ ბევრია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რაფაელმა უნივერსალიზმში საგრძნობლად უმატა და "როლან გაროსზე" ფედერერის ზედიზედ მეორე ფინალს, თავისუფლად შეუძლია უპასუხოს უიმბლდონზე თავისი ზედიზედ მეორე ფინალით.

თუმცა, ესეც რომ მოხდეს, შვეიცარიელს საკმაოდ მაღალი შანსი აქვს, შეინარჩუნოს მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელის სახელი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ნადალმა აღებული ტემპი შეინარჩუნოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ესპანელი, ფაქტობრივად, ყველა გათამაშებაში ბოლომდე იხარჯება, მან ადრე თუ გვიან უნდა აუცილებლად მოუკლოს. ამასთან, ნადალს ბალახზე იმაზე ბევრი ნაკლი აქვს, ვიდრე შვეიცარიელს თიხნარზე. ამაზე მეტყველებს ის ნაგება, რომელიც ნადალმა ლონდონის ტურნირის მეოთხედფინალში ფრანგი **ნიკოლა მაიუსგან** იწვნია. ამ უკანასკნელისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ის დიდი ჩოგბურთელების რიცხვს არ განეკუთვნება.

როგორც ზემოთ გითხარით, ამ სეზონში დაგროვილი ქულების მიხედვით, ფედერერი 145 პუნქტით ჩამორჩება ნადალს. თითქოს ესპანელს დიდი უპირატესობა აქვს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით ჩანს იმისთვის, რომ უიმბლდონის შემდეგ ჩემპიონთა რბოლაში ეს უპირატესობა შეინარჩუნოს, ნადალი აუცილებლად უნდა გავიდეს ნახევარფინალში (ასეთ შემთხვევაში, ლონდონში ფედერერის ჩემპიონობაც კი, ვერ ჩამოაგდებს რაფაელს პირველი ადგილიდან). სხვა დანარჩენი მათ ბრძოლაში ვერ ჩაერევა.

## ტურნირები

### ATP

#### Ordina Open

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 353 450 ევრო

**1/4 ფინალი**

ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 2)-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:3, 6:7(8), 6:3; ჟულიენ ბენეტო (საფ)-მიხაელ ბერერი (გერ) 7:6(2), 7:5; პეტერ ვესელსი (ჰოლ)-ტომი რობრედო (ესპ, 1) 6:3, 6:3; ანტონი დუპუი (საფ)-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 7:6(2), 6:3.

**1/2 ფინალი**

ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 2)-ჟულიენ ბენეტო (საფ) 7:6(1), 3:6, 6:4; პეტერ ვესელსი (ჰოლ)-ანტონი დუპუი (საფ) 7:6, 7:6.

**ფინალი**

ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 2)-პეტერ ვესელსი (ჰოლ) 7:6(5), 4:6, 7:6(2).

#### ნოტინგემის ღია

ნოტინგემი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 323 050 ევრო

**1/4 ფინალი**

ივო კარლოვიჩი (ხორ)-ხუან დელ პოტრო (არგ) 7:6(10), 7:5; არნო კლემანი (საფ, 8)-რიშარ გასკე (საფ, 1) 6:4, 6:3; იონას ბიორკმანი (შვედ, 4)-პოლ ანრი მატიო (საფ, 6) 2:6, 6:3, 6:4; დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 2)-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 4:6, 6:3, 7:5.

**1/2 ფინალი**

არნო კლემანი (საფ, 8)-იონას ბიორკმანი (შვედ, 4) 6:2, 6:4; ივო კარლოვიჩი (ხორ)-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 2) 7:5, 6:4.

**ფინალი**

ივო კარლოვიჩი (ხორ)-არნო კლემანი (საფ, 8) 3:6, 6:4, 6:4.

### WTA

#### International Women's Open

ისტბურნი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)-მარიონ ბარტოლი (საფ, 8) 6:1, 6:3; ამელი მორესმო (საფ, 2)-ნადია პეტროვა (რუს, 3) 6:4 პეტროვას ტრავმა.

**ფინალი**

ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)-ამელი მორესმო (საფ, 2) 7:5, 6:7(4), 7:6(2).

#### Ordina Open

ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

ელენა იანკოვიჩი (სერ, 1)-დინარა საფინა (რუს, 4) 6:3, 3:6, 7:6 (6); ანა ჩაკვეტაძე (რუს, 3)-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 5) 6:3, 6:4.

**ფინალი**

ანა ჩაკვეტაძე (რუს, 3)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 1) 7:6 (2), 3:6, 6:3.

| ფ | 1/2 | 1/4 | 1/8 | III | II | პირველი წრე |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ანენი (1, ბელ)-[illegible] |
| | | | | | | [illegible] |
| | | | | | | სუნი (ჩინ)-ლუა (საფ) |
| | | | | | | ვესნინა (რუს)-პუჩკოვა (30, რუს) |
| | | | | | | ა. ბონდარენკო (24, უკრ)-კრეიბასი (აშშ) |
| | | | | | | შავაი (უნგ)-ბირნეროვა (ჩეხ) |
| | | | | | | პარკლროუდი (აშშ)-ვინჩი (იტა) |
| | | | | | | პინი (საფ)-შნიდერი (15, შვეიც) |
| | | | | | | ჰანტუხოვა (10, სლოვაკ)-პავლიუჩენკოვა (რუს) |
| | | | | | | ლიხოვცევა (რუს)-კამერინი (იტა) |
| | | | | | | ოქეგოვიჩი (ხორ)-გრონეფელდი (გერ) |
| | | | | | | ბალტაჩა (ბრიტ)-სრებოტნიკი (19, სლოვენ) |
| | | | | | | სტოსური (27, ავსტრა)-ბრანდი (პ-რიკო) |
| | | | | | | სეკერა (ვენ)-შრუფი (გერ) |
| | | | | | | მოლიკი (ავსტრა)-როდიონოვა (რუს) |
| | | | | | | დომინგეს ლინო (ესპ)–ს. უილიამსი (7, აშშ) |
| | | | | | | იანკოვიჩი (3, სერ)-კეოთავონგი (ბრიტ) |
| | | | | | | ჯონსი (აშშ)-გაიდოშოვა (სლოვაკ) |
| | | | | | | დულკო (არგ)-დანილიდუ (საბ) |
| | | | | | | ონდრაშკოვა (ჩეხ)-საფაროვა (25, ჩეხ) |
| | | | | | | ბარტოლი (18, საფ)-პენეტა (იტა) |
| | | | | | | გოვორცოვა (ბლრ)-არნი (გერ) |
| | | | | | | კანეპი (ესტ)-მალეკი (გერ) |
| | | | | | | ტანასუგარნი (ტაილ)-პეერი (16, ისრ) |
| | | | | | | ჰინგისი (9, შვეიც)-კავადაი (ბრიტ) |
| | | | | | | ნაკამურა (იაპ)-სუხა (სლოვაკ) |
| | | | | | | ვოზნიაკი (კან)-ბრენვილი (აშშ) |
| | | | | | | ლეპჩენკო (უზბ)-ბამერი (20, ავსტრია) |
| | | | | | | კრაიჩეკი (31, ჰოლ)-ობზილერი (ისრ) |
| | | | | | | კლოზელი (გერ)-ობრაიენი (ბრიტ) |
| | | | | | | კუტუზოვა (უკრ)-პუტჩეკი (ბლრ) |
| | | | | | | კერბერი (გერ)-ჩაკვეტაძე (8, რუს) |
| | | | | | | ივანოვიჩი (6, სერ)-ჩინკი (უნგ) |
| | | | | | | გალოვიტცი (რუმ)-ტუ (აშშ) |
| | | | | | | პერი (აშშ)-რეზაი (საფ) |
| | | | | | | კრემერი (ლუქ)-სკიავონე (29, იტა) |
| | | | | | | მ-გარიგესი (22, ესპ)-რ-პასკუალი (ესპ) |
| | | | | | | პერებიინისი (უკრ)-გალიარდი (შვეიც) |
| | | | | | | მირზა (ინდ)-ზვედოვა (რუს) |
| | | | | | | კინგი (აშშ)-პეტროვა (11, რუს) |
| | | | | | | ვაიდიშოვა (14, ჩეხ)-კნაპი (იტა) |
| | | | | | | პრატი (ავსტრა)-დელაკუა (ავსტრა) |
| | | | | | | აზარენკა (ბლრ)-კოსტანიჩ ტოშიჩი (ხორ) |
| | | | | | | იან ძი (ჩინ)-გარბინი (21, იტა) |
| | | | | | | სანტანჯელო (28, იტა)-მორიტა (იაპ) |
| | | | | | | ვოზნიაჩკი (დან)-იაკიმოვა (ბლრ) |
| | | | | | | რაზანო (საფ)-მაისბურგერი (ავსტრია) |
| | | | | | | ჯექსონი (აშშ)-მორესმო (4, საფ) |
| | | | | | | კუზნეცოვა (5, რუს)-ბაკულენკო (უკრ) |
| | | | | | | მატეკი (აშშ)-გარდინა (რუს) |
| | | | | | | პირონკოვა (ბულ)-რადვანსკა (პოლ) |
| | | | | | | სმაშნოვა (ისრ)-მიულერი (32, გერ) |
| | | | | | | გოლოვინი (17, საფ)-ჰსიე (ტაივ) |
| | | | | | | სტრიჩოვა (ჩეხ)-ბაჩეკი (ავსტრია) |
| | | | | | | კასტანიო (კოლ)-ბენეშოვა (ჩეხ) |
| | | | | | | დეში (საფ)-დემენტიევა (12, რუს) |
| | | | | | | საფინა (13, რუს)-კ. ბონდარენკო (უკრ) |
| | | | | | | ბრიანტი (იტა)-მორიგამი (იაპ) |
| | | | | | | პენგი (ჩინ)-სრომოვა (ჩეხ) |
| | | | | | | კუდრიავცევა (რუს)-ვ. უილიამსი (23, აშშ) |
| | | | | | | სუგიამა (26, იაპ)-საუთი (ბრიტ) |
| | | | | | | კირილენკო (რუს)-კორნე (საფ) |
| | | | | | | ბრემონი (საფ)-ბიჩკოვა (რუს) |
| | | | | | | ჩანი (ტაივ)-შარაპოვა (2, რუს) |

NHL დრაფტი 2007

# ევროპელებისა და მეკარეების დეფიციტი

## ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ნიგერიელი (!) ჰოკეისტი ითამაშებს

შაბათს, კოლამბუსში ჰოკეის ეროვნული ლიგის ყოველწლიური დრაფტი გაიმართა, სადაც NHL-ის კლუბებმა პლანეტის საუკეთესო იუნიორები დაინაწილეს.

წლევანდელი დრაფტი თითქმის მთლიანად ჩრდილოამერიკული იყო. ამჯერად, ევროპაში მაღალი კლასის 18-წლიანები ვერ მოიძებნა. ჩეხი **ვორაჩეკი**, რუსი **ჩერეპანოვი** და... მორჩა. პირველ 25 არჩეულს შორის მესამე ევროპელი, შვედი **მიკაელ ბეკლუნდი** აღმოჩნდა. დანარჩენი ჰოკეისტები კი, კანადას ან ამერიკას წარმოადგენდნენ.

წელეულს, დრაფტის ისტორიაში პირველად მოხდა, როცა პირველ ორ ნომრად ამერიკელი მოთამაშეები აირჩიეს. ესენი არიან: **პატრიკ ქეინი** და **ჯეიმს ვან რიმსდიკი**.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შევუდგებით დრაფტის პირველ ოცეულში არჩეული ჰოკეისტების დადებითი მხარეების ცალ-ცალკე განხილვას. უმჯობესია, შემოგთავაზოთ NHL.com-ის მიერ წლევანდელი ახალბედებისგან შედგენილი სიმბოლური ნაკრები (მეკარე, ორი მცველი და სამი თავდამსხმელი), რომლის მეშვეობითაც ნაწილობრივ მაინც შეგექმნებათ წარმოდგენა ჰოკეის ეროვნული ლიგის მომავალზე.

### ჯერემი სმიტი (აშშ)

*მეკარე. 13.04.1989*

*შარშან თამაშობდა "პლიმუტ უეილერსში" (ონტარიოს ლიგა).* ***სეზონი 2006-07:*** *34 მატჩი; 23 მოგება, 6 წაგება; საშუალოდ 2.59 გაშვებული შაიბა, დარტყმების მოგერიების 92.3 პროცენტი.*

მეკარის პოზიციაზე წლევანდელ დრაფტში საშინელი სიტუაცია იყო. აშკარა ვარსკვლავები არ იყვნენ და სპეციალისტები არ გამორიცხავდნენ, რომ პირველ რაუნდში საერთოდ არცერთ მეკარეს არ აირჩევდნენ.

ასეც მოხდა. გოლკიპერებს შორის ყველაზე მაღალი სარეიტინგო ადგილის მფლობელი **ჯერემი სმიტი** მეორე რაუნდში, საერთო 54-ე ნომრად "ნეშვილმა" აირჩია.

სმიტი დაბალი, მაგრამ ათლეტურია. ის ფსიქოლოგიურად მდგრადია, კარგად გრძნობს კარებს, კითხულობს თამაშს, ძლიერია ერთი-ერთზე გასული ფორვარდების წინააღმდეგ თამაშისას. შარშან, მას 151 წუთის ტოლი "მშრალი" სერია ჰქონდა. შთამბეჭდავია სმიტის მოგება/წაგების შეფარდებაც, მიუხედავად იმისა, რომ "პლიმუტი" თავის ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია.

სმიტს სუსტი მხარეც აქვს - ბევრ გოლს უშვებს შორეული დარტყმებისას.

### კარლ ელზნერი (კანადა)

*მცველი. 24.09.1988*

*შარშან თამაშობდა "კალგარი ჰიტმენში" (დასავლეთის ჰოკეის ლიგა).* ***სეზონი 2006-07:*** *63 მატჩი; 47 ქულა (8 გოლი+39 პასი);* ***ფლეი ოფი:*** *18 მატჩი; 13 ქულა (1+12).*

ის, რომ ელზნერი დრაფტის პირველ ათეულში მოხვდებოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა. საბოლოოდ, ეს მცველი მეხუთე ნომრად "ვაშინგტონმა" აირჩია.

ელზნერი შეიძლება განსაკუთრებული ნიჭის მფლობელი არ იყოს, მაგრამ ამასთან, პრაქტიკულად, არ გააჩნია სუსტი წერტილები. კარგი სრიალი, მოედნის ხედვა, შაიბის კონტროლი. ერთადერთი, რაც მას აკლია, სისწრაფეა, თუმცა, მას ვერც შენელებულ ჰოკეისტს ვუწოდებთ. 2005 წელს, კანადის იუნიორთა ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 2007 წლის იანვარში კი, ახალგაზრდებს შორის მოიპოვა პლანეტის ჩემპიონის ტიტული.

### კიტონ ელერბი (კანადა)

*მცველი. 05.11.1988*

*შარშან თამაშობდა "კემლუპს ბლეიზერსში" (დასავლეთის ჰოკეის ლიგა).* ***სეზონი 2006-07:*** *69 მატჩი; 25 ქულა (2 გოლი+23 პასი);* ***ფლეი ოფი:*** *4 მატჩი; 3 ქულა (1+2).*

ელერბის დრაფტის მეათე ნომერი ერგო - ის "ფლორიდამ" აირჩია. ეს ჰოკეისტი "ფინიქსის" კაპიტნის - **შეინ დოუნის** ბიძაშვილია. არის ცნობილი რეპერის - **სნუპ დოგის** ახლო მეგობარი.

კიტონი მრავალმხრივი მოთამაშეა, აქვს უძლიერესი დარტყმა. საიმედოდ თამაშობს დაცვაში და შეტევაშიც დიდი სიამოვნებითა და რაც მთავარია, გონივრულად ერთვება. მით უმეტეს, რომ კარგი პირველი პასი და მოედნის შესანიშნავი ხედვა აქვს, ამაში ის აშკარად ჯობნის ელზნერს.

### პატრიკ ქეინი (აშშ)

***მარჯვენა ფრთა.*** *19.11.1988*

*შარშან თამაშობდა "ლონდონ ნაითსში" (ონტარიოს ლიგა).* ***სეზონი 2006-07:*** *58 მატჩი; 145 ქულა (62 გოლი+83 პასი);* ***ფლეი ოფი:*** *16 მატჩი; 31 ქულა (10+21).*

ყველა რეიტინგით (გარდა CSB-ისა), ის დრაფტის პირველი ნომერი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც. შესაბამისად, პატრიკი "ჩიკაგოს" ერგო.

უსწრაფესი ჰოკეისტი, რომელიც თამაშის ბრწყინვალე ორგანიზატორია და თავადაც უყვარს გოლების გატანა. 2006 წელს, იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა და იქ ტურნირის საუკეთესო სნაიპერისა და მოთამაშის ტიტულებიც დაიმსახურა. თავი გამოიჩინა ბოლო ახალგაზრდულ მსოფლიო პირველობაზეც.



პატრიკ ქეინი

ბავშვობიდანვე, რომელ გუნდშიც არ თამაშობდა, ყველგან კაპიტანი იყო, ანუ მას ლიდერის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია.

### კაილ ტერისი (კანადა)

***ცენტრალური ფორვარდი.*** *14.08.1989*

*შარშან თამაშობდა "ვერნები ექსპრესი" (ბრიტანული კოლუმბიის ლიგა).* ***სეზონი 2006-07:*** *53 მატჩი; 121 ქულა (66 გოლი+55 პასი).*

CSB-ის (NHL-ის სკაუტების ცენტრალური ბიურო) რეიტინგით, დრაფტის პირველი ნომერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბოლოოდ, მას მესამე პოზიცია ერგო და "ფინიქსის" საკუთრება გახდა.

17 წლის ტერისის NHL-ში თამაში შორეული პერსპექტივაა. შემოდგომაზე ის ვისკონსინის უნივერსიტეტში დაიწყებს სწავლას და შესაძლოა, მის გუნდში მთელი ოთხი წელიწადი ითამაშოს.

სამაგიეროდ, სათამაშო თვისებების მხრივ, ტერისს ყველაფერი წესრიგში აქვს. ძალიან ტექნიკურია, მოწოდებით სნაიპერი და ფლეიმეიქერი. მარტოს შეუძლია გადაწყვიტოს მატჩის ბედი. რეაქტიული სისწრაფის მქონე ეს ახალგაზრდა, ძალისმიერ თამაშშიც კარგად გრძნობს თავს. მოკლედ, "ფინიქსისთვის" ის ნამდვილი განძი უნდა გახდეს.

### ჯეიმს ვან რიმსდიკი (აშშ)

***მარცხენა ფრთა.*** *04.04.1989*

*სეზონი 2006-07: 42 მატჩი; 63 ქულა (33 გოლი+30 პასი).*

კიდევ ერთი სტუდენტი. ჰოკეის ეროვნულ ლიგას მოცდა მოუწევს, სანამ ეს ძლიერი ამერიკელი მის რიგებს შეავსებს. შემოდგომიდან, ვან რიმსდიკს ნიუ ჰემპშირის უნივერსიტეტის გუნდში მოუწევს თამაში.

დრაფტის მეორე ნომერი (აირჩია "ფილადელფიამ") - ძალისმიერი ფორვარდია, კარგად ფარავს შაიბას კორპუსით, კარგად გრძნობს თავს ძალისმიერ ორთაბრძოლებში. გარდა ამისა, ჯეიმსს დიდი სისწრაფე აქვს, ტექნიკური სრიალი ახასიათებს და კარგად დაყენებულ დარტყმას ფლობს.

აშშ-ის ნაკრებთან ერთად, ის 2007 წლის ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ერთ წლით ადრე, კი იუნიორთა შორის ოქრო მოიპოვა.

■ ■ ■

წლევანდელ დრაფტზე ერთი ისტორიული მოვლენა მოხდა - "ჩიკაგომ" მეორე რაუნდში, საერთო 56-ე ნომრად აირჩია ნიგერიელი (!) ჰოკეისტი - **აკიმ ალიუ**, მეტსახელად "ოცნება".

ალიუ ნიგერიაში დაიბადა, უკრაინაში გაიზარდა და 11 წლის ასაკში კანადაში გადავიდა საცხოვრებლად. *"მამაჩემს ყინული 40 წლის ასაკამდე არ ჰქონდა ნანახი, დედაჩემი რუსია, მაგრამ არც მისთვის ყოფილა ჰოკეი ახლობელი. თუმცა, ორივე მათგანი კმაყოფილია ჩემი არჩევანით"*, - განუცხადა AP-ის ნიგერიელმა.

აკიმ ალიუ გასულ სეზონში ონტარიოს ჰოკეის ლიგაში "სადბერი ვულვზის" ღირსებას იცავდა და თავის გუნდს 16 გოლითა და 7 პასით დაეხმარა.

| დრაფტის პირველი 25 ნომერი | |
|---|---|
| 1. პატრიკ ქეინი (თავ) | ჩიკაგო |
| 2. ჯეიმს ვან რიმსდიკი (თავ) | ფილადელფია |
| 3. კაილ ტერისი (თავ) | ფინიქსი |
| 4. ტომას ჰიკი (მცვ) | ლოს ანჯელესი |
| 5. კარლ ელზნერი (მცვ) | ვაშინგტონი |
| 6. სემ განიე (თავ) | ედმონტონი |
| 7. იაკუბ ვორაჩეკი (თავ) | კოლამბუსი |
| 8. ზაქ ჰემილი (თავ) | ბოსტონი |
| 9. ლოგან კუტური (თავ) | სან ხოსე |
| 10. კიტონ ელერბი (მცვ) | ფლორიდა |
| 11. ბრენდონ სატერი (თავ) | კაროლინა |
| 12. რაიან მაკდონაჰი (მცვ) | მონრეალი |
| 13. ლარს ელერი (თავ) | სტ. ლუისი |
| 14. კევინ შატენკირკი (მცვ) | კოლორადო |
| 15. ალექს პლანტი (მცვ) | ედმონტონი |
| 16. კოლტონ გილი (თავ) | მინესოტა |
| 17. ალექსეი ჩერეპანოვი (თავ) | რეინჯერსი |
| 18. იან კოული (მცვ) | სტ. ლუისი |
| 19. ლოგან მაკმილანი (თავ) | ანაჰაიმი |
| 20. ანჯელო ესპოზიტო (თავ) | პიტსბურგი |
| 21. რაილი ნეში (თავ) | ედმონტონი |
| 22. მაქს პასიორეტი (თავ) | მონრეალი |
| 23. ჯონათან ბლუმი (მცვ) | ნეშვილი |
| 24. მიკაელ ბეკლუნდი (თავ) | კალგარი |
| 25. პატრიკ უაიტი (თავ) | ვანკუვერი |

# TV სპორტი

**25 ივნისი. ორშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო.
14:10 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. რეინჯერსი-მანჩესტერ იუნ.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
18:05 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. მარსელი-პორტუ.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
22:30 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ფინალი. ჰოლანდია-სერბეთი. ჰოლანდია.
00:30 კოპა ამერიკას წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
08:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა.
09:00 კრივი. რინგ-საიდი.
10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გოიაში-პალმეირასი.
11:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰალე. გერმანია.
16:55 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:25 ცურვა. Fina-გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ბირმინგემი. ინგლის.
20:35 ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.
21:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:35 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. კელვინ ბროკი-ტიმურ იბრაჰიმოვი.
02:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გოიაში-პალმეირასი.
04:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
05:55 ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.

**EUROSPORT**

10:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთის გრან პრი.
12:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი.
13:00 ჩოგბურთი.
13:15 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. დასკვნითი ეტაპი. ჰოლანდია-გერმანია. როტერდამი. ჰოლანდია.
14:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. რუსეთი-კუბა. რუსეთი.
15:30 მძლეოსნობა. ევროპის თასი. მიუნხენი. გერმანია.
18:30 მძლეოსნობა. აშშ-ის ჩემპიონატი.
19:00 ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი. ჰოლანდია.
20:30 მულტისპორტი.
21:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
22:00 სუმო.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 მულტისპორტი.
03:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი.
10:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
13:00 პლაჟის რაგბი. ჩელენჯ პრო. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. საფრანგეთი-იტალია. საფრანგეთი.
17:00 რაგბი. IRB. წყნარი ოკეანის ერთა თასი. ფიჯი-ავსტრალია.
18:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. რუსეთი-კუბა. რუსეთი.
19:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. კლივლენდი. აშშ.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
21:45 სერფინგი.
22:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. ბარსელონა-რეალი. IV მატჩი.
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბულგარეთი-პოლონეთი. ბულგარეთი.
02:15 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი.
03:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

**ესპანეთი**

ფლეი ოფი. ფინალი

| | |
|---|---|
| **ბარსელონა-რეალი** | 71:82 |

ჩოგბურთი

## მიურეი იმედს არ კარგავს

ბრიტანული ჩოგბურთის მთავარი იმედი **ენდი მიურეი** იმედს არ კარგავს, რომ შეძლებს "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირში (უიმბლდონი) მონაწილეობის მიღებას.

მიურეი, რომელიც უიმბლდონზე მერვე ნომრად არის განთესილი, აღნიშნავს, რომ მაჯის ტრავმის შემდეგ აღდგენითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას, ითამაშოს თუ არა ლონდონის კორტებზე, ის დღეს მიიღებს.

*"ყოველდღიურად უკეთ ვგრძნობ თავს. თუ კვირისა და ორშაბათის ვარჯიშების შემდეგ, ყველაფერი წესრიგში იქნება, უიმბლდონზე აუცილებლად ვითამაშებ"*, - ამბობს ენდი მიურეი.

ფორმულა 1

## ჰემილტონმა კარტი დაამტვრია

"მაკლარენ მერსედესის" პილოტი **ლუის ჰემილტონი** ლონდონის ცენტრში მოწყობილი საჩვენებელი გამოსვლისას ავტოავარიაში მოხვდა, - იუწყება სააგენტო AFP.

ფორმულა 1-ის წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი კარტინგის ტიპის მანქანით მასტერ-კლასს ატარებდა, როცა იმპროვიზირებულ ტრასაზე დამცავ ბარიერს შეეჯახა.

ავარიის დროს, ბოლიდი ოდნავ დაზიანდა, არანაირი ტრავმა არ მიუღია ბრიტანელ პილოტს. სხვათა შორის, ეს მანქანა, რომლითაც ჰემილტონი 8 წლის ასაკში ავტომრბოლის კარიერას იწყებდა, ორი დღის წინათ, ინტერნეტ-აუქციონზე 42.1 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

ჯერჯერობით უცნობია, მომხდარზე მანქანის ახალი მფლობელის რეაქცია.

## ტოდტი თავის პილოტებს ამხნევებს

"ფერარის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ჟან ტოდტმა** სრული ნდობა გამოუცხადა თავისი გუნდის პილოტებს, **ფელიპე მასასა** და **კიმი რაიკონენს**.

*"ისინი ჩვენი საჯინიბოს აწმყო და მომავალი არიან. მიკვირს, როცა ვიღაც ჩვენს გუნდში არსებულ პრობლემებზე ლაპარაკობს. შეხედეთ ცხრილს - ჩვენს წინ მხოლოდ "მაკლარენია"*, - ამბობს ტოდტი და იქვე ამატებს. - *მონაკოს, კანადისა და ამერიკის ეტაპებზე ნაჩვენები შედეგებით იმედგაცრუებულნი დავრჩით, მაგრამ სილვერსტოუნში კარგად ვიმუშავეთ და ბრძოლის გასაგრძელებლად მზად ვართ"*.

კალათბურთი

## ეფესმა უკანა ხაზი გააძლიერა

თურქულმა "ეფეს პილსენმა" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ამერიკელ ფლეიმეიქერ **რაშად რაიტთან**. ევროლიგის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კონტრაქტი ორი წლის ვადით არის გაფორმებული.

შარშან, რაიტი ბელგიის "ოსტენდეში" თამაშობდა და ამ გუნდს ქვეყნის ჩემპიონის მორიგი ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა.

## სხვადასხვა

კალათბურთი

### იაო მინი ცოლს ირთავს

"ჰიუსტონ როკეტსის" ჩინელი ცენტრი **იაო მინი** სამშობლოში არდადეგებზე იმყოფება და იქ 25 წლის **იე ლიზე** დაქორწინებას აპირებს. ამ ქალს მინი უკვე შვიდი წელიწადია იცნობს, მაგრამ მასთან შეუღლება მხოლოდ ახლა გადაწყვიტა - იტყობინება ერთ-ერთი ჩინური რადიოსადგური. სხვათა შორის, იე ლი 190 სანტიმეტრი სიმაღლისაა და თავისი გიგანტი საქმროს (226 სმ) გვერდით, არც ისე დაბალი მოსჩანს.

მინი და ლი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი წყვილი იქნება. საქორწინო ცერემონია აგვისტოში, შანხაის ცენტრალურ მოედანზე გაიმართება.

იაო მინის მომავალი ქორწილის გამო, კლუბის სახელით შეშფოთება გამოთქვა "ჰიუსტონის" გენერალური მენეჯერის ასისტენტმა **დერილ მორიმ**: *"ქორწილამდე იაო მინმა თავისი ფიზიკური ფორმა უნდა აღიდგინოს. იმედი მაქვს, რომ თაფლობის თვის დროს, ის ამასაც მიაქცევს ყურადღებას".*

### დულინგი ორლანდოს ერთგულია

"ორლანდო მეჯიქის" მცველმა - **კენიონ დულინგმა** კლუბთან ახალი, მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამიერიდან, ამ კალათბურთელის წლიური ხელფასი 3.5 მილიონი დოლარი იქნება.

NBA-ის გასულ რეგულარულ ჩემპიონატში დულინგმა 66 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 7.9 ქულას აგროვებდა.

### მილუოკიმ ბოგუტი შეინარჩუნა

"მილუოკი ბაქსმა" გამოიყენა ცენტრალური თავდამსხმელის **ენდრიუ ბოგუტისა** და ფორვარდ **ჩარლი ვილანუევას** კონტრაქტებში არსებული პუნქტები და მათ ერთი წლით გაუგრძელა ხელშეკრულებები.

შეგახსენებთ, ეს კალათბურთელები "მილუოკიმ" 2005 წლის დრაფტზე აიყვანა.

### იტალიაში სამწვრთნელო ცვლა-ცხელებაა

სამწვრთნელო გადაადგილებები მოხდა იტალიის სერია A-ში მოთამაშე გუნდებში. **ზარე მარკოესკი**, რომლის ხელმძღვანელობითაც "ვირტუსი" იტალიის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, ბოლონიას ტოვებს. სავარაუდოდ, ეს სპეციალისტი "მილანს" ჩაუდგება სათავეში.

"ვარეზემ" აღარ გააგრძელა კონტრაქტი **რუბენ მანიანოსთან**, რომელმაც ამ კლუბში სამი სეზონი იმუშავა.

"ვირტუსი" და "ვარეზე" ახალ მთავარ მწვრთნელად **სტეფანო პილასტრინის** იწვევენ.

### სმოდიში ნაკრებში ითამაშებს

მოსკოვის ცსკა-ს სლოვენიელი ლეგიონერი **მატეიაზ სმოდიში** წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე თამაშს დათანხმდა. 27 წლის თავდამსხმელი, 2001 წლის შემდეგ პირველად დაიცავს სლოვენიის ნაკრების ღირსებას.

*"იმედი მაქვს, რომ ესპანეთში წარმატებას მივაღწევთ და პეკინის ოლიმპიური თამაშების საგზურს მოვიპოვებთ. ამის რომ არ მჯეროდეს, ნაკრებში არ დავბრუნდებოდი"*, - აცხადებს სმოდიში.

შეგახსენებთ, რომ ევრობასკეტის ჯგუფურ ეტაპზე სლოვენია ჯგუფში საფრანგეთთან, პოლონეთთან და იტალიასთან ერთად ითამაშებს.

### რადმანოვიჩი ევროპაზე არ იქნება

EUROBASKET.COM-ის ინფორმაციით, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" სერბმა ფორვარდმა **ვლადიმერ რადმანოვიჩმა** უარი განაცხადა წლევანდელ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ეს ცნობა სერბეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზორან სლავნიჩმაც** დაადასტურა.

ასე რომ, რადმანოვიჩი NBA-ის მესამე სერბი ლეგიონერი გახდა, ვინც ნაკრებში თამაში იუარა. მანამდე ეს **პრედრაგ სტოიაკოვიჩმა** ("ნიუ ორლეანი") და **ნენად კრსტიჩმა** ("ნიუ ჯერსი") გააკეთეს.

### ბატისტი ბულგარელი გახდება

სააგენტო "როიტერის" ცნობით, "პანათინაიკოსის" ცენტრალური თავდამსხმელი **მაიკ ბატისტი** ბულგარეთის მოქალაქეობის მიღებასა და ამ ქვეყნის ნაკრებში თამაშს აპირებს.

ბულგარეთის კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ამერიკელ კალათბურთელს უკვე გაუფორმეს შესაბამისი დოკუმენტები.

ჰოკეი

### რეკი და რობერტსი პიტსბურგში რჩებიან

"პიტსბურგ პინგვინზმა" თავის ორ ვეტერანს **მარკ რეკისა** და **გერი რობერტსს** გაუგრძელა კონტრაქტები. ყველაზე ასაკოვან "პინგვინებს" 1 ივლისს უმთავრდებოდათ კლუბთან ხელშეკრულებები და "პიტსბურგის" ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ისინი ამ გუნდში კიდევ ერთი წელიწადი ითამაშებენ.

კონტრაქტების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ სააგენტო "როიტერის" ცნობით, რეკის ხელფასი 2 მილიონი დოლარი იქნება, რობერტსისა - 2.5 მილიონი.

### ფლორიდამ ფორვარდი შეინარჩუნა

სააგენტო "როიტერის" ცნობით, "ფლორიდა პანტერზმა" ახალი, 6-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა ფორვარდ **ნათან ჰორტონს**. ეს ჰოკეისტი მომავალი 6 სეზონის განმავლობაში 24 მილიონ დოლარს მიიღებს.

გასულ რეგულარულში 22 წლის თავდამსხმელმა 31 შაიბა გაიტანა და ამდენივე შედეგიანი პასი შეასრულა. ჰორტონი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 2002 წლიდან თამაშობს.

### სან ხოსემ ორი მოთამაშე დათმო

დრაფტის წინ, "სან ხოსე შარქსმა" "ტორონტო მეიპლ ლივზს" ორი ჰოკეისტი დაუთმო - მეკარე **ვესა ტოსკალა** და ფორვარდი **მარკ ბელი**. სანაცვლოდ კი, "ზვიგენებმა" 2007 წლის დრაფტის მეორე და 2009 წლის დრაფტის მეოთხე რაუნდში ჰოკეისტების არჩევის უფლება მიიღეს.

## კალათბურთი



ჯერმეინ ონილი

NBA. ატლანტა ჰოქსი

# ჯერმეინი ჯორჯიაში

როგორც იცით, "ატლანტა ჰოქსმა" დამდეგ დრაფტზე მესამე მოთამაშის არჩევის უფლება მოიპოვა. "ატლანტის" გენერალური მენეჯერი **ბილი ნაიტი** დარწმუნებულია, რომ გუნდი ამ შანსს სხვანაირად გამოიყენებს და აქცენტს არა მომავალზე, არამედ დრაფტზე მესამე ნომრად აყვანილი კალათბურთელის სხვაგან გაშვებაზე გააკეთებს.

"ატლანტამ", სავარაუდოდ, ფორვარდი **ელ ჰორფორდი** უნდა აირჩიოს, მაგრამ გუნდი პერსპექტიული ბიჭის აყვანისთანავე მას "ინდიანა პეისერზში" გაუშვებს, ზედ **ტაირონ ლიუსა** და **ჯოშ ჩილდრესს** დაუმატებს და **ლარი ბერდის** "ინდიანა პეისერსიდან" **ჯერმეინ ონილს** აიყვანს.

ეს ინფორმაცია "ინდიანის" წარმომადგენელმაც დაადასტურა, თუმცა მისი თქმით, ყველაფერი მაინც ჯერმეინის გადასაწყვეტი იქნება, რომელსაც კომენტარისთვის სიტყვა, ჯერჯერობით, ვერ დააცდენინეს.

ჰორფორდი დაახლოებით **ჯოშ სმიტის** ყაიდის მოთამაშეა, ეს უკანასკნელი კი იმდენად სწრაფი ტემპებით პროგრესირებს, რომ "ჰოქსს" არც სმიტისთვის ხელის შეშლა უნდა და არც ჰორფორდი ემეტება სათადარიგოთა სკამზე დასასმელად.

ჯოშ სმიტი შარშანდელი რეგულარულისას, ერთ მატჩში საშუალოდ 16.4 ქულას, 8.6 მოხსნას, 3.3 შედეგიან გადაცემას, 2.9 დაფარებასა (მეორე შედეგი ლიგაში) და 1.4 ჩაჭრას აგროვებდა. **ბენ უოლასთან** და **შონ მერიონთან** ერთად, იგი იმ სამეულში შევიდა, რომლის წევრებიც დაფარებების, მოხსნებისა და ჩაჭრების პირველ ოცეულში იყვნენ.

ნაიტმა ასევე გაუსვა ხაზი იმას, რომ "ატლანტაში" მხოლოდ სამი მოთამაშეა ხელშეუხებელი. ჩვენთვის სასიხარულოდ, ამ სამში ერთ-ერთი **ზაზა ფაჩულიაა**, რომლის გარდაც გუნდმა ვეტო დაადო მსროლელ **ჯო ჯონსონსა** და მსუბუქ ფორვარდ **მერვინ უილიამსს**.

**ზურაბ თალაკვაძე**

## კრივი

ზემსუბუქი წონა

# ჰატონმა კასტილიო გაანადგურა

ბრიტანელი **რიკი ჰატონი** რომ მაგარი მოკრივეა, ეს მას რინგზე არაერთხელ დაუმტკიცებია. მაგრამ თუ ლას ვეგასში ასე იოლად გაუსწორდებოდა არანაკლებ სახელმოხვეჭილ (მსუბუქი წონის ყოფილ ჩემპიონ) მექსიკელ **ხოსე ლუის კასტილიოს**, ამას ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე.

ორი სახელოვანი მოკრივის ბრძოლა ნაკლებად პრესტიჟული გაერთიანების, IBO-ის (კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია) ტიტულისთვის გაიმართა. შეხვედრის ადგილად ლას ვეგასის "ტომას ენდ მეკის" არენა დაითქვა. თავისი კერპის საქომაგოდ, ბრძოლის სანახავად ვეგასში კრივის უამრავი მანჩესტერელი მოყვარული ჩავიდა. მათ მიერ გამხნევებულმა "ჰიტმენმა" (ჩვენებურად მოჩხუბარმა, ძველმა ბიჭმა) კი თავისი კლასი გვაჩვენა და მეოთხე რაუნდში ნოკაუტით გაუმასპინძლდა კასტილიოს (55-8-1).

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბრიტანელმა მეტოქეს ნეკნებში უმძლავრესი დარტყმა აგემა. კასტილიო რინგის განაპირას ჩაიმუხლა და ასე დაელოდა, სანამ რეფერი **ჯოი კორტესი** ათამდე დაითვლიდა.

*"მიზნად დავისახე, მისთვის დარტყმები ტანში მიმეყენებინა და ამას იოლად ვახერხებდი. მეოთხე რაუნდში კი, თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი კარიერის საუკეთესო დარტყმა გამომივიდა. მოკლედ, კიდევ ერთხელ დავამტკიცე, რომ ნებისმიერი მეტოქის ნებისმიერ ადგილზე დამარცხება შემიძლია"*, - განაცხადა ჰატონმა (43-0, 33 ნოკაუტი), ვინც იმედოვნებს, რომ კასტილიოსთან გამარჯვების შემდეგ, მასზე წარმოდგენას შეიცვლის **ფლოიდ მეივეზერი**.

შეგახსენებთ, რომ წინა ორ ბრძოლაში (**ლუის კოლაცოსთან** და **ხუან ურანგოსთან**) ჰატონი უფერულად გამოიყურებოდა, თუმცა ორივე ბრძოლა ქულებით მაინც მოიგო. ჰოდა, კასტილიოსთან ბრძოლაში მას ორმაგი მოტივაცია ამოძრავებდა - გამარჯვება და იმის დამტკიცება, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

კასტილიოსაც წინა ბრძოლებში თავი არაფრით გამოუჩენია. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ **დიეგო კორალესთან** ბრძოლაში წონა ვერ დაიცვა, მას სოლიდური ჯარიმის გადახდა ელის. ჰოდა, როგორც მისი პრომოუტერი **ბობ არუმი** ჰატონთან შეხვედრის წინ ამბობდა, შესაძლოა, მექსიკელისთვის ეს ბოლო შანსი იყო ტოპ-მოკრივეთა მარაქაში დასაბრუნებლად.

აღსანიშნავია, რომ ჰატონის ქომაგთა შორის "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი **უეინ რუნი** იმყოფებოდა, კასტილიოს კი თავისი სუპერვარსკვლავი თანამემამულე **მარკო ანტონიო ბარერა** ამხნევებდა.

პირველივე რაუნდში მექსიკელი რინგზე აღმოჩნდა, თუმცა კორტესმა ანგარიში არ გახსნა - კასტილიოს ფეხი გაუცურდაო. თუმცა, ბრიტანელი ამან ვერ შეაჩერა. ბრძოლის განახლებისთანავე, მან მეტოქეს ნიკაპში ზედიზედ ორი აპერკოტი მიახალა, მაგრამ კასტილიომ ორივეს გაუძლო.

კასტილიომ ბრიტანელს პირველი ძლიერი დარტყმა მხოლოდ მესამე რაუნდში მიაყენა და რაუნდის ბოლომდე ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია. კასტილიომ შეტევა მომდევნო რაუნდშიც გააგრძელა, მაგრამ წელს ქვევით დარტყმისთვის გაფრთხილება დაიმსახურა. ბრძოლა რომ განახლდა, ჰატონის ცაცია მექსიკელს ტანში მძიმედ მოხვდა. კასტილიო ჩაიკეცა და სანამ კორტესი ითვლიდა, ვერც გაიმართა. *"მაგრად მომხვდა, სუნთქვაც კი შემიკავდა. ეს საშინელება იყო"*, - განაცხადა კასტილიომ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ჰატონი ძლეულ მეტოქეს დასცქერის


ლელო

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაგაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**დავით თავართქილაძე**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კობა ხატისაშვილი**
**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა ბიბილაშვილი**
**გოგა ახალაძე**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი**

კორექტურა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე** (დირექტორის მოადგილე),
**გივი ვეშაპიძე,**
**ქეთევან დიდბერიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**ბაქარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)
**შალვა ებანოიძე**

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
**მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 64-76)
**ერემო მახათაძე** (1952-53)
**ირაკლი უგულავა** (1953-64)
**ანზორ ბასილაია** (1976-83)
**არჩილ გოგელია** (1984-85)
**თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი



მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru



ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**



ეროვნული ბიბლიოთეკა